

619 / 2
1984

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISSN 0130—1624

საბავშვო


საბავშვო

№ 9 1984 წ.



გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანის ტრაქტორისტები (მარჯ-
ვნიდან): ჭემალ ბეუანიშვილი და ზურაბ ინანაშვილი.

ფოტო მაღსაზ დათიკაშვილისა.



ქვემოთაა
ბრძანებითა

სსრკ მენარალთა კავშირის შექმნის 50 წლისთავი

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა მშარალების დიდი წვლილისათვის და შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მშარალთა

კავშირი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულა-ბით დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით.

ს უ რ ა თ ე ა: ჯილდოს გადაცემის დროს.

საქმეს, რომელიც ასე შესანიშნავად დაიწყო გორკიმ და მაიაკოვსკიმ, ფადეევმა და შოლოხოვმა, დღეს განაგრძობენ მწერლები და პოეტები, აქტიურად და ნაყოფიერად რომ იღვწიან ჩვენს მრავალეროვნულ ლიტერატურაში. ბუნებრივია, აქ არ მოეყვები სახელებისა თუ კონკრეტული ნაწარმოებების ჩამოთვლას. ვიტყვი მხოლოდ ერთს: ის ახალი ნიჭიერი და ღრმა ქმნილებები, რომლებიც ლიტერატურაში გაჩნდა ამ ბოლო წლებში და აღელვებს საბჭოთა მკითხველს, რომლებზეც ფიქრობს და კამათობს,

უტყუარი დასტურია იმისა, რომ ჩვენს თვალწინ საბჭოთა და, საერთოდ, მსოფლიო კლასიკაში ადვილს იმკვიდრებენ ნაწარმოებები, რომლებიც გასცდება დროის სამანს და ალალმართლად უამბობს ჩვენი დროების შესახებ შთამომავალთ.

ამხანაგ კ. უ. ჩარნაეკოს სიტყვიდან, რომელიც წარმოთქვა სსრკ მშარალთა კავშირის გამგობის საიუბილეო პლენუმზე 1984 წლის 25 სექტემბერს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საკვ ცენტრალური კომიტეტის მენარალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ორგზის სოციალისტური შრომის მვირის ამხანაგ

კონსტანტინე უსტინის ქე ჩარნაეკოს ლენინის ორდენითა და „ნამგალი და უროს“ მესამე ოქროს მედლით დაჯილდოების შესახებ

ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების, სსრ კავშირის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის პარტიულ და სახელმწი-

ფო მოღვაწეობაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებაში დიდი პირადი წვლილისათვის სკკვ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავში-

რის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ორგზის სოციალისტური შრომის მვირი ამხანაგი კონსტანტინე უსტინის ქე ჩერნეკო დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით და „ნამგალი და უროს“ მესამე ოქროს მედლით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

3. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

თ. მენთეზაუვილი.

მოსკოვი, კრემლი.
1984 წლის 22 სექტემბერი.



შესრულდა მწიარალთა სრულიად საპაპვიროჲ პრილოჲის 50 წლის-
თაჲი. პრილოჲაჲ საფუჲჲალი ჩაუჲარა ახალ შამოჲჲედეჲით ბაჲრთი-
ნაჲს — მწიარალთა კაჲჲირს.

სუჲათჲა: მწიარალთა პირჲველი საპაპვიროჲ პრილოჲის მონაჲილ-
თა ერთი ჯგუჲი.

წიარალთა
სრულიად

მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდაში
გადამწყვეტი ადგილი ეთმობა სკოლებისა და პროფტექნი-
კური სასწავლებლების პედაგოგიურ კოლექტივებს, უმაღ-
ლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების პროფესორ-მას-
წავლებელთა შემადგენლობას, მათს პარტიულ ორგანიზა-
ციებს. უნდა ვიღვანოთ, რათა ყველა, ვისაც საქმე აქვს ახ-
ალგაზრდობის აღზრდის დიდმნიშვნელოვან ამოცანასთან,
აღრმავებდეს თავის ცოდნას, იმაღლებდეს პროფესიულ და
იდეურ-პოლიტიკურ დონეს, ბეჯითად მუშაობდეს საკუთარ
თავზე. კვლავაც უნდა სრულყოფდეთ საზოგადოებრივი
მეცნიერებების, სპეციალური დისციპლინებისა და კურსების
სწავლებასა და შესწავლას, ამასთან მთელი ყურადღება
დავუთმოთ ჩვენი ახალგაზრდობის მკაფიო მსოფლმხედვე-
ლური პოზიციის ჩამოყალიბებას.

თითოეული ჭაბუკი, თითოეული ქალიშვილი სამშობლოს,
თავისი ხალხის ერთგული და თავდადებული სამსახურის
ნიმუში უნდა გახდეს!
თითოეული მასწავლებელი, აღმზრდელი მთლიანად უნ-
და გადასცემდეს ახალგაზრდა თაობას თავის მიდიარ

ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ცოდნას, საუკეთესო
სულიერ მისწრაფებებს!

თითოეული კომუნისტი მოვალეა ახალგაზრდობისათვის
იყოს მაღალი ზნეობის ეტალონი, ღირსეულად გადასცემ-
დეს მას საბჭოთა ხალხის გამირული მიღწევების ესტაფეტას!

ინყება ახალი სასწავლო წელი. დაე, იგი გახდეს თქვენ-
თვის წარმატებული სტარტი შემეცნების უკიდევანო სამ-
ყაროში, ჩვენო ძვირფასო მოსწავლეებო, სტუდენტებო.

ვულოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ყველას,
ვინც თავისი საქმიანობით დაკავშირებულია სკოლასთან —
მასწავლებლებს, აღმზრდელებს, საწარმოო სწავლების ოს-
ტატებს, დამრიგებლებს, უმაღლესი სასწავლებლების პრო-
ფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას, მშობლებს.
ცოდნის დღეს გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს
პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკა ცენტრალური
კომიტეტის წერილიდან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა
№ 9 (573) სექტემბერი, 1984

ეურნალი გამოდის 1928 წლიდან
ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიტერატურო-
სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

საქართველოს კა ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1984 წ.

საკრედიტო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. შლივანი), ნათელა
გიორგოიანი, თენგივ გოგოლაძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე), ოთარ ლემბტარაშვილი,
სერგო ლუბიმიძე, ვახტანგ ეხვანავა, ოთარ
თურქია, დინარა ნოღია (მხატვარ-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღა, ნუგზარ
ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

რესპუბლიკის წინსვლასა და გამარჯვებებში თავისი წვლილი შეაქვს სამტრედიის რაიონს. მუდმივი წარმატებები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გეგმების შესრულებაში, მეცხოველეობაში, მრეწველობაში. ექვსი წელი ზედიზედ გამარჯვება სოციალისტურ შეჯიბრებაში და ექვსჯერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა იოლად მოსაპოვებელი არ არის; რაიონის ხელმძღვანელების, პარტიის რაიკომის პირველი მდივნის თამაზ იმედაძის შემოქმედებითი წინამძღოლობით, მშრომელი კაცის მარჯვენით არის მიღწეული ყოველივე. გარჯის ფასი იციან სამტრედიელებმა.

რაიონს, სადაც ასამდე კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებაა, სამოცამდე სკოლა, ამდენივე ბიბლიოთეკა, ტექნიკუმები, ორი სახალხო თეატრი, შვიდი სახალხო უნივერსიტეტი და კარგად მოწყობილი მუზეუმები, დიდი კულტურული ტრადიციები აქვს. ამ ტრადიციებს თვალისჩინოვით უფრო ხილვადიან სამტრედიელებში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომავალი თაობის ზნეობრივ და ესთეტიკურ ჩამოყალიბებას. ამისათვის იღვწის ასე შინაარსიანად სამხატვრო სკოლა, ან-სამბლები, მრავალი სექცია. იზრდებიან სპორტის ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები. წარმატებებს მიაღწიეს ნორჩმა მოჭადრაკეებმა.

შენდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები. მალე დამთავრდება ახალი შვიდსართულიანი სასტუმრო „სამტრედიე“. დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ახალ შენობას მხარს უმშვენიერეს მრავალი თანამედროვე ნაგებობა. მშვენიერმა ფართო ხილმა კი რესპუბლიკის ტრასა ქალაქს ააცილა და სამტრედიის ცენტრი განტვირთა მანქანებისაგან.

მშრომელთა საუკეთესო დასასვენებელ ადგილად იქცა კულტურისა და დასვენების პარკი, სადაც მოეწყო ღია ესტრადი და ავტოდრომი ბავშვებისათვის...

სამტრედიის რაიონი მჭკფარე, შინაარსიანი ცხოვრებით ცხოვრობს. სახელოვანია მისი დღევანდელი დღე, უფრო ნათელი — მომავალი.

მოგიტხრობთ მის შემოქმედ ზოგიერთ ადამიანზე.

ამაზღარი

მოსალამოვდა. შვებით ამოისუნთქა სოფელმა, სული მოითქვა. ჯერ ნელ-ნელა შეირხნენ ალვისა და ჭადრის ფოთლები, მერე თანდათან ამოძრავდნენ, აშრივდნენ, მაცოცხლებელ სიოდ დაეღვარნენ ირგვლივ ყველაფერს.

სოფელ დანიის 103 წლის მკვიდრი გრიგოლ მანჯგალაძე მიუახლოვდა ჭიშკარს, გზას გახედა და თავისთვის ჩილაპარაკა:

— ჰე, რაფერი სიცხეები დეიჭირა, იწვოლა დღეს ქვეყანა!

— რავა, გრიგოლი ბიძია, სიცხე შენც გაწუნებს ჩეროში? — ღიმილით შეეხმინა მეზობელი.

მოხუცმა ნათქვამი ვერ გაიგო, მაინც გაიღიმა, ამ ბოლო დროს ყურთ დამაკლდაო, მოიბოდიშა და იქვე ჩამოჯდა.

— დავითი თუ ნახე დღეს? — იკითხა.

— აბა, ისე ჩვილის დღე, მეურნეობაში რომ არ მევიდეს საბჭოს თავმჯდომარე? ჩვენი მეურნეობის დირექტორი და ის, დღეს თითოეულ პამიდვრის ძირს რამდენი ნაყოფი ჰქონდა, მგონი, იმასაც კი ითვლიდნენ.

— კაი ახლა, თუ კაცი ხარ, ყველას რაფერ დეითელი! — ამბობს მოხუცი, თუმცა იცის, სოფლის თავაკების თვალი მართლაც ყველაფერს წინასწარ ითვლის და წონის, ზომავს და გეგმავს.

...დანიის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს დავით ქაჯაიას და მეეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ვალერი ლორიას ჩვენც გაცხარებულ საუბარში მივუხსნარით.

ბჭობენ, ანგარიშობენ, წინასწარ იჭერენ თადარიგს, იყენებენ ყოველ წუთს.

ერთ ადგილზე ვერ ისვენებს მუდამ მოძრავი ვალერი ლორია. ნერვიულობა ეტყობა თითქოს გარეგნულად მშვიდ საბჭოს თავმჯდომარესაც. უნდა შეასრულოს 10 სახის თესლის ჩაბარების გეგმა. ხარისხზეც უნდა იზრუნონ, რა თქმა უნდა. ამაზე დამოკიდებული საქართველოს ბევრი რაიონის მოსავალი...

450 ჰექტარზეა გადაჭიმული მეურნეობის ბაღ-ბოსტანი და ყანები. მსხვილფეხა პირუტყვის მოვლა-პატრონობაზეც ბევრს ზრუნავენ. უახლეს მიღწევათა დონეზე მოწყობილი მეღორეობის ფერმა ხომ სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ზრდის დიდ პერსპექტივას იძლევა. ყოველივე ამით დანიის სასოფლო საბჭოსაც შეაქვს წვლილი სამტრედიის რაიონის იმ წარმატებებში, რომელიც დღეს ყველასათვის ცნობილია.

სოფელი რომ ღონიერია, ეს მის მოსაფალტებულ გზებსაც ეტყობა, სკოლასაც, საბავშვო ბაღსაც, მეურნეობის ადმინისტრაციულ შენობასაც, ბიბლიოთეკასაც და საექიმო უბანსაც... ასნომრიანი სატელეფონო სადგურიც ხომ დიდი ხანია, მუშაობს, საბჭოს თავმჯდომარე კი მაინც არ არის კმაყოფილი:

— გასაკეთებელი ბევრი გვაქვს. აბა, კარგი კულტურის სახლი არ ავაშენოთ? მხამქიმოკატების შესანახი ხეირიანი საწყობი არა გვაქვს, ავტომანქანების გარაჟიც უკეთესი უნდა გვექონდეს... ცხოვრება წინ მიდის, ჩვენი უნდა მივყვეთ, როგორ, ივარგებს, სოფელს ბუნებრივი გაზი რომ მოვაკლოთ?

ასე უცხოვრია ამ პატიოსან ადამიანს. სულ ახალგაზრდა, 23 წლისა, ჭაგანის წითელი ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ რომ დანიშნეს, ომი ახალი დამთავრებული იყო. უჭირდა სოფელს. ელექტროდენიც საზრუნავი ჰქონდა და ფერმების მშენებლობაც, გზებიც და ხიდიც... მუდამ რალაც დიდ, გადაუღე-

ბელ საქმეზე ფიქრით უთენებ-ულამებია. ახლა ხომ არ შეიცვლება თითქმის 60 წლის კაცი, რომელსაც ორ ათეულ წელზე მეტი საბჭოს თავაკობაში გაუტარებია. სოფლის ავიც ესმის და კარგიც.

სოფელიც აფასებს თავის თავმჯდომარეს, რომელსაც დამსახურებულად უბრწყინავს მკერდზე შრომის წითელი დროშის ორდენი.

როცა კაცი მართალი გზით მიდის...

ზურაბ კობრიძე ყურნალისტობაზე ოცნებობდა, თუმცა მათემატიკაში ვერავინ სჯობდა. მის გულში ერთმანეთს ებრძოდა ქართული სიტყვისა და ტექნიკური დარგებისადმი სიყვარული. მათემატიკისთვის ბოლოს მაინც მათემატიკამ სძლია.

დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი. ორი წელი მუშაობდა სუმგაითის მილსაგლინავ ქარხანაში. იქ მან პირველად გადადგა დამოუკიდებელი ნაბიჯები და ცხოვრებისეული გამოცდილებით დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს. დაუბრუნდა და ხალხმა მაშინვე დაინახა თავისი ღვიძლი შვილის უნარი...

აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მთავარი ენერგეტიკოსი ზურაბ კობრიძე კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად და რაიკომის ბიუროს წევრად აირჩიეს.

მერე შეხვდა ვალერიან კოპალიევილს, ხის დამუშავების კომბინატის დამარსებელსა და მოამაგე დირექტორს. ამ შეხვედრამ განსაზღვრა ზურაბის მომავალი. მალე იგი კომბინატის მთავარი ენერგეტიკოსი გახდა, იყო საავჯო ფაბრიკის დირექტორი, მერქანბურბუშელოვანი ფილესის წარმოების უფროსი. ერთხანს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ გადაიყვანეს. როცა ვალერიან კოპალიევილი გარდაიცვალა, გადაწყდა, მისსავე აღზრდილს, ზურაბ კობრიძეს გაეგრძელებინა მისი საქმე, ძნელ შრომაში უკვე ორ წელიწადზე მეტი გავიდა.

სამტრედიის ხის დამუშავების კომბინატის დირექტორის მოადგილეებს რესპუბლიკის დამსახურებულ ეკონომისტს თინა ჯვარშიევილსა და გივი გახოკიძეს საუბარი თითქმის დამთავრებული ჰქონდათ, პარტიუროს მდივანი გივი ბერიძე რომ შევიდა.

აღელვებული ჩანდა.

— დღეს რატომაც ნაკლებად მივიღეთ რძე ჩვენი მეურნეობიდან. მავნე საამქროებში დავარიგეთ, რამდენიმე ჩვილბავშვიან ოჯახს კი აღარ შეხვდა.


— დირექტორმა იცის?

— ჯერ არა!

— ნუ ღელავთ, — საქმეში ერევა მუდამ მშვიდობიანობის მოყვარული ქალბატონი თინა, — ახლა გავაფართოებთ მეურნეობას და მართო მათ კი არა, მთელ 2100 კაცს ექნება რძე და თევზი, ხორცი და თაფლი... ბოსტნეულიც. ჩვენი 100 რქოსანი პირუტყვი მალე იმატებს. ტბორებში გაშვებული 40000 ლიფსიტაც არ არის სახუმარო საქმე, ნუტრისასა და ბოც-

(გაბრძანება გვ-6 გვირდგზ)

ნოდარ დუმბაძე



თითქმის შეგუებული ვიყავით, ველოდით ამ ძძიმე დღეს. მაინც მოულოდნელი და თავბარ-დამცემი გამოდგა მისი სიკვდილი.

ამ ორიოდ წლის წინ საგურამოში ვინახულე. ვერ იყო კარგად. მაშინ ვუთხარი, თაობის მედროშე ხარ-მეთქი. ასეც იყო. ამიტომაცაა ტკივილი მძიმე.

როცა ექიმებმა ქალაქგარეთ ცხოვრება ურჩიეს, ერთი პატარა ქოხი საგურამოში მომიხერხეთო, გვთხოვა. მოგვიანებით გამომიტყდა: აქ დიდი ილიას აჩრდილს ვემუსაიფებო. მას ჰქონდა უფლება ილიასთან ელაპარაკნა.

კარგი კაცი რომ წავა ამ ქვეყნიდან, იტყვიან ხოლმე — ვალმოხდილიაო. მან კი ვალი ბოლომდე ვერ მოიხადა. წარმოიდგინეთ: გათეთრებული, ღრმად მოხუცი ნოდარ დუმბაძე. რამდენს შექმნიდა კიდევ კაცობრიობისათვის ეს უნიჭიერესი მწერალი და ბრძენი მოღვაწე!

საქართველოში კარგად იციან: არ არსებობს უბედურება, მას რომ არ დაატყდა თავს, ბავშვობიდან მოყოლებული. იყო უსამართლობაც, უკანონობაც, უახლოესთა დაკარგვაც, მოშურნე კაცის მიერ დაკოდილი გულის ტკივილიც და გაჭიანურებული უკურნებელი ავადმყოფობაც. თითქმის ოცდაათი წელია ვიცნობდი, ვმეგობრობდი. ერთი სიტყვა სამდურავი არ გამიგია არავის და არაფრის მიმართ. ზეადამიანური, ზეციური სულგრძელობისა იყო.

ნოდარ დუმბაძის უკვდავება მისი გმირებია. მის საფლავს არ სჭირდება ადგილის ავტორიტეტის მოშველიება. საზოგადოებამ გადაწყვიტა და, მე მგონი, სწორადაც: ქალაქთა შორის უკეთილშობილეს, — ბავშვთა ქალაქში მიუჩინოს სამუდამო ბინა. ამ ზღაპრულ ქალაქში დასახლდებიან საქვეყნოდ ცნობილი მისი გმირები: ზურიკელა, ბებია, ილიკო, ილარიონი, ხატია და სხვები და სხვები. ნოდარ დუმბაძე, ამ საოცნებო ქალაქის დამაარსებელია, თავის პერსონაჟებთან ერთად, გარდაცვალების შემდეგაც იცხოვრებს, იბრძოლებს, იშრომებს მომავალ თაობათა საბედნიეროდ.

ძნელად თუ წარმოიდგენ ადამიანს, ნოდარს რომ გულწრფელად არ დაიტირებს. ყველაზე მეტად, მჯერა, ახალგაზრდობას ეტკინა გული. ყოველი სიტყვა მისი დიდი შემოქმედებიდან, მისი მღელვარე ცხოვრების ყოველი წუთი ახალგაზრდებისადმი იყო მიძღვნილი. ჩვენი საუბრებიც ამ თემით იწყებოდა და ამითვე მთავრდებოდა. ნოდარ დუმბაძე უბრწყინვალესი მაგალითია: როგორ უნდა გიყვარდეს თავდავინყებით მშობელი ხალხი, როგორ უნდა განიმსჭვალო ღრმა

პატივისცემით სხვა ხალხების მიმართ, როგორ უნდა იღვწოდე ერთა შორის ძმობისა და მეგობრობის განსამტკიცებლად.

ნოდარი მთაში ნაპოვნი კრისტალივით სუფთა პიროვნება იყო. მას ჰქონდა მორალური უფლება, მთელი თავისი მწერლური, პუბლიცისტური, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით კომუნისტური ზნეობის უმაღლესი პრინციპები ექადაგა და ემკვიდრებინა; გამორჩეული, გამოჩენილი კომუნისტი გახლდათ და ჩვენ ვამაყობთ, რომ იგი ჩვენი თანამედროვე, თანამოაზრე და თანამებრძოლი იყო საკაცობრიო კომუნისტური იდეალებისათვის ბრძოლაში.




ამიტომაც მივმართავთ დღეს ჩვენს ახალგაზრდობას: ნოდარ დუმბაძის ცხოვრება და შემოქმედება ხელთუქმნელი ძეგლია ნიჭიერებისა, შრომისა, შეუპოვარი ბრძოლისა, ქეშმარიტი გმირობისა, ერთგულებისა და პატიოსნებისა, კაცურკაცობისა. იხელმძღვანელებს ცხოვრების იმ კანონებით, რომლებმაც ნოდარ დუმბაძე, ერთი უბრალო, ობოლი ბიჭი, თავისი ქვეყნის გამოჩენილ მოღვაწედ აქცია.

ედუარდ შვეარდნაძე,

18.09.84 წელი,

თბილისი.

(„ლიბერალური საპარტილო“, 20.09.84 წ.).



ქართული ლიტერატურის მოღვაწეთა დიდ ოჯახს მეტად ნაადრევად გამოაყლდა საქვეყნოდ ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, შემოქმედი, რომლის შესანიშნავი ქმნილებებიც თარგმნილია და ხმოვანებს მსოფლიოს ურიცხვ ენაზე.

ნოდარ ღუმბაძე ლიტერატურის დიდ სარბიელზე გამოვიდა რომანი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ამ ჯადოსნური, ხალისიანი წიგნის გამოქვეყნების დროიდან დაიწყო დაუცხრომელი შემოქმედებითი შრომა, რომელმაც სახელი და დიდება მოუტანა არა მარტო ავტორს, არამედ მთელ თანამედროვე ქართულ მწერლობასაც.

ქართველი ხალხი მუდამ ღრმა ინტერესით ელოდა ნოდარ ღუმბაძის ყოველ ახალ ნაწარმოებს, გულისყურით უსმენდა მის ყოველ სიტყვას, გულწრფელი სიყვარულით ავილდობდა მასა ხ ე ლ ე ბ ე ლ შვილს.

ნოდარ ღუმბაძეს პირველს ქართველ მწერალთა შორის მიენიჭა ლენინური პრემია, მასვე მიანიჭებული ჰქონდა რუსთაველის და საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემიები.

გაუტეხელი სულის ადამიანი, მწერალი-პატრიოტი, ხანგრძლივი დროის მანძილზე ვაჟკაცურად ებრძოდა მძიმე ავადმყოფობას. იგი განუწყვეტელ შემოქმედებით მუშაობასაც ასწრებდა და საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც.

უსაზღვროა ნოდარ ღუმბაძის პოპულარობა და მისადმი ხალხის სიყვარული, უსაზღვროა მისი დაკარგვით გამოწვეული ჩვენი მწუხარებაც.

20 სექტემბერს ქართველმა ხალხმა, მწერლის ნათელი ხსოვნის პატივსაცემად ჩამოსულ ძვირფას მემგობრებთან ერთად, თავის უკანასკნელ გზაზე გააცილა საყვარელი შვილი და ჭეშმარიტად სახალხო მწერალი.

კურთხეულ იყოს უკვდავებისაკენ მიმავალი ეს გზა!

ვერსაც გავამრავლებთ, ღორიც ბევრი გვეყოლება.

მერე დგება, ფანჯარასთან მიდის და სხვათაშორის ამბობს:

— გუშინ ვიყავით მეურნეობაში ფერმების თანამშრომლებისათვის ოთახის მოწყობის თაობაზე. მალე ტელევიზორს აიტანენ. ყოველი კუთხე-კუთხული დაათვალიერა ზურაბმა. შესასვლელში ხეივნის გაშენება გადაწყვიტეთ.

— ჭადრების?

— არა, მტირალა ტირიფებისა:

— იმ დღეს კაკლის ხეებზე იყო ლაპარაკი.

— კი, მთლიან ტერიტორიაზე ირგვლივ კაკლის ხეების მოშენებას აპირებს, ტერასების მოწყობას.

— აგორ ზურაბიც, — ამბობს გივი ბერიძე და ღიმილით გასცქერის ფანჯრიდან კომბინატის ტერიტორიას — თითქმის ქალაქს, სადაც მუშაობს შესანიშნავი სამედიცინო პერსონალი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი, მაღაზია, საპარკმახერო, მყუდრო ბაგა-ბაღი... ამ პატარა ქალაქში იქმნება 8 სხვადასხვა სახის 33 მილიონი მანეთის პროდუქცია. ჯერ მხოლოდ ავეჯის ფაბრიკა წელიწადში 19 მილიონი მანეთის ნაწარმს იძლევა, რომელიც ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რესპუბლიკაში იგზავნება.

— ახალი კლუბის დასათვალიერებლად იქნებოდა, ერთი სული აქვს, როდის დამთავრდება.

— ჩოგბურთის კორტებსაც გადახედავდა.

ღირექტორს ბევრი სხვა საზრუნავიცა აქვს — ბიბლიოთეკა და სამკითხველო, საცურაო აუზი და სპორტული კომპლექსი... საბინაო მშენებლობის ტრადიციაც თავისას მოითხოვს.

* * *

ყოველდღიური საქმისაგან დაქანცული ღირექტორი მარტო რომ რჩება, მაშინვე თავისი წინამორბედი ახსენდება. „თურმე რა შეუმჩნეველად, რა მონღოებით გასცემდა ის ღვთიური კაცი ყველაფერს, რითაც თვითონ ცოცხლობდა“, — ფიქრობს გულში.

ვიღაც რეკავს... კაბინეტში შემოსულ თანამშრომელს პასუხს აძლევს... ისევ განაგრძობს თავის თავთან საუბარს: „კარგი ბიჭია. როგორ თამამად შემოვიდა პირველად, მერე თანდათან დაუშვა ფრთები... რა უჭირს, ვის არ ჰქონია ასეთი ღრო“. მერე ფიქრი სხვაგან გადადის: „მაინც რა დალოილი, დაქანცული თვალები ჰქონდა იმ გოგოს დღეს, რა გამხდარია, ხვალვე ვეტყვი პროფკავშირის თავმჯდომარეს, საგზური მისცეს“...

რამდენიმე წუთი გადის. კარი იღება. ადგილობრივი სატელევიზიო ქსელის მოსაწყობად მოლაპარაკებაა საჭირო. ამხელა ობიექტს ეკრანით თუ არ ადევნე თვალი, დიდიდან საღამომდე ვერ გასწვდები ყველაფერს. სასაბურთე მეურნეობის მოწყობის საქმე როგორ მიდის, ისიც შესამოწმებელია. მალე რიგაში გასაგზავნი ხალხიც მოვა. უნდა ვადმოლოო იქაური კვების ობიექტების გამოცდილება, მერე მეორე ცვლაც გადავა უფასო კვებაზე...

იმას რა სჯობს, როცა კაცი კეთილკვალს კეთილად მიჰყვება.

სიმღერისათვის იზაბელიან

— რაფიელთან დღეს თურმე ამხანაგები მოდიან, — შევარდა სამორიველოში

ახალგაზრდა ექთანს და წამსვე ქარივით გაქრა.

— რომელი ამხანაგები, — დაადევნეს სიტყვა და საღალაღ დერეფნის ბოლოდან მოისმა მისი ხმა:

— „სანავარდო“ წევრები!

ამ ამბის შემდეგ ერთი საათიც არ გასულა, რომ რაფიელ ხურციძესთან, პალატაში, ნელ-ნელა შევიდნენ ბენია და ისაკი, ალექსანდრე და იოველი, სერგო და იონა, პავლე და შაქრო...

თვლებზე ცრემლი მოადგა რაფიელს, გული აუჩუყდა. არც მისი ამხანაგები იყვნენ უკეთეს დღეში.

ისევ ბენიამ მოიფიქრა. ანიშნა ამხანაგებს და... დაირხა „იმერული ღიღინი“. თავისუფლად დაღვრილი ხმა ერთბაშად დაგროვდა ოთახში, მერე გადაეშვა დერეფნიდან დერეფანში, სართულიდან სართულზე.

პალატაში შეშფოთებული მორიგე ექიმი გამოჩნდა:

— თქვენ ისე მღერით, ამ ღელვას ჯანმრთელიც ვერ გაუძლებს...

ექიმი მართალი იყო.

უმაღლე მიწყდა ხმები...

* * *

მაღალი, სუსტი, ინტელიგენტური აღნაგობის კაცი კულტურის სახლის კიბეს მიუყვება.

— აი, ბენია მიქაძე, — მეუბნება ჩემი თანამგზავრი.

კიბეზევე გამოვესაუბრეთ. მას ღიმილი გადაეფინა ბაგეზე. ასე ღიმილი იშვიათად უხდება კაცს.

ანსამბლის ხელმძღვანელი კარს აღებს, გზას გვითმობს...

— ჯერ ადრეა, არ მოსულან.

— ბატონო ბენია, გავიგე, მამათქვენი, მიტროფანე, კარგი მომღერალი ყოფილა, — ვამბობ უხერხული სიჩუმის გასაფანტავად.

— დედაჩემიც, მთელი ოჯახი, — მეუბნება ნალვლიანად.

უხუცესთა ანსამბლი „სანავარდო“ ექვსი წლისაა. ერთ მშვენიერ დღეს „გადმოიბარა“ ბენიამ მომღერალი მოხუცები და დაითანხმა, კვირაში ორჯერ, ორშაბათსა და პარასკევს შეკრებილიყვნენ.

— უნდა გადავარჩინოთ ძველი იმერული სიმღერები. არ უნდა დავკარგოთ ჩვენი საუნჯე.

— მართალი ხარ!

— ასე მოვიქცეთ!

— ნუ დავკარგავთ!

დაეთანხმნენ ალექსანდრე ერქვანიძე, იონა სტურუა. აწ განსვენებული გიორგი დოლიძე ხომ სულ არ მოშორდა გვერდისა.

თქვეს და შეასრულეს.

მერე იმერულს გურული და კახური, ქართლური და ქალაქური სიმღერებიც მიაცოცეს...

კარი იღება.

— გამარჯობათ! — ამბობს შავგვრემანი, მაღალი კაცი, ჯდება და ხელებს უხერხულად იწყობს მუხლებზე. მას თან შემოაქვს მიწის სურნელი და რაღაც იდუმალი სედავ. მერე გავიგეთ, სერგო სტურუას ბევრი მწარე ტკივილიც განუცდია... სიმღერის სიყვარული იმ ძველ ტკივილს ვერ უხელებს, მაგრამ 14 შეღელთაშვილისათვის ზრუნვის ძალას კი მატებს...

სერგოს ისაკ შუბლაძე მოჰყვა, ისაკს პავლე ხუჭუა, მთლად განვითქული და აქოშინებული, შაქრო კვანტალიანი, იოველი ხარბიშვილი.

— ყველანი ვართ! — ამბობს ხელმძღვანელი.

უცებ ჯგუფებიან და... „არა, ასეთი სიმღერის აუღელვებლად მოსმენა არ შეიძლება“, ვფიქრობ. თან ვუკვირდები, როგორ დაისვენა დაღლილ-დაქანცულმა მშრომელი კაცის მარჯვენამ, როგორ გაიშალა სახეებზე ყველა ნაოჭი, როგორ გაჩნდა თვალებში ჭაბუკური სხივები...

ბენია პიჯაკს იხდის, სკამზე ჰკიდებს და ჩონგურს იღებს ხელში. ლამაზად მოძრაობენ მისი თითები სიმებზე. მერე უცებ ჩერდება და ამბობს:

— მე ისე ვმღერი, როგორც მამაჩემის სიმღერა მესმის ყურში. ჩონგურსაც ისე ვუკრავ. იგი თვითონვე თლიდა ჩონგურსა და ჭიანურს. სხვის ნახელავ ინსტრუმენტზე არასოდეს უკრავდა. მეც ასე ვარ.

— შენ, გენაცვალე, ხატავ კიდეც, მშვენიერ ფერწერულ პეიზაჟებს ქმნი, კალამიც გიჭრის, — ამბობს პავლე.

მერე კვლავ ერწყმის ერთმანეთს ეს განუმეორებელი ხმები, რომლებიც უკვე დიდი ხანია, ჩაიწერა გრამფირფიტების საკავშირო ფირმა „მელოდიამ“. საქართველოს რადიოს უნიკალურ ფონდში მათი 21 სიმღერა ინახება.

— ახლა ძველი საგალობლები უნდა აღვადგინოთ, — ამბობს ანსამბლის ხელმძღვანელი.

— ყოველ წელს ზღვას არ გვაკლებს ჩვენი ხელმძღვანელობა და დიდ ყურადღებას, ქე ვართ დასვენებულები და გიმღეროთ და ვიმღეროთ ახლა, — საუბარში ერევა 94 წლის იოველ ხარბიშვილი.

ასეთი საათები სიცოცხლე სასიმღეროდ დაბადებული ადამიანებისათვის. დაე, უსასრულო ყოფილიყოს ეს სიცოცხლე!

დიდი წინაპრის ფშქვი

დიდი ჯიხაიში, როინის ხეობის ულამაზესი და საქვეყნოდ ცნობილი სოფელი, რომლის შესახებაც ასე მომხიბვლელად უთქვამს მის შვილს, შესანიშნავ ქართველ პოეტსა და ბავშვების უახლოეს მეგობარს — გიორგი კაჭახიძეს:

სოფელი იყო ჩემი აკვანი, წიგნი სიხლის, წიგნი სიძველის, ყანას აქ თონი ბავშვმა დავკარი და მიწა ქვეყნად ასე ვიგრძენი.

თავისი ცხოვრების სამ ათეულზე მეტი წელი გაატარა დიდ ჯიხაიში მეცხრამეტე საუკუნის პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ნიკო ნიკოლაძემ.

გემოვნებით ნაგები ორსართულიანი სახლი, კვიპაროზებისა და ბზის ბუჩქების ხეივანი, ასწლოვანი მუხები და მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ჩამოტანილი ეგზოტიკური ხეებია მოწმე, თუ როგორ ესათუთებოდა დიდი მოაზროვნე თავისი დედუღეთის მიწას, რა სიყვარულით ეხებოდა მისი ხელი ამ მიწიდან ამოსულ ყოველ ნერგსა თუ ყვავილს...

ამ სახლს, ამ ბაღს, ყველაფერს, რაც აქ კეთდებოდა, ნდობითა და იმედით შესცქეროდა ხალხი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. აქ ხომ „ჩაგრული გლეხის მეგობარი“ და „ახალი თაობის ფალაქანი“ ცხადვრობდა. აღამიანი, რომელიც გლეხობას მატერიალურად ეხმარებოდა, ვასაგებად უხსნიდა რთულ მოვლენებს და ასწავლიდა, მთელი თავისი არსებობითა და საქმიანობით ასწავლიდა, ცხოვრებას.



ნიკო ნიკოლაძემ დაარსა სოფელში უმაღლესი ტიპის დაწყებითი სკოლა, სადაც მისივე შვილები უსასყიდლოდ ასწავლიდნენ ბავშვებს, აფთიაქი, საახარამყრატო, ურთიერთდამხმარე სალარო, გლეხობისთვის. გაჰყავდა გზები, აშენებდა ნიღებს, დასავლეთ საქართველოში პირველმა შექმნა სარწყავი სისტემა; გამოიყენა ცემენტი, ქარის ძრავა.

...დუმს ნიკო ნიკოლაძის სამუშაო ოთახი, მისი საწერი მაგიდა, დიდი სიყვარულის მოწმე მზის საათი, საბეჭდი მანქანა... კვლავ ჰკიდია კედელზე საყვარელი სურათი ჯუზეპე გარიბალდისა.

მუზეუმის დაარსების დღიდან, 1951 წლიდან, ამ ოთახებში მილიონობით მნახველს უცოცხლდება თვალწინ ცხოვრება ეროვნული მოღვაწისა, რომელიც მსოფლიო ასპარეზზე გავიდა.

პირველი ნაბიჯები და ქურნალი „ცისკარი“. თანამშრომლობა რუსულ პრესაში: „სოვერემენიკი“, „ისკრა“, „ნაროდნოე ბოგატსტვო“. მერე გერცენის „კოლოკოლი“ და რევოლუციისაკენ მომწოდებელი წიგნი „მთავრობა და ახალი თაობა“, მეგობრობა სალტიკოვ-შჩედრინთან და მებრძოლი წერილები „ოტჩენსტვენნიე ზაპისკში“. გაზეთი „დროება“. რად ღირს თუნდაც მისი ყველაზე მოწინავე რევოლუციური გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“...

ექსპოზიციაში ყურადღებას იპყრობს ნიკო ნიკოლაძის შრომა „ვანიარღება და მისი სოციალ-ეკონომიური შედეგები“, რომლითაც მან, პირველმა ქართველმა ევროპაში მოიპოვა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი...


აქვეა პირველი არალეგალური ქართული გაზეთის „დროის“ ფოტოასლებიც. ამ გაზეთს ნიკო ნიკოლაძე დავით მეველესა და პავლე იზმაილოვთან ერთად პარიზში სცემდა.

დიდი ადგილი ეთმობა ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობას ქალაქ ფოთში.

მუზეუმის ერთი დარბაზი ეძღვნება ნიკო ნიკოლაძის შვილს, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოში ტურიზმისა და ალბინიზმის პიონერის გიორგი ნიკოლაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის თანამშრომლები (დირექტორი თინა ჭილაძე) ფეხაკრეფით დადიან ამ წმინდა ოთახებში, დაჰკანკალებენ თითოეულ ექსპონატს, ყურს უგდებენ ყოველი ხის სუნთქვას... აქ ხომ ყველაფერი უნდა გამოიყურებოდეს ისე, როგორც იყო მაშინ, პატრონის სიცოცხლეში, — როცა ღირსეულ ქართველ მამულიშვილებს მასპინძლობდა ეს ეზო-კარი.

ნათელა გიორგოვანი,
„დროის“ საცენალური კოორდინატორი.



ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი.

ხის დამუშავების კომბინატის დირექტორი ზურაბ კონრეიძე (მარცხნივ) და ტექნიკური კონტროლის უფროსი ანზორ ჯაოშვილი.

ფოტო რომან ბეკიაისი.



ღანიის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე დავით ქაჯია (მარჯვნივ) და მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვალერი ლორია ამოწმებენ ოხრახუშის თესლს.

ანსამბლი „სანავარდო“.

ქალაქ სამტრედიის პირველი საშუალო სკოლა.




ფოტო აპოლონ შათირიშვილისა და თამაზ ახოზაძისა.





აკადემიკოსი

ინია



ელეფთერ ანდრონიკაშვილი

გამოჩენილმა საბჭოთა ფიზიკოსმა, ორგზის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ელეფთერ ანდრონიკაშვილმა** ბოლო წლებში გამოაქვეყნა მემუარების ორი წიგნი „მოგონებები თხევად ჰელიუმზე“ (1980 წ.) და „ვიწყებ იალბუზიდან“ (1982 წ.). სხვათა და სხვათა შორის ავტორი ცოცხლად და მიმზიდველად გვიამბობს მეცნიერთა შემოქმედებითი თუ ყოფითი ცხოვრებისა და ადამიანური ურთიერთობის შესახებ.

მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტს წიგნიდან „ვიწყებ იალბუზიდან“, რომელიც ეძღვნება შესანიშნავ ქართველ მათემატიკოსს, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, სოციალისტური შრომის გმირს, აკადემიკოს **ილია ვეკუას**.

კუნცევოს საავადმყოფოში რომ მივედი მის სანახავად, ოპერაციის შემდგომი პალატიდან ახალი გამოყვანილი იყო. ლოგინში შუახნის ლამაზი კაცი იწვა, თვალები უბრწყინავდა, სახეზე თბილი და სტუმართმოყვრული ღიმილი დასთამაშებდა. უკვე დიდი ხანია, ლაპარაკი აღარ შეეძლო, ახლა კი, სასუნთქი გზების გარდა, საყლაპავი მილიც გადაუჭრეს. შემდეგ ფუჭად სინჯეს საჭმელი მხარიდან მიეწოდებინათ, ბოლოს კი მილი პირდაპირ კუჭში ჩაუსვეს. უშუალოდ სასულეში შემაჯავლი სასუნთქი მილის გამოცვლაც გახდა საჭირო. ასე რომ, რამდენიმე დღეში ოთხი ოპერაცია, ოთხი დღის შემდეგ კი — უკვე ჩვეულებრივი პალატა. და მაინც სახე უღიმის, თვალები უბრწყინავს და ურთიერთობის მოლოდინი ახალისებს.

ილიამ რალაც გრიფელის დაფის მსგავსი აილო და დაწერა:
— შენ არ იცი, რა ტანჯვა გადავიტანე ამ ექვს დღეში. ოპერაციის შემდგომი პალატა ნამდვილი ჯოჯოხეთია. ისე მიხარია, რომ იქაურობას თავი დავაღწიე და ახლა აქ ვწევარ! მაგრამ ამაზე კმარა! სხვა რამეებზე ვილაპარაკოთ.
და ჩვენ თითქმის საათნახევარი „ვილაპარაკეთ“ დოსტოვესკიზე და ლევ ტოლსტოიზე. ტოლსტოი ილიას ახალგაზრდობის წლებიდანვე უყვარდა; როცა მის ქალიშვილს — ლამარას თექვსმეტი წელი შეუსრულდა, ნატაშა როსტოვას სახე ილიასათვის განსაკუთრებით მახლობელი გახდა და ის უნებლიედ უბრუნდებოდა

ხოლმე მათი ხასიათების შედარებას. მე კი მეჩვენებოდა, რომ ლამარა ლერმონტოვის ნაწარმოებთა გმირ ქალებს უფრო წაავადა.

რამდენიმე მძიმე ოპერაციის მერე თანდათან გამოცოცხლებული ილია ერთბაშად აიჭრა მსოფლიო ხელოვნების მაღალ სფეროებში.

სულის სიძლიერე მას ორგანულად ახასიათებდა.

მანამდე კარგა ხნით აღრე ჩვენ ერთსა და იმავე საავადმყოფოში ვიწვექით — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საავადმყოფოში. ერთხელ ჩემს პალატაში მისი მეუღლე შემოვიდა. ქალბატონმა თამარმა მაცნობა, რა სატანჯველი ელოდა ილიას და მთხოვა, მომენახულებინა.

— როგორ ვინახულო კაცი ასეთ ყოფაში? — ვეკითხები.

— გაეხარდება თქვენი ნახვა. დღესვე შემოიარეთ.

ილია მაგიდასთან იჯდა და რალაცას წერდა, გვერდს გვერდზე ავსებდა. მის ზურგს უკან ცოლი და ქალიშვილი ისხდნენ და უხმოდ იცრემლებოდნენ.

— მოდი, ილია, შენ ჩუმად იყავი, მე კი ერთ სასაცილო ამბავს მოგიყვები, — ვეუბნები მისალმების შემდეგ.

— არა! ჩუმად შენ იყავი, ერთ სასაცილო ისტორიას კი მე მოგიყვები... — და მან ხრინწიანი ჩურჩულით დაიწყო მოყოლა, თან შიგა და შიგ ხარხარი აუტყდებოდა ხოლმე.

„კაციც ესა ყოფილა! — გავიფიქრე, — ხვალ ყელი უნდა გამოადრონ, დღეს სალამოს კი ისე იცინის, ვითომც არაფერი. რა საარაკო სიმამაცეა!“

სიცილით რომ გული იჯერა, ქალებს უსიტყვოდ მიუთითა მაგიდაზე, რომელიც ლუქის პირველ ოთახში იდგა, თვითონ გახსნა ღვინის ბოთლი და ყველა ვახშმად მიგვიწვია.

— წიგნსა ვწერ, — წამიჩურჩულა და ნაწერი ქალაღდის უზარმაზარ გროვანზე მიმანიშნა.

მეორე დღეს ილიას ბედი გადაწყდა: ოპერაციამ ხმა დაუკარგა, გულმკერდი სასუნთქმა მიღმა გაუკვეთა.

ილია ვეკუამ ასპირანტურის კურსი ლენინგრადში გაიარა. როგორც კი თბილისს დაუბრუნდა, უმაღლესი ჩაება ინტენსიურ პედაგოგიურ, მეცნიერულ და საზოგადოებრივ მუშაობაში. ტემპერამენტი თავზე გადასდიოდა. იყო შემთხვევები, როცა ჩვენ ფაკულტეტის სხდომებზე ლამის მაგიდებს ვესროლით ერთმანეთს.

მერმე მე მოსკოვში გავემგზავრე და თბილისში მაშინ დავბრუნდი, როცა ილია ვეკუა უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი გახლდათ.

მას კარგად ესმოდა ჩემი გამოუვალი მდგომარეობა დაბალ ტემპერატურათა ფიზიკაში კვლევის გაგრძელების მხრივ და გულმოდგინე დახმარება არ დაუკლია იალბუზის კოსმოსურ სხივთა ფიზიკის მაღალმთიანი სადგურის მოწყობაში; სპეციალურად ამისათვის გამოგვიყოფდა ხოლმე ფულს; შემდეგ ქალბატონ თამარისა და ლამარას თანხლებით იალბუზზე ამოვიდა, რომ ენახა, თუ როგორ ვაშენებდით ჩვენი ხელით ლაბორატორიას „ყინულის ბაზაზე“, ზღვის დონიდან 4000 მეტრის სიმაღლეზე; აინტერესებდა, ხომ არაფერი გვაკლდა.

ერთხელ ილიამ მითხრა:
— ელეფთერ, შენ ახლა ბირთვულ ფიზიკაში მუშაობ. ბირთვული ფიზიკის შეთოდები შენ უნდა გაავრცელო იმ სხვა დაწესებულებებს შორისაც, რომელთაც ეს ძალიან სჭირდებათ.

— მე ვმუშაობ მაღალი ენერგიების ბირთვულ ფიზიკაში და დაბალ ენერგიათა გამოყენებით ბირთვულ ფიზიკასთან არაფერი არა მაქვს საერთო. დაწესებულებებსა და საწარმოებს კი სწორედ იზოტოპებისა და დაბალი ენერგიების ბირთვულ გამოსხივებათა გამოყენება სჭირდებათ.

— სულ ერთია, — შემედავა იგი, — ეს შენი ვალია ქართული მეცნიერების წინაშე — ბირთვული ფიზიკის, თუნდაც დაბალი ენერგიების ბირთვული ფიზიკის დარგში მუშაობის ორგანიზება. შენთვის ეს სულაც არ არის ძნელი.

ასე გაჩნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის იზოტოპებისა და გამოსხივებების კომისია, რომელმაც მაშინვე დაიქვემდებარა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ბევრი ინსტიტუტი და რამდენიმე საწარმოო დაწესებულება.

შემდგომ ამ კომისიის ბაზაზე აღმოცენდა კვლევითი ბირთვული რეაქტორი ფიზიკის ინსტიტუტში.

1950 წელს ილია ვეკუამ გამოიძახა ჩვენი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ხითო გაჩეჩილამე და რეკომენდაცია მისცა, სამეცნიერო საბჭოზე განეხილათ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიაზე პროფესორ ვაგან მამასახლისოვისა და ჩემი წამოყენების საკითხი. რაც შეეხება ჩემს კანდიდატურას, პრემიების კომიტეტმა, როგორც ცნობილია, ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტა; მსუბუქ ბირთვთა ფიზიკაში ფუძემდებელი გამოკვლევებისათვის კი სახელმწიფო პრემია მიენიჭა მოსკოველ, ხარკოველ და თბილისელ ფიზიკოსთა დიდ ჯგუფს, სადაც, ვ. მამასახლისოვის ორი მოწაფეც შედიოდა; ოლონდ ეს მხოლოდ 1977 წელს მოხდა, ვაგანის გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ. არა-

სოდეს გვიან არ არი იმის თქმა, რომ ვ. მა-
მასახლისოვის შრომები ფიზიკის ამ დარგ-
ში მართლაც ფუძემდებლური იყო.

1952 წელს ილია სრულიად დაუმსახუ-
რებლად და ძალზე უმართებულოდ გაათა-
ვისუფლეს აკადემიის აკადემიკოს-მდივნის
მოვალეობისაგან. ის რჩევისათვის ჩემთან
მოვიდა ინსტიტუტში.

— საქართველოს დატოვება მინდა.

— რას ამბობენ ამის თაობაზე ცენტრალურ კომიტეტში?

— არავისათვის არ მიკითხავს...

— შენ პარტიის წევრი ხარ და ამასთანავე ნომენკლატურული მუშაკი. პარტიული ორგანიზაციის უნებართვოდ რესპუბლიკის დატოვების უფლება არა გაქვს.

— კარგი, დაგიჯერებ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ილია მოსკოვში გადავიდა, იქიდან — ნოვოსიბირსკში, სადაც უნივერსიტეტის დამაარსებლისა და პირველი რექტორის ფუნქციები იტვირთა.

როდესაც ციმბირიდან დაბრუნებულმა თბილისის უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა დაიკავა, მე და მას ჩემთვის ღირსსახსოვარი ლაპარაკი გვქონდა.

— შენ სწორად არ აკეთებ, ბიოფიზიკის სპეციალიზაციის ორგანიზებას ფიზიკის ფაკულტეტის მეექვსე სემესტრიდან რომ ესწრაფვი. სპეციალიზაცია კი არაა საჭირო, არამედ სპეციალობა, რომელიც სტუდენტებს ბიოფიზიკაში ჩააბამდა, დაწყებული პირველივე სემესტრიდან. ჩვენ ხომ ფიზიკის ფაკულტეტზე ერთდროულად ვასწავლით ფიზიკასაც და მათემატიკასაც, რითაც სტუდენტებს ფიზიკურ-მათემატიკურ აზროვნებას სულ თავიდანვე ვუყალიბებთ. არ შეიძლება, სტუდენტი ჯერ ფიზიკოსი გახადო, შემდეგ კი ბიოლოგად გადააკეთო. სტუდენტები ერთბაშად უნდა მიაჩვიო ფიზიკურ-ბიოლოგიურ აზროვნებას. მაშინ მიაღწევ რაიმე სასარგებლოს.

გასაოცარია, როგორ მოახერხა კაცმა, რომელსაც ბიოლოგიის პრობლემებზე არასოდეს არ უფიქრია, ჩამოეყალიბებინა ასეთი სწორი და მნიშვნელოვანი აზრი. მსგავსი აზრები — ღრმა და განმაზოგადებელი — ჩემთან მრავალჯერ გამოუთქვამს სხვადასხვა საბაბის გამო.

1972 წელს ილია ვეკუა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს და უმალვე, ამ პოსტზე მუშაობის პირველი დღეებიდანვე, მან ხელთ იპყრო აკადემიის მოღვაწეობის ყველა მხარე, ყველა ის მეცნიერება, რომელთაც აკადემია აერთიანებდა. ილია მკვეთრად ატრიალებდა საჭეს და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს უახლოებდა იმ ინსტიტუტების საქმიანობას, რომელიც ფუნდამენტური პრობლემებით იყვნენ დაკავებული.

საქმის დროს ი. ვეკუა ალერსიანიც გახლდათ ხოლმე და მკაცრიც, მომთხოვნიცა და რბილიც.

ერთხელ ჩვენ ერთად მივფრინავდით მოსკოვში. ერთმანეთის პირისპირ ვისხედით. გზაში ჩაეძინა. ლამაზ და ჭკვიან სახეზე სილიადის ბეჭედი ესვა. სწორედ ასეთი დამამახსოვრდა მთელი შემდგომი წლების მანძილზე.

თარგმან თამაზ ვახანიძემ.

ზურაბ კახიანიძე

ნიგნიდან „ბარათები“

* * *

...გარდა ამისა, ძია ზურაბ, ევროპულ ცეკვებსაც ვსწავლობ. მიუგობალი ბიძის წიტილიდან.

შენი პატარა თეთრი წერილი ბებომ და დედამ ცრემლით დაცვარეს. უშენოდ, ბიჭო, ვართ მოწყენილი, ხშირად მოგვწერე, შენ გენაცვალე!

ყველას გვიხარის, რომ ხარ ტანმრთელი, წიგნთან აღამებ, წიგნთან ათენებ... ღმერთმა შეირისხოს ყველა ქართველი, ვინც შორ მხარეშიც არ იქართველებს.

მეგობარი და ნაღდი ძმაცაი ბევრი გყოლოდეს ძმობის მოცილებდ. როცა ჩამოხვალ, დიდხანს არ გაცლოთ, ლამაზ გოგოზე დაგაქორწინებთ...

მოსკოვი ისე დიდია, თვალი სად არ გაუბრის ჩასულ მნახველებს, მაგრამ შეგამჩნევს, თუ კარგი სწავლით, კაიკაცობით თავს ისახელებ.

არვინ იფიქროს იყოს იოლი, გაღუნოს შენი ჯიში, უნარი... მოკითხვას გითვლის შენი რიონი, თეთრი ქვები და მწვანე ბულვარი.

ცოდნა ერთ წიგნად შეგპარ, აკინძე, არვინ გაჯობოს, არვინ გაგთელოს და სულ გახსოვდეს, დედას გაფიცებ, რომ შენს ზურგს უკან ღვას საქართველო.

ნახვამდის! ქალებს შერთლაც ერიდე, დედის და მამის დახაფიცარო... მაგრამ, პო, ისე არ ჩამოხვიდე, რასაც მწერ, ისიც რომ არ ისწავლო.

ნიგნი ქართველ მხედართმთავარზე

ახლახან მკითხველმა მიიღო საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის მიხეილ დავითაშვილის წიგნის „ლესელიძე“ შევსებული და გადამუშავებული გამოცემა.

ეს ვრცელი მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობა უკვდავყოფს გამოჩენილი მხედართმთავრის, საბჭოთა კავშირის გმირ კონსტანტინე ლესელიძის ცხოვრებას, მის თავდადებას სამშობლოსა და ხალხისადმი.

კონსტანტინე ლესელიძემ, მისმა საქმეებმა ჭეშმარიტად აამაღლა სამშობლოს სახელი: „დიდ სამამულო ომში ლესელიძე გახდა პირველი მხედართუფროსი ქართველთა შორის, ვისაც საბჭოთა მთავრობამ გენერლის წოდება მიანიჭა. იგი იყო პირველი ქართველი არმიის სარდალი, რომელმაც დიდი სამამულო ომის წლებში გენერალ-პოლკოვნიკის წოდება მიიღო“.

ამ წიგნში არაფერია სხვისი მონაყოლი. ავტორი თავად შეხვდა კონსტანტინე ლესელიძეს, ჯერ კიდევ ომამდე მისი დივიზიის შტაბის ჯარისკაცი იყო. შემდეგ ომის ძნელმა გზებმა უფრო დაახლოვა ისინი. ყველაფერი, რის შესახებაც კი მიხეილ



დიდ ბავშვობამდე ბევრი აღარაფერი დაგვჩენია.

მეგობრის წერილიდან.

რაც დრო გადის, რაც დროს გადის, ემატება ეშხი ქედებს, ცოტა დაგვრჩა დაცხრომამდი და ნაცრისფერ სიბერემდე.

ზოგჯერ აყაღმაცალია — ვინ ვის მხარს რად უჭერს გულით. ჩვენი მოწმე მაცუვლია, შარვლებს ჩაბლაუჭებულა.

ახლაც მათრობს სუნი კამის, ახლაც ჰყვავის სულში ბლები, ახლაც ისმის სისხლში ჩქამი ჩალისღერის წისქვილების.

დღემდე იმის გამო გავძელ, მიტომ არ ვარ დაცოფილი, ეკალი რომ ამომამერე ფეხის გულში ჩარჭობილი.

ვერავისზე ვერ გავცვალე, ვინ ცვლის ასე დახატულსა. მაგ ღიმლიში გენაცვალე — მარწყვს მაგონებს ჭანათურსა.

დე ვიართ ისე წმინდად, როგორც გვწამდა და გულს ვენდეთ, ჩვენს პატარა ბავშვობიდან დიდ ბავშვობა — სიბერემდე!..



ახალი ლექსები

ცნობილ პოეტს ნოდარ ჯალალონიას დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა. უურნალ „დროშის“ რედაქცია, თავის მრავალრიცხოვან მკითხველებთან ერთად, ულოცავს ძვირფას მეგობარს თავისი ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

ნოდარ ჯალალონია

ტიმ სევერინს

ზღაპრების ბედი ბეწვზე ჰკიდია, ეცემა ძველი ზღაპრების ფასი. არც ლეგენდა და არც მითია, არგონავტები მოადგნენ ფაზისს.

თითქოს ჩვენს გვერდით იდგა წარსული, ზოგჯერ წარსულიც ხომ იმედია — და მზე, ცისა და მიწის ასული, მართლაცდა ჰგავდა იმ დღეს მედვას.

არ აშინებდა ოცნებით დაღლილს ისევ ახალი გზის დასაწყისი, და სიყვარული ქართველი ხალხის მიჰქონდა, როგორც ოქროს საწმისი.

არხოტი

მაინც გამოცხვა კვერი ობლების, მაინც იხარა დედაშვილობამ... ომგადახდილი დგანან სოფლები და იმუშებენ წლების ჭრილობას.

კვლავ ახმაურდა დღეები ჩუმი, კვლავ ახმაურდნენ არხოტის მთები, სახლში მგლებივით მოვარდნილ დუმილს სოფლის ძაღლები მისდევენ ყეფით.

გზას ბილიკები აუკაფია, მოჩანს შატილი, როგორც ყვავილი, და სიხარულით მთვრალი კაფია მეკეკლუცება ლამაზ ქალივით.

მხატვარი არხოტი

იმ ძველ ზღაპრებს და იმ ძველ არაკებს, თუ უმღერიათ, ალბათ, ამაზე, ფუნჯით ტილოზე აწყობ, ალაგებ, არხოტის ფერებს და სილამაზეს.

მცხეთის კარამდე ფეხდაფეხ მოგყვა გაავებული არხოტის ქარი... მოგაქვს სურათი და თითქოს მოგყავს მოტაცებული ლამაზი ქალი.

მონუსი ემიგრანტი სპილოვანის სასაფლაოზე

ახლა არც მიკვირს და არც მაოცებს, მე ახლა ვიცი, მე ახლა ვხვდები... რად მიაქვს სამო სასაფლაოზე სპილოს — დაღლილი, ბებერი ძვლები.

მე ახლა ვიცი, მე ახლა ვხვდები, ბოლომდე ვივლი ასე ეული და უცხო მიწას სამარე ჩემი შერჩება, როგორც უცხო სხეული.

ცა სავსეა ოცნებებით

დაისერა ჩვენი სული კოსმიური ხაზებით, ვჭრით შორეულ გალაქტიკას ფიქრით — ჩვენი ლაზერით.

მთვარე უკვე ცის სასახლის გაღებულ კარია. პოეტების ოცნებები სინათლეზე ჩქარია.

გველოდება ახლა მარსი — ვარსკვლავების ცერბერი. ცა სავსეა ოცნებებით, უფრო საოცრებებით.

დაისერა ჩვენი სული ზეციური ხაზებით. ვჭვრეტთ შორეულ გალაქტიკებს აზრით — ჩვენი ლაზერით.

დაფენმძიმდა დედამიწა კოსმიური ვნებებით. ცა სავსეა ოცნებებით, უფრო საოცრებებით.

ღონ-კინოტი

უკვდავი და ერთადერთი ისევ დადის როსინანტით, ებრძვის ბოროტს, იცავს კეთილს რაინდი და ძველი გრანდი.

კვლავ მიჰყვება გოლგოთის გზას, არ დაეძებს ცაში პარნასს. გვერდით თავის შვილები ჰყავს და ერთგული სანჩო-პანსა.

მას არც წლების და არც მტრების არასოდეს შინებია... ალბათ, ნაღდი პოეტები ღონ-კინოტის შვილებია.

ლამაზი დღე

ისეთი დღე და ისეთი მზეა, გინდა მტერსაც კი ძმასავით ენდო. ნუ შემახვედრებ დღეს რამე წყენას, ეს ლამაზი დღე მაჩუქე, ღმერთო!

თარგამთა აღზრდა

საქართველოს სსრ დამსახურებულ მასწავლებელს, დავით ბაქრაძეს საქართველოს თბილისის 54-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ვენერა ნოდის გუშინდელ დღესავით ახსოვს პირველი გაკვეთილი. ის-ის იყო დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და, არც უყოყმანია, პირდაპირ მშობლიურ სოფელს მიაშურა. აბაშის რაიონის კვათანას საშუალო სკოლის მეათე-კლასელები თვითონაც ლელავდნენ, გამოუცდელმა პედაგოგმა კლასში ფეხი რომ შედგა. მასწავლებელსაც ნერვიულობისაგან ფერი აღარ ელო სახეზე.

ქულებდიანი აღმოჩნდა ის დღე... მას შემდეგ ოთხი ათეული წელი გავიდა. მიდიან და მოდიან თაობები, ის კი ისევ ისეა — მხნე, ენერგიული, დაუღლელი.



განა საოცარი არ არის? მის რომელიმე მოწაფეს მოაკითხავს პაპა. შეხედავს მას ვენერა მასწავლებელი და მის თვალწინ გაივლის ამ ხანდაზმული კაცის ბავშვობა.

ისიც, ამ ბავშვის პაპაც ხომ მისი აღზრდილია, მისი ყოფილი მოსწავლეა. აი, ახლა შვილიშვილს მოჰყვა და სიხარულის ცრემლს ვერ მალავს: ფიქრით ვენერა მასწავლებლის გაკვეთილზე ჯდება. მთელი კლასი გასუსულია, რიტმულად ისმის ვენერა მასწავლებლის ხმა, მუსიკასავით სასიამოვნოა მისი მოსმენა. მერედა, ამ დალოცვილს, რა ხატოვნად შეუძლია ისტორიულ ფაქტებზე თხრობა...

ვენერა ნოდია დღემდე სწავლობს და ასწავლის, ეძებს და პოულობს კიდევ ახალსა და უთქმელს. დღევანდელი გაკვეთილი არა ჰგავს გუშინდელს, სიტყვასაც უფრო მეტი ფერი და აზრი მისცემია.

... და მისდევს კვირა კვირას, თვე თვეს, წელიწადი წელიწადს. ვენერა მასწავლებელიც საგანთან ერთად მთელი თავისი არსებით ასწავლის ბავშვებს ერთმანეთის პატივისცემას, სიყვარულს, ერთგულებას, კეთილ გზაზე სიარულს, ფასს მართალი სიტყვისას.

თარგან არჩვაძე

საპარტიზო სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

საქუ



როგორც იქნა... დაღვთო საშველი!.. ქიშკარში დედაჩემი და ცაბუ შემოვიდნენ და კონდაროჭრილ აგურისფერ ბილიკს ნელა გამოყენენ ოდისაკენ. ფანჯარას სწრაფად მოვშორდი და სარწვევლაში ჩავჯექი, ვითომ არაფერია უჩვეულო ცაბუს დღევანდელ სტუმრობაში, სხვათაშორის გადმოიარა ჩვენკენ, და მეც გაქალაქებული, უსაქმო ბიჭი, ვთვლემ ჩემთვის, ვითომდა სულ არ ველი ამ რაჭულგამწერალ ცაბუს.

მოღბერტი გვერდითა ოთახში მიდგას, სწორედ იქ, სამი წლის წინ ბოზა ქალს რომ ვხატავდი. მოგარებულშია, არ მინდა მეზობლების უნდო, ხან კი ღიმილმორეულმა მწერამ გაანდლოს ჩემი აღმაფრენა. მამაჩემის შენიშვნებს ხომ მტერმა გაუძლო სულ პლანტაციისა იეს ოჯახს შენებულ და მაინც და მაინც დღეს შეაწუხა იზიანება. ოხვრა-ოხვრა დადის ოდაში, უკვე სამჯერ ჩამოუარა ოთახს კოჭლობით, კარებს გაუსწორდება თუ არა, ხელს თქმულ შემოიდებს და: ახ, ახოო... გააგრძელებს კვენსასავით, ზედ კარებთან, და გაივლის. წელი თუ გტკივა, შე კაი კაცო, დაქეი ან წამოწევი, მარა სინდისზე მაგდებს! ვითომ თვითონ არ მეხვეწა წუხელ, დარჩი და დახატეო!..

რკინის კიბეზე ერთი თვლია ამოვარდნილი და მან ჭერ მსუბუქად გაიწკარუნი და დედაჩემის ფეხის ქვეშ შემდეგ კი ყრულ დანილია, ამოვიდნენ!.. პატარა ბიჭვით წამოვხტი — შეგებება მინდოდა, მაგრამ როგორც კი გამზადებულ მოღბერტს შევხედე, გამახსენდა, გულგრილი რომ უნდა ვყოფილიყავი, სწრაფად ჩამოკვეციე მოღბერტი, კედელთან მივდგი და ისევ სარწვევლაში ჩავეხვე, თვლიც კი მივლოდე.

გულმინდელი საღამო რომ არა, რაში დამჭირდებოდა ეს თამაში, ცაბუს დავხატავდი, ან არ დავხატავდი და, მაინც მშვიდად ვიქნებოდი, ჰა, და ჰა, ერთი სურათით ნაკლები მექნებოდა სახელმოსნო...

სამხრობისას მამაჩემმა ვითომ ხუმრობით გადმომიკრა, რად გინდა ცაბუს დახატვა, ცოლად ხომ არ მოგყავსო. მე გამეცინა და დედამ ჩემს მაგივრად უპასუხა:

— სერაპიონ, რა დავმართა კაცო, ცაბუ არავინ ითხოვა ამ სოფელში და რაღა მაინცდამაინც ჩემი აკადემიადამთავრებული შვილი შეირთავსო...

მამა პატარა ხანს გაჩუმდა, გული დაიწყნარა და ახლა, ცაბუს ბედით შეწუხებულმა, წყნარად დალიაპარაკა:

— იგი ძღაბი რავა არ გეცოდება, სასაცილოდ აიგდებს სოფელი. და, რომ იცის, ნიშნის მოგება როცა უნდა, ისე აზიდა წარბები.

დავიწყე ახსნა-განმარტება, ჩამოვყუვი, ამისთანა და ამისთანა ჩამოშავლობის ქაღები დაუხატავთ?... თვით მეფეები და მათი ასულბები, მწერლები, სახელმწიფო მოღვაწეები... საერთოდ, აღამიანის პორტრეტის გაკეთება პატივისცემა და არა მასხრად ავდებ, რა ვიცი, რაღა არ ვთქვი, მერე, უცებ გავმწარდი, სულ თავდაცვაზე ხომ არ იფიქრებ, ისიც საკუთარ მშობლებთან, და სუფრიდან წამოვხტი, — თოფი მოაშაღე, თოფი — კარებში დავიყვირე და ოთახიდან გავვარდი.

ახე ერთი საათის მერე, სახეზე პლედწაფარებული რომ ვიქევი ჩემს ოთახში, მამა შემობრძანდა, უკვე კოჭლობდა: — ამ ოხერმა ფელენჯმა შემიპაძა გული, — ჩაილაპარაკა, ვითომდა წელკავი რომ არა, უსიამოვნებაც არ მოგვიხდებოდაო.

— ბონდო, ბიჭო, — ტახტზე ჩამოვხტი და, კარგად რომ მოეწყო, მერე მიხსრა:

— არ იფიქრო, მე ხატვას ვიშლიდე, მარაა...

— რა, მამა ბატონო!..

— რა ქენი მაშინ, თუ იცი შენი — უცებ აუმაღლა ხმას, — დღესაც იმ ბოზაზე ლაპარაკობს მთელი სოფელი.

ბოზაზე კი არა, მართალი თუ გინდა, ბატონო, შენზე ლაპარაკობენ, სერაპიონმა თოფი რომ გაისროლაო! ამხნის კაცი, ბრიგადირი, პატივცემული, ფანჯარაზე რომ ამოხვედი და თოფის ქეჩა ატეცი, ვითომ იქცეოდა მთელი ქვეყანა?

— ბონდო, ბიჭო, — ახლა დამიყვავა, — აქ სოფელია და რაც მამაშენს და ბაბუაშენს არ უქნია, იგი არ უნდა გააკეთო. რა უნდოდა ჩემს ოდაში ბოზას, რიგია ჩაიკეტე კარები? ვიფიქრეთ, ეს ბოზები იმისთანა ქურდი და სინდისგაღლეთილი ხალხია, რამე არ ჩაარტყას ბიჭს არა არ მოგვიკლასო, დედაშენი მთლად გადარია, მერე, ბატონო, ჩამიჩუმი არ ისმოდა და ამოვიდოდი ფანჯარაზე, აბა, რა იქნებოდა!

— კარგი, მარა, თოფის სრულა რაღა იყო, რომ ჩამოიტანე ცა ძირს?

— აბა, შენ ხარ ჩემი ბატონი, — მამას აქ აშკარად შერცხვა, თავიც კი დალუნა ძირს, — ტიტლიკანა ქალი რომ დავინახე ტახტზე წამოშდარი, თვალს რომ აეღვებდა ურცხვად, რას ვიზამდი, თუ იცი! აქ, ბატონო, სოფელია და პატროსანი ხალხი ცხოვრობს...

— მე მივიღვიარ ამდამ, თორმეტი საათის მატარებელს გავყვები. მაგრამ ისე კი არა, მაშინ რომ გავიქეცი და მაინც ჩამოგობრძანდი... ვიფიქრე, წავალ, დავხედავ იმ ხალხს, საქმესაც გავაკეთებ, ცაბუს დავხატავ და „შემოდგომას“ დავარქმევ, მე შენ გეტყვი და, არ იყოს შემოდგო-

მასავით სავსე და ბარაქანი! — კი, მარა, ცაბუს შემოდგომას რაფერ დარქმევ?

— კარგი, მამა, არაფერს არ ვარქმევ, მივდივარ ამდამ.

— რას ჰქვია, მიდხარი! — ისევ შემომიტია მამამ. — ახლა აყო კიდევ დედაშენი ცაბუსთან, აუხსნია, დახატვა ძალიან საპატივსაცემო ამბავია და გადმოდი, დიფასე თავიო, ცაბუსაც, ხვალ გადმოვალო, უთქვამს. ის კი არა, — უცებ ჩურჩულზე გადავიდა მამა — დედაშენმა ის ფეხმოდრეცილი შუტუთა დაინახა ცაბუს ქიშკართან.

— რომელი შუტუთა?

— რომელი და, ბაღნობიდან რომ უყვარს ცაბუს... მაგი ფეხმოდრეცილი კი სულ ასე იძახდა, საქალეთი ხომ არ გამწყდარა, მაგას ცოლად როგორ ვითხოვო.

— ასლა რა ეტაკა?

— რა და, სამი დღეა სოფელი ლაპარაკობს, ქალაქში გამოსულ და აკადემიადამთავრებულ ბონდო აღამიას თუ მოეწონა ცაბუ და დახატვის უპირებს, შუტუთა ფეხმოდრეცილის დასაწუნი რა აქვსო. ჰოდა, ახლა შენ რომ მატარებელზე წახვიდე, დაიღუპება ცაბუ, — მოკლედ მოჭრა მამამ.

— კარგი, ბატონო, მეჩხუბებოდი არ დახატო, თავი არ მომჭრა სოფელშიო, ახლა მეხვეწები დახატეო, ვერაფერი გავიგე თქვენი, მთლად გამიარა ცაბუს დახატვის სურვილმა. — ახლა ასეა საჭირო, დარჩი, შველო, კეთილია მაგი საქმე და წინ დაგხვდება, რასაც კარგს იზამ! — და ისე სწრაფად დატოვა ოთახი, არ გადაიფიქროსო, კოჭლობა სულ გადავიწყდა...

— მუჭორე სქანი საქმე, ცაბუ ძღაბი? — ზალაში შეხვდა მამა ცაბუს.

— ცაბუ, როგორ ხარ გოგო, ოთხი დღეა ჩამოვედი და ერთი არ გადმოიარე ჩვენსკენ?

— რას იზამ, ბონდო, საქმეა ბევრი, ისეთი დროა, სასიეროდ ვერ მოიცლის აღამიანი, — ცაბუ აშკარად დანაზებული იყო, საქციელიც და ლაპარაკიც სხვანაირი ჰქონდა. რაღაცას ქვეშეცნულად ემოქმედა მასზე, რასაც თავად, ალბათ, ვერც კი გრძნობდა. ამან ისევ განმწყობს სამუშაოდ და კარებთან შეჩერებულ დედ-მამას ღიმილით გადავხედე.

— დაბრძანდით, ბატონო, აგერ, ტახტზე მოეწვეთ. ცაბუ, ფეხზე თუ დადგები ცოტა ხანს?

— ცოტა ხანს კი არა, დიდხანს შემიძლია, — თავი არ დაიხოვა ცაბუმ.

ამასობაში მოღბერტი გავშალე, ზედ გამზადებული ტილო შემოვდგი და ხატვა დავიწყე. რა სასაცი-

ლოა ეს ცაბუ! თავი ოდნავ გვერდზე დახარა და ილიმება, ისე, სურათის გადაღების დროს რომ იციან. მერე, ალბათ, იფიქრა, აჰ, ასე არ ვარგო, და ახლა სხვა მხარეს გადასწია თავი, ისევ ილიმება.

ცაბუს მწერა გაეჭვა. ღიმილიც გაუქრა სახეზე. დედაჩემი ფანჯარასთან მისულიყო და უარის ნიშნად ხელებს ენერგიულად აქნევდა. მამაჩემი უკან მედგა და ძალიან სკეპტიკურად ათვალთვრებდა ტილოს.

— რა იყო, დედა, რა ზღემა ეწოდა?

— რა და ბაღნები არიან ეგერ, ამოსვლა და ყურება უნდათ.

— ყურება რას ჰქვია, კინოს კი არ ვუშვებ მე აქ. ასე არაფერი გამოვა. თქვენ ხელს მიშლით. ვერ ვმეშუაბო, როცა მიყურებენ. არ შემიძლია და მომკალით! ნახშირის ფანჯირი მივაგდე და ისევ სარწვევლაში ჩავჯექი.

მამამ ერთი პირობა მე გადმოხმე და მრისხანედ, მერე ტილოს მიაშტერდა და კატეგორიული კოჭლობით დატოვა ოთახი. დედაჩემი ტუსტუსით მიჰყვა უკან.

— ბონდო, თუ გინდა, კარებს ჩაკეტავ, მაინც არ დაგაყენებენ წყნარად, ხელს ვერშლიან, ვერ ხედავ? — და ცაბუს პახუსისათვის არ დაუცდიო. გასაღები გადაატრიალა, მობრუნდა და ძველ ადგილას გაჩერდა:

— როგორც გინდა, ისე გაჩერდი, ცაბუ, სახე ჭერ არ მჭირდება, მე შენი სილღუეტი და ფორმები მაინტერესებს. სხვა რამეები მერე...

— რა სხვა რამეები? — მოიბღვირა ცაბუ.

— სახე, ღიმილი, შენი ფერები, რომ გავხედე, მივხვდი, რომ აუცილებლად უნდა განმეძარტა ნათქვამი, — შენი სახის მოყვანილობა, თვალების ცისფერი, ძალიან ღამაში ტონი შენი ჩალისფერი თმებისა, — და კიდევ რომ გავხედე, გავიფიქრე, რომ უნდა მეღაპარაკა, მეღაპარაკა და გამერთო ცაბუ.

— იცი, ცაბუ, ჩვენ, მხატვრებს, სხვანაირი თვლები გვაქვს, ისეთ რაღაცეებს ვხედავთ, სხვები რომ ვერ ამჩნევენ. მოკლედ, ჩვენ ჩვენებურად ვინებებით...

...„შენი სახე... ღამაში თმებიო. ფორმებიო... რა ფორმები? ყველანი გათახსირებული არიან მაგენი. როგორ მიყურებს! დედა, რაფერ შეიძლება გასათხოვარ ქალს ასე შეხედო, თვლებმოჭუტული მაკვირდება, მაკვირდება დიდხანს, მკერდზე მიყურებს, უყურე შენ მაგას!.. ისე მომშტერებია, თითქოს კაბის განდა უნდაო!..“

— ჰმ, ცაბუ, ერთი საინტერესო რაღაც უნდა გითხრა! წელან გიხსენე



მხატვრის თვალი და ოსტატობა. იცი, სულერთია ჩემთვის კაბა გაცვია თუ არა, შენს მკერდს მე ცხად-დად ვხედავ. თუ ამას ისე დავხატავ, რომ სხვებსაც დავანახო შენი მკერდის სილამაზე, ოსტატობა სრულყოფილი იქნება. გაიგე, ცაბუ, რა გითხარი? ხომ არ გამებუტე, ხმას რატომ არ იღებ?

— მართლა შიშველს ხატავდი იმ ციგანკას? — იკითხა ცაბუმ.

— ციგანკას კი, საოცრად ლამაზი მკერდი ჰქონდა. რა მოხდა, ეგ არაფერი. როცა ვხატავთ, ჩვენთვის არ არსებობს გახდილი, ჩაცმული, ნატურა და მორჩა.

— ბონდოია, — ძალიან ჩუმად თქვა ცაბუმ.

— რა იყო, ცაბუ?
— ბონდოია, ხომ ხარ ჩემი ძამია, შერვეკლასამდე ხომ დავდიოდით ერთად კლასში.

— კი, ცაბუ, ერთად დავდიოდით, ეგ კი არა, გალახულიც გუპავართი-ორჯერ.

— მერე, ნუ მიყურებ მასე.

— როგორ, მასე?

— რა ვიცი, იმნაირად...

— რა იმნაირად? ვერ მივხვდი, რას მეუბნები...

— თვალებს რომ ჭუტავ და მამუტერდები, ნუ მიყურებ, ხაერთოდ.

— აბა, როგორ დავხატო?

— დამხატე, ბატონო, მაგრამ გითხარი მე, მასე ნუ მიყურებ-თქო, გაიგე? კაბის გახლაზეც არაფერი მითხრა, თორემ...

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა... კაბა რომ გაიხლო, ურიგო არ იქნება, — სიცილი-მა წამოშარა, გახდილი ცაბუ რომ წარმოვიდგინე. ჰო, ჰო, ჰო, ჰო — რა მშვენიერი სანახაობა ვადამეშლვება! — ახლა ჩავბუირდი, უცებ რომ გავიანჯრე ცაბუს შიში.

...უყურე შენ ამ უღღერსი ღო-ყაში ჰაერი გადის და ფეხები ჯოხებს მიუგავს, ვინაა შენი დასაცინი, შე საცოდავო უარიც არ მითხრა კაბის გახლაზე? არც ეს ლაწირაკი მთვლის ქალად. შე შენ ვიჩვენებ სეირს, მხატვარო... თქვენ ვიჩვენებ შენ სეირს... როგორი ქალი ვარ მე, დანახავ, თუ არ გახსნილია მუხლებზე, არ ვიყო მე ცაბუ! თუ სერაპიონს თოფი არ გავასროლიე, რა ქალი ვარ მაშინ, ახლა მიყურეთ თქვენ...“

— კარგი, ცაბუ, რა გვაქვს ჩვენ საჩუბარი? მე ცული არაფერი მიფიქრია, ისე გელაპარაკებოდი, გეხუმრებოდი, რომ შემეჭკაე ერთხანს...

— აბა, რატომ ჩაქეტე კარი? — ისე დაიყვირა ცაბუმ, თითქოს შველას თხოულობდა.

— მე დავკეტე? — სისხლი მომავა ყელში.

— ნენა, ბონდო, ბიჭო, გამოიდე კარი, ნენა, შემოვალ ერთწამს, წელს არ შეგიშლი, ხმას არ ამოვიღებ, — კართან ძალიან მორიდებულად გაისმა დედაჩემის ხმა.

...რა სულელი ვარ, კარი თვითონ არ დავკეტე? ეწყინა ახლა, ამას... არა, ბონდოს გაბრაზება არ შეიძლება, ბონდომ უნდა დამხატოს და მარტო შუტუიამ კი არა, ყველამ

იცოდეს, რომ ამისთანა გადასარევი ქალი ვარ...“

— დაჭეკი, პატარა დაისვენე, დაილაღე ფეხზე დგომით, ბონდო! — მითხრა და მთლად გამაკვირვა, ვერაფერი გავიგე. როგორ მათამაშებს ეს ქალი თავის ჭკუაზე, სოფელი უძახე შენ!

— კი, დაისვენე პატარა. მე ეგერ ფანჯარაში გავიხედავ. წავიდნენ ბაღები, ალბათ. ხმა არ ისმის...

...ეეე... ეგერ არიან გადასული ჰიშკარში, მიმსხდარან ღობის ძირში და ატრიალებენ ენას. სალაპარაკოს იშოვით, ჯერ სად ხართ! უფროსები არ ჩანან, საკვირველია, ისე შეიკეტნენ სამზადებში, ვითომ არაფერი აინტერესებთ. შუტუ ამ საღამოს მიდის სამუშაოდ, უნდა წავიდეს, ასე, სამ საათში... გეყოფა ახლა დასვენება, ბონდო ბატონო, ძალიან არ დაიფასა თავი? გირჩევნია დამხატო, თორემ მე ჩემსას მინც ვიზამ. შუტუიას ვერ დავკარგავ, ვერც ოჯახს და ხუთ შვილს დავკარგავ, მინდა მე შვილები...“

— ბონდო, ცოლს რატომ არ ირთავ? — და ცაბუ ისე საქმიანად გაჩერდა ძველ ადგილზე, თავის ამორჩეულ პოზაში, რომ კინაღამ წამოედქი და მოღებრტს მივაშურე. გამიკვირდა, ცაბუმ სრულიად გულგრილად აუარ-ჩაუარა ნახატს, თვალის არ შეუვლია მისთვის. არ აინტერესებს, თუ რა არის? არა, ცაბუზე ქალიაო, ნაღდად გაგიჭირდება თქმა.

— შენ, ალბათ, გამხდარი ქალი მოგწონს!

— ჰო, რომ არ მოგატყუო, ასეა, — ცალკეად ვიციანი და დაბეჭითებით ვფიქრობ იმაზე, რომ ცაბუს სინაზე სადღაც გაქრა, ახლა ჩემს წინ ძველი ცაბუა, უხეში, ყალბად გაპრანჭული, რომელსაც ჰგონია, რომ ისევე შევებებებები, დამახატვინე შენი თავი, შენი ჰირომი, შენ გენაცვალე, ცაბუ-მეთქი. არაფერი შეეშალოს, მომწყინდა პრავინციული სცენები...

— თუ გყავს საცოლი?

— კი, — სწრაფად ვპასუხობ, მეც არ ვიცი რატომ.

— მერე რას ელოდები, რატომ არ თხოულობ?

— ბინის დამთავრებას ველოდები, და...

— ჰო, აბა, ეს სახლი რაში გარგია, ქალაქელი გაპრანჭული ქალი სოფელში ხომ არ იცხოვრებს? — ახალ იერიშზე იყო გადმოსული ცაბუ და გადავწყვიტი, არ შემახსნა.

— დედაშენს და მამაშენს მარტო ტოვებ სოფელში? — არ ცხრებოდა ცაბუ.

— შენ რატომ არ თხოვდები? — ვითომ შუტუიანზე არაფერი მქონდა გავგონილი, ისე მიაბიტად ვკითხე.

— გავთხოვდები, რა მიჩქარება? შარშან ვიფიქრე, სოხუმში წავსულიყავი და სუბტროპიკულზე ჩამებარებინა, მარა, შემეშარა. რა აუცილებელია ქალისათვის უმალღესი. ჩემი უმალღესი ჩემი ოჯახია. გავაჩენ ჰუთ ან ექვს ბაღანას და გავზრდი. ჰქმარს მივეფერებები, დღლილი რომ მოვა საღამოს... არ ჯობია

უმალღესში სწავლას და აგრონომობას?

— აუჰ, ავაშენა ღმერთმა, ცაბუ, ეს რა მშვენიერი აზრები გქონია. შენისთანა ქალი მოგვცა მრავლად. ქალაქში ერთი ბავშვი თუ გააჩინა ქალმა, ხომ ფეხები უნდა უჯონო და, ორი თუ გააჩინა?!

— კიდეც მოგწონს გამხდარი ქალები, ბონდოია? — თვალები კმკლუცად მოწყურა ცაბუმ და წკრიალი გააბნია სიცილში.

— ოჰ, არა, ცაბუ, შენისთანა ქალები მომწონს.

— შენ კი მოგწონვარ, მარა მე შუტუიას უნდა გავყვე ცოლად, — თვალები უცნაურად უბრწყინავს ცაბუს.

— რას ამბობ, შუტუიას როგორ გავატან შენს თავს?

— აბა, არ ვაატან შუტუიას ჩემ თავს?

— ვერ გავატან, ცაბუ, მომკალი თუ გინდა. წავიყვან ქალაქში და დავხატავ ყოველდღე.

— გახდილს დამხატავ, თუ ასე?

— გახდილს, რა თქმა უნდა, — სიცილით ვკვებოდი უკვე.

გაქავრებამ მთლად გადაშარა. უკვე, საბაბს ვეძებდი, რომ ავმდგარიყავი და ხატვა გამეგრძელებინა; ის კი არა, ახალი სურვილიც გამიჩინდა, რომელიც ხატვით დამიდგა წინ. ჩემი დანახული ცაბუ ახლა ასეთი იყო: ბუნების მწვენი ტყვიდან გადმოსულ დედას ბავშვები და ხუნძლიან, თითქოს იმ წვენი თუნდათო გავსება, რომლითაც გაულენილია თვითული ღერი და ფო-

თლი, ჰაერიც კი, და მათთვის ამ სიმწვანესთან შერთვის ერთადერთი ძაფი სწორედ ისაა, დედა-საწყისი. დედა-ბუნება... მადლობთ, ცაბუ, კეთილ ფიქრებს მკარნახობ, მაგრამ რატომღაც არ მასრულებინებ. რადეცნაირად მიშლი ხელს, რომ ეს ფიქრი სურათად ვაქციო.

— ძალიან მინდა დამხატვა, ბონდოია, ხომ ხარ ცნობილი მხატვარი, დედაშენმა თქვა თბილისში გამართულ გამოფენებში მონაწილეობსო, გაზეთიც გვაჩვენა, — რადეცნაირი მულდართ მამუტერდება ცაბუ, რატომღაც მევედრება, რადეცნის მთხოვს... ოღონდ რას? სულ დავიბენი. რა დემართა? რამ შეცვალა და გადასხვაფერა? ნუთუ ბავშვობიდან გამოყვა რაიმე გრძობა და როგორც კი ყურადღება გამოვიჩინე მის მიმართ, ბავშვობაში ჩასახულმა სიყვარულმა გაიღვიძა... არა, არა. რა სისულელია... როგორ შეიძლება? მე და ცაბუ ხომ ცა და მიწასავით ვართ დაშორებული ერთმანეთისგან?... აბა, რად აინტერესებს ცოლს ვირთავ თუ არა, გამხდარი ქალი მომწონს, თუ მსუქანი? რადეც ხდება. ძალიან მომინდა ცაბუს პატარა, მრგვალ თვალბეჭში ჩახედვა და ჩაღრმავება, რომ გამოიქცნო თითქოს უაზრო და ყოვლად დაუჭერებელი, მაგრამ მინც ხაინტერესო და გულის მომფონავი გრძობა მიხე ქალური ინტერესისა...

— ნენა, ბონდო, გააღე, შვილო, კარი, შუტუ არის ჩვენ ჰიშკარზე მოსული, კი არ აპირებს აქეთ ამო-




ეროვნული
ოლიმპიური
კომიტეტი

იპოდრომში.



ფოტო თარხან არევაძისა.



ეროვნული
გიგლირთიკა

ლაბორანტი თინა ცინცაძე სატურნის ფოტოთი.

აბასთუმნის პარსკვლავები

ფოტო ანატოლი რუხამისა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი ევგენი ხარაძე.

სამეცნიერო სამუშაოს გარჩევისას: ასტრონომიული რადიო-ელექტრონიკის ლაბორატორიის გამგე ანატოლი კოროლი, ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი გურამ სალუქვაძე, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ჯგუფის ხელმძღვანელი მარინე გიგოლაშვილი და უფროსი მეცნიერი მუშაკი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი როლანდ კილაძე.



დაბა აბასთუმანი თბილისიდან ორასი კილომეტრის დაშორებით, აჭარა-იმერეთის ქედის ფერდობზე, მდინარე ოცხეს ნაპირებზეა გაშლილი.

ძველთაგანვე ცნობილი სამთო-კლიმატური კურორტი აბასთუმანი დღეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი დიდი სამეცნიერო ცენტრია — აქ მდებარეობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასტროფიზიკური ობსერვატორია.

სამეცნიერო კოლექტივი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ობსერვატორიის დირექტორის ევგენი ხარაძის ხელმძღვანელობით დიდ მეცნიერულ შრომას ეწევა გალაქტიკის შესასწავლად.



ბინდდება. ცაზე აკიაფებულ ვარსკვლავებს მძლავრი ტელესკოპების ობიექტივებით უურადლებით აკვირდებიან მეცნიერები. იწყება დაძაბული მუშაობა, ძიება, მიგნება, გააზრება...



ეროვნული
ბიბლიოთეკა


უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვაჟა კულიჩანაშვილი იკვლევს მზის გვირგვინის ქრონოსფეროს თხელ სტრუქტურას.

— ნეტავი, რას ხედავენ უფროსები?!



მიმდინარეობს დაკვირვება მზეზე.

გალაქტიკის გამოკვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი გალინა ჭიმშელიშვილი მორიგი დაკვირვების დროს.





„მზიურის“ პარკში.

უბოთ აონდო დვალისვილისა.

სვლას, მაგრამ, ბავშვი გამოგზავნა, ცაბუს ველოდებიო.

ცაბუმ პირი დაალო გაკვირვებისა- გან, მერე აღვიღს მოწედა და კარებს მივარდა, თითქოს ხელები წა- გართვა და არ ემორჩილებო, ისე გაუჭირდა გასაღების გადატრიალება, მერე პირთაშე გამოალო კარი და დედაჩემის გამოწვდილ ლეღვიან გობს ზედ გადააწვდა.

— არა, ცაბუ, არ უთქვამს შუ- ტუს, ჩამევიდესო, დედასე, ძღაბი თავი, ნუ გაიქცევი ახლა სულელი- ვით. არაფერია, გიცალოს შუტუსი. რაც მტის გიცდის, კიდე უკეთე- სი. — ჭერ გობი დაიძრა თითქოს ადგილიდან, წინ წამოვიდა და ცაბუს უკან დახევა უბრძანა. ცაბუ უკან- უკან წამოვიდა და მხოლოდ შუა ოთახში შემოტრიალდა. დედამ ლეღ- ვი კუთხეში მიმდგარ პატარა მაგი- დეზე დადგა და ცაბო ხელით ხრი- გინით გამოაჩინა მაგიდა.

— მოდი, ბონდო, ნენა, პირი გე- ისველე. შენ იცი და შენმა ბიჭობამ, როგორ გამოიყვან ამ ჩვენ ცაბუს, ლამაზათ უნდა ჩანდეს...

— აბა, აბა! — კვერი დაუკრა ოთახში ჩიტვით შემოფრთქილებუ- ლმა მამაჩემმა; რა ფელენჭი, რის ფელენჭი, მართონის ახალი რეკორ- დის დასამყარებლად შექმლო ამ წუთში გახვლა.

— ღმერთო, ჩემი სიკვდილი იქნა ახლა, რას ვავს, ბიჭო, ეს? ჩაცმულ- ახლა ეს ქალი და ტიტვებს რაფრად ხატავ, არ გრცხვენია შენ? ხომ აც- ვია, ბატონო, კაბა, აა, ვერ ხედავ შენ ამას? შენეიერი ფოთლიანი კა- ბაა ეს, — აღშფოთებული მამა ცა- ბუსთან მივიდა და ისე მიამტერდა კაბაზე, თითქოს მე მეთქვას, კაბას ვერ ვხედავ მამა ბატონო-მეთქი.

— კაბას ჩავაცმევ... — ბორძიკით წავილულულუდე და მუდარით შევხე- დე დედას.

— ჩააცმევს, სერაპიონ, შე კაცო, რა დაგემართა, დაცადე.

— ჩააცმევს, ბატონო სერაპი- ონ, — აუვა ცაბუც, მაგრამ მამა- ჩემის რისხვა ასეთი იოლი დასაშოშ- შინებელი როდი გახლდათ.

— რამ გადაგრაია, ბიჭო, შენ, ამის- თვის ვიდგამდი წელზე ფეხს, რა ისწავლე იმ აკადემიაში? ეს... რა ქვია ამას, არ ვიცი მე. ტიტვებს რომ ტიტვლად დახატავ მაგი სხვაა, ბოშაც სხვაა, მარა მეზობელი, მეგ- რელი გოგო! არ გრცხვენია, ბი- ჭო, შენ?

— მამა ბატონო, მაცალეთ ერთ- ხანს, ჭერ ფიგურა უნდა მოვხაზო, ფოთლებიანი კაბით ხომ არ დავი- წევს ხატვას. ეს, სურათის დასაწვი- ხია. ამას, ყველაზე ცოტა, ერთი ხუთი დღის მუშაობა მაინც სჭირ- დება.

— კი, კი, სერაპიონ, მახეა მაგი, ხელს ვუშლით ჩვენ ხატვაში... მაგას ჯობია, ჩადი ახლა ჭიშკართან და შუტუ შემოიბატეთე შინ, თვარა გახ- დება მაგი სოფლის ხალაპარაკო...

— სწორი ხარ, შენ, ხირცხვილია, კაცი ჭიშკარზე მოვიდა და უნდა გა- ვიგებო, ვერ მითხარი აქამდე? მარა... პატარა ხანში ამოვალ მე და ავი ფო- თლიანი კაბა ეცვას ცაბუს, თო-

რემ?! — ღრანის ბოლოს თითი ააყოლა, საჩვენებელი თითი თავს ააცილა და მუქარით გააჩერა ზაერში.

— გავეყვები მე სერაპიონს, ლომს ჩავადგამ და ამოვალ შალე. რანაირი ლაპარაკი იცი, სერაპიონ, პატარა ხომ არ გგონია შენ, აკადემია დამ- თავრებული აქვს ხუთი წელია.

— არ ვიცი მე მაგის აკადემია, ნეტავი სულ არ დაემთავრებინა და მანდარინი მოეწია ჩემსავით, გვერ- ჩია ჩვენ, — მამაჩემი გამარჯვებული გენერალივით გავიდა ოთახიდან.

— ბონდო, გადავკეტავ კარს, შუ- ტუ არ ამოვიდეს და მართლა არ დამინახოს ამნაირად მაგ სურათზე, თვარა გაღვირევა კაცი. — ცაბუ მოლბერტისკენ წამოვიდა, მაგრამ გადაიფიქრა, სიწითლემ წამოუარა ყურის ძირებიდან და სახეზე ფოთ- ლებად დაასხდა. ჩემი პასუხისათ- ვის არ დაუცდია, ისე მივიდა კარ- თან, გასაღებს ხელი მოვიდა და ძა- ლიან ფრთხილად გადააბრუნა კლი- ტე, მერე, თითქოს თან ჩქარობს და თან ბავშვის გაღვიძების ერიდებაო, ფეხის წვერებზე აწეული დაბრუნდა უკან: არც თავისი პოზა უძებნია, არც ღმილი, ისე ჭიუტი თავშეკავე- ბით მომჩერდა, მოუთმენელი მოთ- მინებით.

...„ესაა ნაღდი ცაბუ: თამამი, ლო- ნიერი, მოუხეშავი. ისე, რაც ასწავ- ლეს — ქალი ნაზი უნდა იყოს, მომ- თმენი და დამთმობიო, ხუთ წუთს გამოიყოლა, სანამ ჭირდებოდა. ახლა საქმე აქვს ბოლომდე მისაყვან- ის, სინაზე აღარ ჭირდება. ჯანდა- ბას მაგისი თავი, ჯანდაბას ყველა „გლენის“ სიჭიუტე, მე რა პროვინ- ციასთან მოჩნუბრად გამოვდგები! ამით ხომ ვერაფრით შეაგნებინებ. თქვა მაგათზე ერთმა მწერალმა და წერტილი დაუსვა ჭეშმარიტებას. მეც მოვინდომე რენესანსის სავსე ფიგუ- რის მჭვირვალე ქსოვილით გაწონას- წორება. ბოტიჩელი... არადა ეს მწვა- ნედაკრული სამოსი როგორი სიმსუ- ბუქით შევიდოდა ფოთლების ფაქ- ტურაში, ფორთოხლის ფონი კი, ოქროსფერი ვარაუც იქნებოდა და ჩარჩოც. მარ-შო-ნი-ა!.. ახლა, ხატე ფოთლებიანი კაბა! არ გინდა, ფო- თოლი მოიფიქრო და ამ ფერის?!.. მოდელიერს რომ ფერის შეგარძნება არ ექნება?!“

...„ხუდ არაფერი ხმა არ ისმის გარედან, თუ ჩავიდა, ნეტავი, ბატო- ნი სერაპიონი ძირს, გააწყვლა გუ- ლი ამ ფანჯრის შრიალმა... დროით მაინც დამისატოს კაბა, წავიდებ ამ სურათს...“

...„ისე, თქვენ როგორც იქცევით, ისეთივე პასუხი უნდა მიიღოთი და- ვიხატავთ, ბატონო, ფოთლებიან კა- ბას, იცოცხლეთ, მე აგურისფერი გუაში მქონდესი ჩემს ხაზებს დავი- ტოვებ და მერე, თბილისში დავამ- თავრებ „ცაბუს ანუ ფორთოხლისფერ შემოდგომას“, შეიძლება, ის მეორე სურათიც გავაკეთო... ჭკუა! ჭკუა მთავარი! გონებით უნდა აჯობო პროვინციას. ასეა, ეს ბატონო, აბა! — როგორც იტყოდა მამაჩემი. აბა, ჩქარა გუაში, ბონდო, თორემ ამოვა საცაპ სერაპიონი, ხომ დამპირდა ამ წამში დავბრუნდებიო. მაგ ფერის

გამკეთებელი მე არა ვარ, სურათზე მაინც მივცემ სიცოცხლეს — ნაღდი აგურისფერი იყურებოდეს, თორემ, ხომ შემიჭამა გული ამ ფანჯმა...“

— ცაბუ, რა გჭირს, ძღაბი, გაი- ლიმე პატარა, ე, ყვავილებს ვაჭენ შენ კაბას.

— აგაშენა ღმერთმა, თვარა, გუ- ლი გამისივდა დარდისგან.

— დარდი მე მკითხე, წელან ვფი- ქრობდი, ეს ხალხი ცაბუს დედა და მამა, თორემ ხანდახან ჩემთვისაც იზრუნებენ, ხომ არ შეიძლება სულ ცაბუს ინტერესებს იცავდნენ-მეთქი.

— ისე, მართალი თუ გინდა გითხ- რა, მამაშენს მე უფრო ვგავარ ხა- სიათით.

— ჰოდა, გხატავ ახლა მამაჩემის გუნებაზე.

— შეილო, ბონდო, რეიზა ჩაკეტე კარები, მოდის მამაშენი, — დედა- ჩემის ხმა აღარ იყო ჩვეულებისა- მებრ მორიდებული, ნერვიულობამ იხიც ააფორიაქა, იმასაც დააკარგვი- ნა წონასწორობა და კარის სახელუ- რი უსიამოდ დააჩხაკუნა.

— მარტო მოდის, თუ შუტუც მოყვება, დედა ქსენია?

— მარტო მოდის, მარტო. ბონდო, გააღე ნენა, არაა წესი კარის დაკე- ტვა, გაჭავრდება მამაშენი, ხომ იცი?!

— მე დავკეტე, დედა ქსენია, ბო- ნდოს ხელი ეშლება, თქვენ რომ შე- მოდისართ. მინახავს ეგერ კაბას. უთხარით ბიძია სერაპიონს, ნუ ნე- რვიულობს, კაბა უკვე დაუხატა და ახლა ყვავილებს აჭენს ზედ-თქო.

— კაი, მე კი ვეტყვი, მარაა! ჭერ ჩურჩული ატყდა კარებთან, მე- რე მამაჩემის ხმა თანდათან გამო- ვეთა და იმ მოუთმენელ კატეგორი- ულობას მიაღწია, ტრღტსსს... დედა- ჩემი ცახცახს იწყებდა და ქმრის რისხვის ასარიდებლად უკანა ოთახს შეეფარებოდა, ან პალატაში ჩაიპა- რებოდა, რომ კარაქის დღვებაში და- ეცალა შიში და ფორიაქი.

კარზე ოფიციალური ხაზგასმუ- ლობით მოაკაჟუნეს: სამჭერ დაჭკრა მამაჩემმა მოკაჟული თითი კარს და სამჭერვე რაღაც საიდუმლო, მეტად ამალევებელი და საწემო ჩააქსოვა.

— მამა ბატონო, ნახევარი საათი დამაცადეთ და მერე ცაბუ შეიძლე- ბა აღარც დამჭირდეს, უიშისოდ და- ვამთავრებ სურათს.


— არ ჭირდება, ბატონო, არავის შენი სურათი, შუტუმ თქვა, ცაბუ ჩამოვიდესო, — კაკალ-კაკალ გამოა- ქანდაკა მამაჩემმა თვითიული ბგე- რა და გული ნაღველით გამივსო.

— აბა, მე აღარ ვყოფილვარ აღ- რაფერი. თქვენ ჭკუაზე ვიცეკვებ ჩე- ში დღე და მოსწრება, ვინ არის შუ- ტუია, არ ვიცი მე.

— რას ქვია, ვინ არის! — საში- შად აუშაღლა ხმა მამაჩემმა.

— რავე, ბონდო, არ იცი, რომ შუტუ ჩემი საქმრია?

— იყოს, ბატონო, შენი საქმრო, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ, — ჩემს მოთმინებას საზღვარი მოეშა- ლა და რაღაცნაირი სიჭიუტით ში- ვყევი ყვავილებს რიგს, — მთლად არ გადამისვენს ხაზი: ხან არ დახა- ტო, შეურაცხყოფა არ მიაყენო, ხან





კონრად ფონ მეგენბერგი (1309-1374) შუასაუკუნეების უდიდესი გერმანელი პუბლიცისტი, პოლიტიკური და საბუნებისმეტყველო მწერალია. 1337-38 წლებში იგი პარიზის უნივერსიტეტში სწავლობდა, ხოლო 1342 წელს ვენაში დასახლდა. ამ ქალაქში, შემდეგ რეგენსბურგსა და ერფურტში, დიდი ადმინისტრაციული თანამდებობები ეკავა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობდა. მეგენბერგი მრავალი ფილოსოფიური და თეოლოგიური შრომის ავტორია, მის ქმნილებათა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა 1349-50 წლებში ავსტრიულ-ბავარიულ დიპლომატიკურ დაწერილი „ბუნების წიგნი“. იგი საბუნებისმეტყველო ხასიათის ნაშრომია. ავტორი თავს არიდებს ისტორიული ფაქტებისა და პოლიტიკური ვითარების გაშუქებას — მთლიანად იფარგლება ასტრონომიული, გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული, ბიოლოგიურ-ზოოლოგიური ხასიათის ინფორმაციებით.

მეგენბერგის წიგნში მოიხილება ცნობები კავკასიის ქედის ჩრდილო და სამხრეთ კალთების მცხოვრებთა ანთროპოლოგიური ნიშანთვისებებსა და ეკონომიურ ყოფაზე. მეგენბერგის ცნობები საქართველოზე წმინდა ეკონომიური ხასიათისა და შეეხება ჩვენს რეგიონში ძვირფასი მცენარეებისა და უნიკალური ცხოველების გავრცელებას.

„ბუნების წიგნი“ არის ცნობები ამპონების ადგილსამყოფელსა და ყოფის თავისებურებაზე. პეროდიტს, დიოდორე სიცილიელის, ამიანე მარცარიანის, პროკოპი კესარიელის და სხვათა აზრით, მეომარ ქალთა ეს ტომი პონტოს ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, კაბადოკიაში, ძირითადად მდინარე თერმოლონტის შესართავთან, თემისკირის ველზე მოსახლეობს. მეგენბერგი ბერძენი და რომელი ავტორების პომპინუს

სტროგუსის, სტრაბონის, ზაქარია რიტორის და სხვათა მსგავსად გეოგრაფიულ სრულიად განსხვავებულ დებულებას: ამპონები ბინდარობენ კავკასიის ჩრდილოეთით, სკიითების ქვეყანაში, მეოტის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მდინარე ტანისის ორივე მხარეზე, შემდეგ აღმოსავლეთით, ვიდრე კასპის ზღვამდე, ვოლგის შესართავამდე. შემდეგ ახასიათებს მათ ოდიოვანდელ ადათ-წესებს და ყოველდღიურ ზნე-ჩვეულებებს: ამპონები რიცხვით ორასი ათასი არიან; ცხოვრობენ მამაკაცების გარეშე. მისდევენ ტანვარჯიშს, არიან მამაცი და მებრძოლები, უდრეკნი ყოველგვარ შერკინებაში. ბრძოლაში ჯაბნაიან მამაკაცთა თვით საუკეთესო ლაშქარს, თამამად ერკინებიან მტერს და იღუპებიან ფიცხელ ბრძოლებაში. კეთილშობილური თვისებებით უხვად შემკული ქალიშვილები დროდადრო სტოგებენ თავიანთი ქვეყნის საზღვრებს და ინტიმურად ეუღლებიან მეზობელი ტომების მამაკაცებს. მათთან ურთიერთობის შედეგად დაბადებულ ბიჭებს უბრუნებენ მამებს, ან სულაც ავადებენ, ხოლო გოგონებს იტოვებენ და ზრდიან (გვ. 492). მეგენბერგი მხარს უმხარავს იმ თეზის, რომლის თანახმად, ამპონები სარმატების წინაპრები და მონათესავე ხალხია. ამავე აზრს ახალ დროში იმეორებდნენ ჟან შარდენი და არქანგელო ლამბერტი.

მეგენბერგის წიგნში ლაპარაკია საქართველოში პილბილის მოყვანასა და მის დამუშავებაზე. მეცნიერულად და დადასტურებული მხატვრულ ტექსტებში აღწერილი პილბილის ნაყოფის შეგროვების მეთოდი, ქართული პილბილის თაობაზე აქ წარმოდგენილი გერმანული ცნობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: XIII-XIV საუკუნეების საქართველოში პილბილი სიმდიდრის უტყუარ

რი ნიშანი იყო. დიდი რაოდენობით მოწვეულ პილბილს სარეწაო ხასიათი ჰქონდა და მის მოსავალს ეძლეოდა უპირატესობა სხვა კულტურების მოყვანასთან შედარებით. იმ ხანებში საქართველოში სავაჭრო ურთიერთობები უცხოეთიდან ხორბლის შემოზიდვა, რომელზედაც ცვლიდნენ პილბილს, როგორც მთელ ქვეყანაზე ყველაზე უფრო იშვიათ კულტურას.

მეგენბერგის წიგნში ყურადღებას იქცევს საუბარი სალამანდრაზე. სალამანდრა გარეგნულად ხვლიკისმგავარი წყალხმელეთა არსებაა. გადმოცემა მასზე საკამოდ ძველი და მრავალფეროვანია. შუასაუკუნეებრივ გერმანულ წარმოდგენებში სალამანდრის გარემო კარგად აქვს გადმოცემული მეგენბერგს. არც ერთ ცხოველს, — აღნიშნავს იგი, — არა აქვს ისეთი მომავლინებელი შხამი, როგორც სალამანდრას. რომელ ხესაც კი მიუახლოვდება ეს ცხოველი, მისი ნაყოფი უშალ იშხამება და ვინც არ უნდა იგემოს, გარდუვალი სიკვდილი არ ასცდება. თუ წყაროში ჩაეარდა, აუცილებლად მოკვდება, ვინც აქედან დაღვას წყალს. სალამანდრა ბევრია აზიაში, ამბობენ თითქოს რომის პაპს — ალექსანდრეს ჰქონდა ამ ცხოველის ბეწვის საგან მოქსოვილი ტანისამოსი და, როცა მისი გასუფთავება ეწადა, წყალში კი არ რეცხავდა, ავადდა ცეცხლში, სადაც ტანისამოსი მთლიანად იწმინდებოდა. სალამანდრის ბაღისსაგან დაგრეხილი თსმა ცეცხლში არ იწვის, მხოლოდ რკინასავით ვარვარდება, ცეცხლიდან ამოდებულს არ ეტყობა არც ერთი ბეწვის ნამწვავი (გვ. 276-279).

მსოფლიო ლექსიკოლოგიაში ბერძნული ენიდან გავრცელებული სიტყვა სალამანდრა, ბროკჰაუსის ენციკლოპედიის (ტ. 16, გვ. 343)

ცნობით, წარმოდგენილია „სალამანდრა“-რადი; დიდი საბუნებისმეტყველო ენციკლოპედიის ცნობით (ტ. 37, 1955, გვ. 616-617), იგი გავრცელებული ყოფილა ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთით, საქართველოს ტერიტორიაზე, და, საერთოდ, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით. სალამანდრის გარკვეულ სახეობას „კავკასიური სალამანდრა“ კი ეწოდება.

სალამანდრის ბეწვი და მისგან დამზადებული ქსოვილი, ჩვენი ვარაუდით, მხოლოდ პოეტური ფიქციაა. იყო თუ არა დიდებულთა ტანისამოსი მთლიანად შეკერილი სალამანდრის, ან ხვლიკების ტყავისაგან, ამის თაობაზე ჩვენ დანამდვილებით არაფერი ვიცით. მაგრამ ქვეყნარმავალთა ძვირფასი ტყავით ეს ტანისამოსი ნამდვილად იქნებოდა გაწვობილი და დამზავებული. სალამანდრისა და ხვლიკის ტყავს აუცილებლად გამოიყენებდნენ პირადი მოხმარებისათვის საქართველოში დასტურდება ორიგინალური წყაროებით. ნიკო ჩუბინაშვილი გვამცნობს: „ვიგრი“ — ხვლიკის მსგავსი ცხოველი, უდიდესი მისი, რომლისაც ტყავი არ ძულებით მოლურსმული და გააქურტენ ქარქაშთა სასწრაფო საპირისწამლეთასა და სხუათა სამართა საჭურველთასა („ქართული ლექსიკონი“, 1961, გვ. 216), ხოლო „ქართლის ცხოვრებაში“ კვითხულობთ: ვახტანგმა „აილილო... ფარი... ვიგრის ტყავისათ“ (ტ. 1, 1955, გვ. 154).

გერმანულ ცნობებს სალამანდრის შესახებ ფაქტად უნდა მოვეყაროთ, ისინი უქმს პოეტურ ქართული მეტყვეობის უძველეს და უმდიდრეს ტრადიციებს.

დახატე შენ გენაცვალე — მადლი მქენ და წინ დაგვხედებაო. ხან, ასე ნუ ხატავ და, ხან, ისე ნუ ხატავო, თქვენ მასწავლით შე ხატვას?!

— გახსენს ეს კარი და გამოუშვი მაგ ქალი გარეთ, გელაპარაკები შენი

— კარგი, ბონდო, რა დაგემართა, არ მინდა, ბატონო, დახატვა, უარის თქმის უფლება აღარ მაქვს?

— აღარ გაქვს, ცაბუ, გენაცვალე. რაი დამთანხმდი და დამაწყებიინე ხატვა, აღარ გაქვს უარის თქმის უფლება. ისე, შენ არ მებუნებოდი წელან, დამხატე, დამხატე? — ბოლო ფოთოლი მივაჩინე კაბას და ფუნჯი მივაგდე.

— წელან სხვა იყო, წელან მინდოდა, ახლა აღარ მინდა, ბატონო, ვახატვებია?! — ცაბუმ საბოლოოდ აიწყვიტა ქაჭვილან, ფანჯარასთან მიიჩინა და ჭიშკარს გახედა, მერე გულამოვარდნილი მოპარუნდა და პირველად შეხედა მოღებრტზე დადგმულ ტილოს.

— არ უშვებ, ხომ?!

— გამოუშვი, ნენა, მაგ ქალი, ნუ დახატავ სულა, ვითომ, შენ გადაიფიქრე და აღარ გინდა დახატვა, — მემუდარებოდა დედა.

— კი, ბატონო, ვითომ შენ გადაიფიქრე, ბონდო, ვითომ შენ აღარ გინდა რომ დამხატო.

— მთლად მახსრად ამიგდეო, არა? ახლა, თავიც მოვიტყუო, არა? გადასარევი ხალხი ხართ პირდაპირ... რას შევბი, ცაბუ, რას ეპროწილები მაგ სურათს...

— რად გინდა შენ ეს ნაღდანის, წვივებ მე.

— რას ქვია ნაღდანის, ვის უბედავ? ამ უტვინომაც რომ ხმა ამოიღო, მომეცი ახლავე სურათი!

— შე მინდა ეს...

— სველია ჭერ, მთლად გადავივა ტანზე!..

— არ მომეკარო, ახლოს არ მოხვიდე, ბონდო, არ მომეკარო! — ფეხები იატაკზე მიმელურსნენა ცა-

ბუს ცივი, საშინელი ყვირილისაგან, თუმცა ხმამ კი არა, უფრო იმ სიტყვებმა შემზარეს, ცაბუ რომ იძახდა. მთლად გამოვლენილი ამ სასწაული ძალადობისაგან და... ცაბუს ყვირილი უცებ საშინელმა გამაყრუებელმა ხმამ დაფარა. ერთი... ორი... სამი... კარებში მიაქუსა მამჩემმა თოფი, და ისევ აწეული ეჭირა ხელში, რომ ცაბუმ მთელი თავისი ღონითა და ენერგიით პირთამდე გამოვლიჯა კარი, არც შეუხედავს მამჩემისთვის, ისე ქარიშხალივით გადაიარა ზალა და კიბე ჩაიგრიხინა:

— უყურე შენ, უნამუსო, ეს სინდისგაწყვეტილი. ენდე ახლა მხატვარს პატიოსანი ქალი. მეზობელი მაინც არ იყოს, მაგრამ თუ წავიდა ქალაქში მორჩა, წასულია მერე მისი საქმე, აქაური აღარაფერი ახსოვს. უყურე შენ, ახჭერი ვუთხარი, დანიშნული ვარ, ბატონო, მეჩქარება, საქმრო მელოდება კარზე-მეთქი, ეს მის? არ ესმის... არჩილინო? ვარჩ-

ქილე... მუთუნ ვანოდვენა ათე მახანტალებს, ვართ პატიოსნება, ვართ დუდი, პატიცემა... ესეც შენი ნახაწალი, ესეც შენი თბილისელი, ბატონო...

* * *

მატარებლის გახელას ორი წუთი რომ აკლდა, კუბეში ხვლიკივით შემოძვრა პატარა ბიჭი და ჭერ კიდევ გაოგნებულსა და აგრერიგად შეურაცხყოფილს, ხელში ოთხად მოკცილი ქაღალდი ჩამიღო. ზედ არ შემოუხედავს ჩემთვის, არც სხვა მგზავრებისათვის, ისევე მოულოდნელად გაქრა კუბედან, როგორც გამოჩნდა: „ბონდო, ძამა, არ გეწყინოს, ბიჭო, ასე იყო საქმრო, ქორწილში არ ჩამოხვალ, ნამდვილად ვიცი, მაგრამ პირველი ბიჭე აუტყვლებლად უნდა მომიწათლო. ექვსი შევილი მჭირდება მე, პირველს მამჩემის სახელს ვარქმევ, იმის დანაკლისი დღე შეგვემატა უველას“.



ნიგნიდან
„პიჭი, რომელსაც
ჩიტის გული
ჰქონდა“



იისუფერი კოსტონი

სუბა გერულავა

როგორც ერთი ლამაზი კოლხური ზღაპარი, ისე დამრჩა მესხიერებაში სოფელი, რომელიც საქართველოს რუკაზე ხორგასა და ყუღუბის შორის მოჩანს.

მე ამ სოფელში უფხო და უგერგილო აღამიანი არ მახსოვს, არ მახსოვს ძუნწი, შურიანი, ბორბოტი, უმადური...

ღმერთმა ნუ ქნას, ოდესმე უკეთური კაცი დაიბადოს ან დამკვიდრდეს ამ კურთხეულ მიწაზე!

ილილიდან შუადღემდე თანატოლებთან ერთად, გაღმა სოფელშიც და გამოღმაც, ყველა ჭიშკარს მივადექი, ყველა ეზოში შევიხედე, ფიქრით ყველა თანასოფელს ჩამოვართვი ხელი და გადავხევი, ყველას მივმართე გულის სიღრმიდან ამოსული სიტყვით:

— გმადლობთ... გმადლობთ... გმადლობთ...

ბევრმა იცოდა ჩემი ხვალისდელი გამგზავრების ამბავი. არ იცოდა მხოლოდ თათიამ. მე არ ვჩქარობდი გამხელას, სხვებმა ვერ უთხრეს, ვერ მიანიშნეს, ვერ გაუბედეს.

შუადღიდან კი მე და თათია მდინარის პირას დავდიოდით. ვიგონებდით პირველ გაცნობას, პირველ ოცნებებს, პირველ ბარათებს...

არა, გოგა, არაფერი იყო იმ ბარათებში ისეთი, რაც შეუფერებელი იქნებოდა გოგო-ბიჭისთვის, ვინც ის-ის იყო შვიდწლელი დაამთავრა.

თითქმის ორი წლის მანძილზე ყოველდღე ვწერდით ერთმანეთს. ზოგიერთი ბარათი საკმაოდ ვრცელი იყო, ზოგიერთი მხოლოდ ერთი სიტყვისაგან შედგებოდა. მაგალითად:

მე: მოხვალ?

ის: მენატრები!

მე: დაელოდები?

ასმათობას ჩემი მამიდაშვილი მედიკო მიწევდა. მას უამიყამ თათუშა ცვლიდა — ჩვენი თვალმშვენიერი თანაკლასელი, სწავლაში პირველთაგანი და შნოიანად ჩაცმული. ერთი შეხედვით იგი თითქოს ცივი და მკაცრი მოგეჩვენებოდა. ახლო გაიცნობდი და იგრძნობდი, რა გულთბილი გოგო იყო! მეგობრისათვის თავს გაწირავდა. საკუთარ გრძობასაც კი დამალავდა, დათრგუნავდა, დათმობდა. დაუბრებულ ბავშვებს ორიოდ წუთში შეარიგებდა. მასწავლებლად იყო დაბადებული, ისე უყვარდა ბავშვები...
— ცოტათი ჰგავდნენ ერთმანეთს, მაგრამ იმდენად არა, როგორც მათი სახელები — თათუშა და თათია.
შებინდებისას მივადექით ბორანს, რომლითაც გოგო გაღმა სოფელში უნდა გადასულიყო.
მორჩილად შემომყურებდა თვალბეზრით თათია. თბილი, მაყვალავით თვალბეზრით ჰქონდა. რომ ილიმებოდა, ქრუანტელი მივლიდა.
— მე უშენობა ძალიან გამიძინებდა! — დავიწყებ ანაზღად.
გუმანით იგრძნო, რომ რაღაც მოულოდნელს ვეცხვოდი.
— გისმენ, ვახუშტი!
— მე სხვაგან მივყავარ ბებიას...
— როგორ, ბებია მაკრინე აქ არის? — წარბები შეკრა, თითქოს გაუკვირდა, რატომ არ მნახაო.
— ჰო, აქ არის. მე ხვალ საღამოს უკვე აღარ ვიქნები შენს კეთილ და მშვენიერ სოფელში...
— მაინც სად მიემგზავრები? — მკითხა თითქოს გულგრილად, თითქოს სხვათაშორის.
— სამურზაყანოში...
ისე გამოვივიდა, თითქოს სხვა ქვეყანაში მივდიოდი და არა აქედან ასიოდე კილომეტრზე მდებარე რაიონში.
— სად არის ეს შენი სამურზაყანო?
— ენგურს გაღმა. მატარებლით უნდა გავემგზავრო...
— ჩემთვის მაინც შორს არის! — სინანულით წარმოთქვა და ხელი ხელზე მომკიდა. მეც ამ სიხლოვემ გამაბედვინა:
— თათო, ხომ არ დავიკარგავს ან ხომ არ დავიხევი, რასაც მე გწერდი?
— რას ამბობ ვახუშტი? შენს წერილებს როგორ დავკარგავდი, მით უმეტეს, როგორ დავხევი? — შეძრწუნდა თათია.
— მეც შენი ხელით მოქარგული არც ერთი ფურცელი არ დამკარგვია, თუმცა აღიდებული მდინარე ბევრჯერ შემოგვეჭრა ქოხში. მაღლა სხვენში მქონდა საიმედოდ შენახული.
— მართლა, ვახუშტი?
— ჰო, ასეა.
— ნეტავ, ახლა წამაკითხა, რასაც ვწერდი! — ინატრა უცებ გოგომ.

ვლებლად იყო დაბადებული, ისე უყვარდა ბავშვები...

— მეც ასე ვფიქრობ, თათო. მოდი, შევავროვოთ, რაც მიგვიწერია ერთმანეთისთვის და ხმამალა გადავიკითხოთ კიდევ...
— წავიკითხოთ, ვახუშტი! მე ხვალ წამოვიღებ შენს წერილებს...
— მე კი შენსას მოვიტან! — ვთქვი ასე, თუმცა თავისთავად იგულისხმებოდა, თათიას წერილებიც უნდა მომეტანა.
მებორნის გაჯავრებულ ხმაზე მივხვდით: უკანასკნელ გზას აკეთებდა. თათია აუჩქარებლად წავიდა ბორნისაკენ.

ლაუ ბიძიას ქოხში ანგელოსს ჩამოველო — სიჩუმე სუფევდა. გაწყობილ ტაბაკს მამიდაშვილები უსხდნენ. ვახუშტისათვის ხელი არ წაეკარებინათ. მელოდებოდნენ. ბებია და მამიდა მეზობლისას გადასულიყვნენ, ბიძაჩემს კი ეძინა, რათა უთენია ფეხზე ამდგარიყო და თავისი ყოველდღიური მძიმე ჯაფა განეგრძო.

საბედნიეროდ, შენთვის უკვე ნაცნობმა ჭიჭიკომ შემოალო კარი და მოგვამახა:
— შინ სტუმრები დავტოვე და თქვენთან გამოვეშურე. რა გატირებთ? სატირალი მტრისას. ბიჭი ისევ ქალაქში მიდის, ამ ტალახის ზეღვასა და ჭაობებში ფორთხვას იქ არ ურჩევნია? კინოშიც ივლის და ბიბლიოთეკაშიც. მოკვდა ბიჭი წიგნების საძებნელად სოფლიდან სოფელში ღოღილით...

— ვერ გავიგე, გალში მიდის თუ სამურზაყანოში? — იკითხა მედიკომ.

— ქალაქი გალი სამურზაყანოს ცენტრი გახლავთ, ცოლისდავ. ჰოდა, ამერა, ალავერდსა ვარ შენთან... ეს პირველ სიყვარულს გაუმარჯოს!

ერთი წუთითაც არ იფიქრო, თითქოს საგანგებოდ ჩემს გასაგონად წარმოთქვა ასე: ჩვეულებრივ იგი თავის თამაღობას ამ სადღეგრძელოთი იწყებდა.

დიდხანს ვაგრძელებდა ჩვენი ბურობა. მერე დავწვიქით, მაგრამ გათენებამდე თვალი არ მომიხუჭავს.

მესიზმრა: თათიას მკერდზე მიეკრა წერილების მთელი კონა და ჩემკენ მოეშურებოდა. ერთბაშად ამოვარდნილმა ქარბორბალამ მკერდიდან გამოსტაცა ჩემი ბარათები და ჰაერში ააფრიალა. ვილაც უცნობმა ჭაბუკმა ჰაერშივე დაიჭირა რამდენიმე ფურცელი, წაიკითხა, ახარხარდა და ნაკუწ-ნაკუწად აქცია.

— ვერ გავიგე, გალში მიდის თუ სამურზაყანოში? — იკითხა მედიკომ.

— ქალაქი გალი სამურზაყანოს ცენტრი გახლავთ, ცოლისდავ. ჰოდა, ამერა, ალავერდსა ვარ შენთან... ეს პირველ სიყვარულს გაუმარჯოს!

ერთი წუთითაც არ იფიქრო, თითქოს საგანგებოდ ჩემს გასაგონად წარმოთქვა ასე: ჩვეულებრივ იგი თავის თამაღობას ამ სადღეგრძელოთი იწყებდა.

დიდხანს ვაგრძელებდა ჩვენი ბურობა. მერე დავწვიქით, მაგრამ გათენებამდე თვალი არ მომიხუჭავს.

მესიზმრა: თათიას მკერდზე მიეკრა წერილების მთელი კონა და ჩემკენ მოეშურებოდა. ერთბაშად ამოვარდნილმა ქარბორბალამ მკერდიდან გამოსტაცა ჩემი ბარათები და ჰაერში ააფრიალა. ვილაც უცნობმა ჭაბუკმა ჰაერშივე დაიჭირა რამდენიმე ფურცელი, წაიკითხა, ახარხარდა და ნაკუწ-ნაკუწად აქცია.

— ვერ გავიგე, გალში მიდის თუ სამურზაყანოში? — იკითხა მედიკომ.

— ქალაქი გალი სამურზაყანოს ცენტრი გახლავთ, ცოლისდავ. ჰოდა, ამერა, ალავერდსა ვარ შენთან... ეს პირველ სიყვარულს გაუმარჯოს!

ერთი წუთითაც არ იფიქრო, თითქოს საგანგებოდ ჩემს გასაგონად წარმოთქვა ასე: ჩვეულებრივ იგი თავის თამაღობას ამ სადღეგრძელოთი იწყებდა.

დიდხანს ვაგრძელებდა ჩვენი ბურობა. მერე დავწვიქით, მაგრამ გათენებამდე თვალი არ მომიხუჭავს.

მესიზმრა: თათიას მკერდზე მიეკრა წერილების მთელი კონა და ჩემკენ მოეშურებოდა. ერთბაშად ამოვარდნილმა ქარბორბალამ მკერდიდან გამოსტაცა ჩემი ბარათები და ჰაერში ააფრიალა. ვილაც უცნობმა ჭაბუკმა ჰაერშივე დაიჭირა რამდენიმე ფურცელი, წაიკითხა, ახარხარდა და ნაკუწ-ნაკუწად აქცია.

— ვერ გავიგე, გალში მიდის თუ სამურზაყანოში? — იკითხა მედიკომ.

— ქალაქი გალი სამურზაყანოს ცენტრი გახლავთ, ცოლისდავ. ჰოდა, ამერა, ალავერდსა ვარ შენთან... ეს პირველ სიყვარულს გაუმარჯოს!

ერთი წუთითაც არ იფიქრო, თითქოს საგანგებოდ ჩემს გასაგონად წარმოთქვა ასე: ჩვეულებრივ იგი თავის თამაღობას ამ სადღეგრძელოთი იწყებდა.

დიდხანს ვაგრძელებდა ჩვენი ბურობა. მერე დავწვიქით, მაგრამ გათენებამდე თვალი არ მომიხუჭავს.

მესიზმრა: თათიას მკერდზე მიეკრა წერილების მთელი კონა და ჩემკენ მოეშურებოდა. ერთბაშად ამოვარდნილმა ქარბორბალამ მკერდიდან გამოსტაცა ჩემი ბარათები და ჰაერში ააფრიალა. ვილაც უცნობმა ჭაბუკმა ჰაერშივე დაიჭირა რამდენიმე ფურცელი, წაიკითხა, ახარხარდა და ნაკუწ-ნაკუწად აქცია.

— ვერ გავიგე, გალში მიდის თუ სამურზაყანოში? — იკითხა მედიკომ.

— ქალაქი გალი სამურზაყანოს ცენტრი გახლავთ, ცოლისდავ. ჰოდა, ამერა, ალავერდსა ვარ შენთან... ეს პირველ სიყვარულს გაუმარჯოს!

Handwritten signature or mark.



შორიასლო სხვა ბიჭებიც იდგნენ და ხარხარებდნენ.

— ჩემკენ გამოიქეცი... აგერ ვარ... თათია, ჩემო თათული! — ვყვიროდი მე და სირბილით მივდევდი საოცნებო გოგოს, რომელიც უცნობმა ბიჭებმა ხელიდან გამომგლიჯეს და შორს წაიყვანეს.

მინდოდა მეც ეყარა ფეხქვეშ გათელილი ჩემი ბარათები, ჰაერში კი ფარფარებდნენ დაფხრეწილი ფურცლები...

— ალბათ, ცუდი სიზმარი ნახე, ისე ყვიროდი! — გამომალევიდა ამერამ. არაფერი მითქვამს.

ერთდროულად წამოვხტივარ ლოგინიდან და მდინარისაკენ ვაჭიქეცი. იმ დღეს უკანასკნელად ჩავეხვიე მშობლიურ მდინარეს და ისე გამოვფეთხე, როგორც ცოცხალ არსებას:

— ნახვამდის, ხობისწყალო!

ამერა მუდამ მასწრებდა ტანსაცმლის ჩაცმაში. იმ დღესაც ჩაცმულ-დავარცხნილი უკვე ნაპირზე იდგა. შორიასლო მამიდაჩემი დავლანდე.

მან თავის ბიჭსა და ქალოშვილებს ანიშნა, ახლო მისულიყვნენ. აღელვებული მამიდა კარგა ხანს სდუმდა. ბოლოს იფეთქა:

— ყვავილები დაგავიწყდათ, ადამიანებო? ორიოდ ღერი ყვავილი მაინც არ უნდა მიართვას მეგობარ გოგოს? არ ვიფიქრიათ ამაზე თქვენ? ბიჭი სოფლიდან მიდის. ვინ იცის, როდის ნახავენ კიდევ ერთმანეთს?

ესეც შენი საიდუმლო პაემანი! ესეც შენი მრისხანე მამიდა!

ცერად ვახედე ჩემს მესაიდუმლეს, რომელმაც ხელი ჩამავლო და იქით გამოიტაცა, სადაც მინდვრის ყვავილები ეგულებოდა.

სიმინდის ყანაში, დაბალ ღობეზე ჩამოვდარა ლაუ ბიძიას თავი ხელებში ჩაერგო და ცრემლებს იშმენდა. დამინახა თუ არა, ჩემკენ გამოიქეცა ეს ახოვანი, უთქმელი ვაჟკაცი, მკერდში მაგრად ჩამიკრა და თითქმის ზღუტუნით მითხრა:

— მე რა მეშველება, მიხას ბიჭო, უშენოდ?

გული ამომიჭდა, მაგრამ ვივაჟკაცი. მედიკომ სასწრაფოდ დაკრიფა მინდვრის ყვავილები, კონად შემიკრა და მომაწოდა,

თანაც მომაგონა, პაემანზე გოგოს ბიჭმა უნდა დაასწროსო.

მეც დავასწარი, მაგრამ ლოდინი არ დამჭირებია. ორიოდ წუთში თათია იქ გაჩნდა, სადაც მე ვიდექე, მდინარის პირას, ძველი მუხის ქვეშ. ეს ხე წვიმის დროს ასიოდე კაცს მაინც შეიფარებდა.

თავისი მზისფერი კაბა ეცვა, საღმრთო სასწაულო, მე რომ ძალიან მიყვარდა. ღმერთო ჩემო, როგორ უხდებოდა ეს კაბაც, მორცხვი ღიმილიც, განზე გადავარცხნილი თმებიც! ვასაფრენად გამზადებულ ჩიტსა ჰგავდა.

ყვავილები და თავისი წერილები მივართვი. მადლობის ნიშნად გამიღიმა. ძელსკამზე, რომელიც აქ მუდამ იდგა, ჩამოვსხედით, მე ჩემი ბარათები დავილაგე წინ, მან — თავისი.

ჩემი პირველი ბარათი ავიღე და ხმაილა წავიკითხე. თვალბეზე ცრემლი მომადგა, თათიას უფრო ყოჩაღად ეჭირა თავი. მე რომ ჩემსას წავიკითხავდი, გოგო იმ წერილს გამაცნობდა, რითაც თავის დროზე მიპასუხა. ისე ვაგვიტაცა ამ უცნაურმა კითხვა-პასუხმა, ორივეს დაგვაფიწყდა ჩემი გამგზავრების ამბავი.

ბუნების წიაღში, ჩიტების დაუსრულებელ ჟღერტულსა და მდინარის ტალღების დუღუნში, თავს ისე ვგრძნობდით, თითქოს მარტონი ვიყავით ამ ქვეყანაზე.

გული ვიჭერეთ კითხვით, დავცხრით, დაემშვიდდით, ბავშვები ვიყავით და ბავშვებზე ვთამაშობდით სიყვარულობანას.

მოულოდნელად დავიწყე:

— წუხელ თითქმის მთელი დამე შენზე ვფიქრობდი, თათო. არ დავიმაღავ, ჩვენს ბარათებზეც. ვინ იცის, როგორ წავა ჩვენი ცხოვრება, ვის ჩაუვარდება ხელში ეს ბარათები, იქნებ სასაცილოდ არ ეყოს ვინმეს ის, რაც ჩვენი ლამაზი მეგობრობის წმინდა აღსარებაა მხოლოდ... წუხანდელმა სიზმარმა ხომ სულ გადამრია...

გულთმისანივით მიხვდა გოგო, რასაც ნიშნავდა ეგ სიტყვები.

— მაშ, ვაჯაქროთ, მაშ, ფერფლად ვაქციოთ ეს ქაღალდები? — უნებლიედ შეჰყვირა გოგომ და ატირდა, — რა დაგიშავეს ამ წერილებმა?

— მე დავბრუნდები, თათია. დღესა თუ ხვალ, ოდესმე მაინც უთუოდ დავბრუნ-

ნდები და კვლავ აღვადგენ, ვავაცოცხლებ, ავამეტყველებ არათუ ამ ბარათებს, იმასაც, რაც ჯერ კიდევ არ გვითქვამს ერთმანეთისთვის, რაც ჯერ კიდევ ვერ ვაგვიმზნელია საკუთარი ფიქრებისთვისაც...

წამით ვიყუჩე, მინდოდა გამეგო, მისმენდა თუ არა ნაწყენი გოგო. მისმენდა და მეც განვაგრძე:

— სასწაულთმოქმედი მე არა ვარ და ჯაღოქარი. მაინც გპირდები: სიტყვა-სიტყვით აღვადგენ ჩვენს ყველა წერილს, სათითაოდ ყველას... ენდე ჩემს ფიცსა და მეხსიერებას...

— მჯერა, ვახუშტი! — ეს ისე სთქვა გოგომ, ჩანდა, ეჭვი არ ეპარებოდა ჩემი სიტყვების სიმართლეში.

ო, როგორ მინდოდა მოვეფერებოდი მის ფაფუკ თმებს. მეთქვა ტკბილი; საოცრად ტკბილი რაღაც, რომლის მსგავსი არასოდეს მითქვამს; დამერწმუნებინა, რომ ჩემი ბრალო არ არის ეს განშორება; რომ არც ბებიანიჩემია დამნაშავე, რომ ის კი არა, ჩემს თავზე წისქვილის ქვასავით დატრიალებული უბედურება — ობლობა დამატარებს კარიდან კარში, სოფლიდან სოფელში, უღელმალაო ბიჭის ბედი მაიძულებს ასე ვიხეტიალო!

მინდოდა მეთქვა ეს ყოველივე, მაგრამ არ მითქვამს მხოლოდ იმიტომ, რომ თათიამ ისედაც მშვენივრად იცოდა ყველაფერი. მას ხომ ახსნა-განმარტება არასოდეს სჭირდებოდა.

სათითაოდ გავშალეთ და ხელისგულებით გადავაუთოეთ რვეულის ფურცლებზე ნაწერი ბარათები, ერთად მოვაქუჩეთ, მერე იმ ბარათებთან ორივემ ერთდროულად მივიტანეთ თითო ანთებული ასანთის ღერი...

ქარი არ ქროდა, ამიტომ პირდაპირ ცისაკენ წავიდა იისფერი პატარა კოცონი. ამერას ძახილი, გელოდებითო, თითქოს არც გვესმოდა. ხელიხელჩაკიდებულნი, გაბრუებულნი შევყურებდით წერილების გორას, უკვე ცეცხლის ალად რომ იყო ქცეული.

დიდხანს არ ჩამქრალა იისფერი კოცონი, რათა მისი იღუმალი შუქი ისევ გამობრწყინებულიყო ჩემი ბავშვობის წიგნის ფურცლებზე.





თუშუბი ბზაში

ნაშრომის კრებული

ამ ზაფხულს ერთ ჩემს ალვანელ ამხანაგს ნათესავი ქალი გარდაცვლიდა, დილით ტელეფონზე დამირეკა და მთხოვა, ჩემი მანქანის იმედი არა მაქვს, თუ არ დამზარდები, ალვანში წამიყვანეო.

ერთი საათით ადრე ჩავედი ალვანში. ეზოში უამრავ ხალხს მოეყარა თავი, სასაფლაოზე რომ გავედით, ქვევზე წარწერილი გვარების კითხვა დავიწყე. დამინტერესა, რა გვარის ხალხი ცხოვრობდა სოფელში.

ამოვიკითხე ორი გვარი: ალხანაიძე და ჩალხანაიძე, აქვე გავიგე, რომ ალხანაიძეებს სოფლის თავში უცხოვრიათ, ჩალხანაიძეებს კი სოფლის ბოლოში. მათ ზემოთ და ქვემოთ სახლები არ დგასო. მიცვალეული თურმე ალხანაიძეების ქალი ყოფილა.

დრო ისე შეუმჩნევლად გაპარულიყო, რომ მოვიხედე, სასაფლაოზე აღარავინ ჩანდა. ამობურცულ საფლავთან ჩემი მეგობარი და ერთიც ახალგაზრდა კაცი იდგა. მიუხაზოვდი თუ არა, გამაცნო. ეს ჩემი მოგვარე კაცია, მეცხვარეა... დაგვიანებია... ცხვრიდან პირდაპირ სასაფლაოზე მოსულაო.

— ჰოდა, იმას ვამბობდი, — განაგრძო უცნობმა შეწყვეტილი საუბარი, — 1939 წლის გაზაფხული ილეოდა. მეცხვარეებს გადაეღობათ კავკასიონის თოვლიანი მთები და თუშეთში გადასულიყვნენ. თანდათან ცარიელდებოდა ალვანი. იმ დღესაც ოთხი ოჯახი გამგზავრებულიყო. მათ გეზი ყადროსაკენ აეღოთ. ყველანი ცხენებზე ისხდნენ, ქვეითად არავინ ჩანდა, თითხმეტ-თექვსმეტობდნენ ხული იქნებოდა. მათში მხოლოდ სამი მამაკაცი ერია, დანარჩენი კი ბავშვები და ქალები იყვნენ.

ის დღე მზიანი იყო, მაგრამ საღამოს სქელი ღრუბელი მიეძალა ცას. გათენებისას წვიმა წამოვიდა, წვიმა მთელი დღე, დასველდა ხალხი, დამძიმდა საპალნე, გაძნელდა მოძრაობა. აღარ ისმოდა მხიარული და ხმაალალო ლაპარაკი, ნაბად-გადაფარებული ცხენები ჩუმად, ერთიმეორის მიყოლებით მიიზღაზნებოდნენ ვიწრო ბილიკზე. დროადრო სიჩუმეს არღვევდა მამაკაცთა სტვენა და გამამხნეველები შეძახილები.

— აბა, ჰა! ჰა! მოდი! მოდი! გაუჭავრდი! გაუჭავრდი! ბევრი აღარ დარჩა ველკეთილამდე!

ველკეთილი პატარა მინდორია მთებს შორის, ხოლო მდინარეს, რომელიც ამ ველსა და ხეობას ქრის, ველკეთილის წყალს ან ველკეთილის ალაზანს ეძახიან.

— შენ ხომ იცი?

— როგორ არ ვიცი, მე ბევრჯერ მიმგზავრია ამ გზებზე, ძალიან მომქანცველია. ოთხი-ხუთი დღე გზაში ვიყავით ხოლმე ცხენებით, ბევრი წვალება მინახავს... რაც ომლოს გზა გაკეთდა, ძლიერ დაისვენა ხალხმა, — თქვა ჩემმა მეგობარმა.

— ჰოდა, სამხრობის დრო იქნებოდა, როცა ველკეთილის წყალს მივაღებოთ, გაბრო და ლაზარე დაწინაურდნენ, ცხენებით მიაღვინ ნაპირს და სახტად დარჩნენ, ველკეთილის წყალი ისე აღიღებულყო, ცხენი კი არა, ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა. ერთხანს ყველა ღუმდა.

— ეტყობა, მთებშიც მაგრად წვიმდა, — ხმა

ამოიღო გაბრომ და მალა აიხედა. ღრუბლების მეტი არაფერი ჩანდა ცაზე.

დინგო, რომელიც აქამდე ცხენს საპალნეს უსწორებდა, ქვეითად მიადგა წყლის ნაპირს. ხელში ფეხთეთრას ალვანი ეჭირა. მის ცხენს, მართლაც ერთი, წინა მარცხენა ფეხი, თეთრი ჰქონდა ქაჩაჩის თავამდე, თვითონ მთლად კუბრივით შავი ფერისა იყო, მზეზე გააბხილივით ბზინავდა.

— რაღას უყურებთ, ღამდება, განა თენდება! — ძლიერ გააგებინა დინგომ გაბროსა და ლაზარეს. ლიზა, რომელიც ცხენიდან უკვე ჩამოსულყო, კაცებთან მივიდა, გადახედა მდინარეს და თავისდა უნებურად აღმოხდა.

— ღმერთო!.. რაგვერ ადიდებულ! დინგო, ბიჭო! ერთ-ორ საათს ვაგვირდით, მთის მდინარეა, მალე ჩამოვდება, ხედავ, როგორი მოდის: არემარე თან მოაქვს. ბარგსა და ცხენებს ვინ ჩივის, ეს ბალები მაწუნებს, წყალმა არ მოგვტაცოს. ზოგის დედ-მამანი აქ არ არიან, გაფრთხილება უნდა, ხომ გესმით ქვეების ჯახა-ჯუხი წყლიდან. შენ შარშანდელი ამბავი ხომ არ დაგავიწყდა!

ეს ის დინგო იყო, რომელმაც წინა წელს ამავე წყალს ბავშვიანი ხურჯინი გამოსტაცა, მდინარეში ყალუზე შემდგარი ცხენის ზურგიდან ვად-მოგვლეული. დინგო და ბავშვი სასწაულით გადარჩნენ.

— ცხონებული, დღეს აღარც დინგოა, იგი ოცი წლის წინათ მოკლეს თოვით, ვინ მოკლა, ან რას ერჩოდნენ? არავინ იცის...

...მდინარე ისე მოქუხდა, ხმის გავონება ჰირდა, ლაპარაკის დროს ხელებს იშველიებდნენ, რომ ერთმანეთისათვის გაეგებინებინათ რამე.

— ეეჰ! — თქვა დინგომ და ცხენს მოახტა; რაც იმას ნიშნავდა, რომ ლიზას ლაპარაკი უნდა დამეთავრებინა. ახლა ლაზარესა და გაბროს მიეჭრა ლიზა. არწმუნებდა, რომ ეს გაცოფებული მდინარე დაჭლებოდა.

— ვინ იცის, ქეიფიანადც თუ ხარ! — ისევ მიუბრუნდა დინგოს. — იცოდენ, ყველაფერს ვეტყვი დედაშენს. შენ ან შენს თავს დალუბავ, ან სხვას გააუბედურებ. აქ რომ შენს გამო ვისმეს რამე დაემართოს, იცოდენ, მეც ამ წყალში გადავვარდები! — ხან ეხვეწებოდა და ხან ეჩხუბებოდა ლიზა.

მაგრამ დინგოს არაფერი ეყურებოდა. თვალეები მაგრად დახუჭა, დაღებული პირიდან თითქმის ყველა კბილი გამოუჩნდა, ყელი წინ გამოაგდო, ეტყობოდა, გულთანად ხარხარებდა, წყლის ქუხილში არაფერი ისმოდა. მალა აეწია მაჯაზე ჩამოკიდებული მათრახიანი ხელი და სამი თითი გაეშალა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მე და ქისტმა მხოლოდ სამ-სამი დავლიეთო. ლიზამ შეატყო, რომ არაფერი გაუვიდოდა.

— რაიც ვინ ქენ, შე არ გასამრდელი! სვიოდენ დედისძმის ხასიეთ აქვ, იმასავითევე კერპიდ ჯიუტი. ჩავივილიდა ჯიში! — შესძახა და გაშორდა იქაურობას.

დინგოს თვალეები არ გაუხელია, ისე გადაუშვა ფეხთეთრა ადიდებულ წყალში. მღვრიე ტალღები გადაეკლნენ ცხენს გავაზე. მეკრდით შემოუბრუნდა ფეხთეთრა მდინარეს, თითქოს უკან მობრუნებას აპირებდნო. დინგომ, როგორც იქნა, თავი მოუ-

ყარა ტუჩებს. სამაგიეროდ, ახლა დინგოს ცხენს დაეკრიბა კბილები, კაცი იტყოდა, იცინისო. გვიან გავიგე, თურმე ცხენი როცა იძირება, კბილებს კრეკავს, მე კი მაშინ მეგონა, რომ დინგო და მისი ცხენი იცინოდნენ. დინგო შეცდა, არ გაუშვა ცხენი თავის ნებაზე, მარჯვნივ მოსწია, დადგა თუ არა სიბრტყეზე, ცხენი და კაცი მდინარემ ისე გააქანა, როგორც ფოთოლი, ორივენი გაუჩინარდნენ მღვრიე მდინარეში.

— რა ქნა! რა ქნა! ხალხნო! — აღმოხდა ლიზას, — არ დამიჯერა! — ყვიროდა და მუხლებს იტყევდა.

კარგა მოშორებით ამოყო თავი ჯერ დინგომ და მერე მისმა ცხენმა. ძლიერ აბობლდნენ დიუითა და ლოღოთი დაფარულ ნაპირზე.

იდგა დინგო წყლის გაღმა ოდნავ მკლავებგაშლილი, გამოღმა მხარეს გამოხედდა ეზარებოდა, წყალი წურწურით ჩამოსდიოდა, სახეზე იმ მოკიდავის ირონიული ღიმილი შერჩენოდა, რომელიც პირველი წარმატების შემდეგ უცხად გამოუსწორებელ დამარცხებას იგემებს ხოლმე, ნელა იხდიდა ზედა ტანსაცმელს და წურავდა, ცხენმა ტანი გაიბერტყა, ნელ-ნელა მიუახლოვდა პატრონს. დამნაშავესავით თავდახრილი დადგა მის გვერდით. დინგომ გაუთავისუფლა ალვირში ჩაღვებული ფეხი. გაუძღვა წინ, მდინარის საწინა-აღმდეგოდ, მიხვდა შეცდომას, თუშურა — მოკლეზე არ უნდა გასულიყო და ცხენიც თავის ნებაზე უნდა მიეშვა.

გამოსვლით, იოლად გამოვიდა. ზემოდანვე გვხად მიუშვა ცხენი თავის ნებაზე. ფეხთეთრა მაინც ყალუზე დგებოდა, მხოლოდ უკანა ფეხებს ხმარობდა, ადვილად უშვებდა წყალს მუცლის ქვეშ.

ლიზა პირველი მივარდა დინგოსთან, რალაცას ეღაუბებოდა, უმტკიცებდა, ჯავრობდა.

— გასვლა შეიძლება, თან დროც აღარ ითმენს, — თქვა ცხენიდან ჩამოსულმა დინგომ. ან სხვა რა გზა ჰქონდა, უარი ხომ საბოლოოდ დამარცხებას ნიშნავდა?

— ღრუბლიანი დღეა, მალე დაბნელდება, იალაუბამდე ვერ ავალწევთ, ღამე კი კლდე-ღრეზე სიარული შეუძლებელია.

გაუსინჯეს ცხენებს გარსაკრები, მოსართავენი, საწყვეტები... ერთხანს მაინც შეყოყმანდნენ. ბოლოს ასე მოითათბირეს. სამი ცხენით, დინგოს, ლაზარეს და გაბროს, ჯერ ბავშვები უნდა გაეყვანათ, მერე ქალები და ბოლოს კი საპალნის ცხენები სათითაოდ ჩაეყარათ წყალში.

— გაბრო, ეგ ბაღლი მომაწოდენ, ეგ უფრო ყოჩაღი ჩანს, ხედავ, როგორ ქორივით იყურება. პირველად მაგას გავიყვან, მე მგონია, მაგას სულ არ ეშინიან, — ყვირილით წარმოთქვა დინგომ ბავშვების გასაგონად. გაბრომაც აღარ დაახანა, სტაცა ბავშვს ილიაში ხელები და კარგა ხანს დასდევდა დინგოს ცხენს, რომელიც არადა არ ჩერდებოდა ერთ ადგილზე.

საქ. სსრ კ. მარქსის

— ბალო, რა გქვია? — ჰკითხა დინგომ ბავშვს.

— ლავრენტი, — უბასუხა ბავშვმა.

— არა მგონია, გაეგო ბავშვის ნათქვამი.

— ხო არ გეშინიან, ძმობილაიძე? — თუ დაგეშინოს, თვალები დახუჭე. აი, მომეცი ხელი, ამ ქამარს მაგრად მოკიდე, აი, ეგრე!

— აბა, ყოჩაღად, — თქვა დინგომ და დასძრა ცხენი. მიდიდა მდინარის ნაპირზე, დინების საწინააღმდეგოდ, წინ ლიზა შეეფეთა, აღვირზე უტაცა ხელი, შემობრუნა უჩუმრად, დინგოც დაემორჩილა, მიიყვანა იმ ადგილზე, სადაც ბავშვები და ქალები ერთმანეთში არეულნი შეჯგუფებულიყვნენ.

— რას სჩადი, რას! — მკვებედ შეუყვირა ლიზამ, — ამ ბალოს რომ რამე მოუვიდეს, სად აპირებ წასვლას! შეხედე მაგის დედას, მუცელს ველარ ერევა, ეს ბალო რომ წყალმა წაიღოს, ეს ქალი ხომ ჯავრსა და მუცელს გადაჰყვება, მეტი რომ არ ესმოდეს კაცს, მაგის დედას მაგის მეტი ვინა ჰყავს? ან შენ რას ეტყვი ხალხს? სხვისი ბალო წყალს გავატანო? სოფელში როგორღა შეხვალ, ან დღეობაში როგორ გამოჩნდები, ხალხსა და ქვეყანას როგორღა დანახვები სირცხვილით. აქ კი ველარ მოითმინა, თვითონ ჩამოიყვანა ბავშვი ცხენიდან.

— გიორგი! მოდი აქ! — დაუძახა თავის საშუალო ვაჟს — შენ უნდა შეჯდე დინგოს ცხენის გავაზე. შენ და დინგო ძიო უნდა გახვიდეთ პირველად, მეგრე ეს ბალებიც გამოვლენ.

დაქუცილი ცისფერი თვალებით მისჩერებოდა გიორგი ხან დედას და ხან დინგოს, ელოდებოდა, როდის შესვამდნენ ცხენზე. ასეთ დროს უარის თქმა ხომ სირცხვილი იყო. დედას უარს როგორ ეტყოდა.

— მე ორი მყავს მაგის გარდა, — თავისთვის ჩაილაპარაკა ლიზამ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ხმას ვერავინ იღებდა. ან კი ვის რა ჰქონდა სათქმელი? მოსახდენი უნდა მომხდარიყო.

დინგო აღარ იყო ხუმრობის ხასიათზე, ბავშვის გაცვლას ისიც შეეფიქრებინა — ვაითუ, კიდევ წაგვაქციოსო, — ფიქრი შეპარვოდა გულში.

— არ შემარცხენო, ფეხთეთრა! კისერზე ხელი მოუთათუნა. ფეხთეთრა აღარ ფიცხობდა. ნელა დაიძრა ადგილიდან და ნაპირთან შეჩერდა, დაყნოსა, ფეხები რამდენჯერმე მოიცვალა ერთ ადგილზე, შემდეგ მალა ასწია თავი და ნესტობე-გაბერილი მკერდით ეძგერა მდინარის ტალღებს: მდინარის შუაგულში კვლავ შემობრუნდა, ყალყზე შედგა, კვლავ გამოაჩინა თეთრი კბილები.

— ღმერთო, მიშველე! ბიჭების ჯვარო! ჩვენო გამჩენო! — აღმოხდა ლიზას.

დინგოს მარცხენა ხელით ბავშვის მკლავი ჩაეხუტა, მარჯვენით აღვირი, ტალღებზე ქანობდა ტიკზე გამომბული თეთრი ყანწი. გიორგი თოჯინასავით ფეხებგაშვებული მიკერებოდა დინგოს ზურგს.

ძმიმედ ავიდა ცხენი ნაპირზე და მაშინვე გაჩერდა. გაბერილი ნესტობით სუნთქვავდა, აღვირის ახრამუნებდა. არ ჩამოსულა დინგო, ცალი ხელით ჩამოსვა გიორგი ცხენიდან.

— ემანდ ქვანუე დაჯედ, ბალო! — თითით აჩვენა დინგომ გიორგის.

გამოდმა ნაპირზე ქალებში ჩოჩქოლი ატყდა: ერთი ქალი ამტიკებდა: წყალმა თვალის მოტაცება იცის, ბავშვებს თვალები უნდა აუხვიოთო, მეორე ამბობდა, დამხრჩვალ ადამიანს წყალი ტანსაცმელს ხდის, მაგრად შეისკვენით ყველაფერიო...

გაბროს და ლაზარესაც შემოუსვენს ცხენის გავაზე ბავშვები. უკვე სამი ბავშვი ჩამომჯდარიყო წყალგაღმა, ქვანუე. დანარჩენებიც მშვიდობიანად გავიდნენ, მხოლოდ ერთი ფაშატი დაიჭრა უკანა ფეხში. ჭრილობა მოუმშრალეს, დანაყილი არყის ნახშირი მოაყარეს და შეუხვიეს. შეგუდექით ხუფრის აღმარის. კვლავ თავი იჩინა მხარულე-ბამ. აყაყანდნენ ქალები და ბავშვები, ყველას გამარჯვების იერი დასდებოდა სახეზე.

ლამის გასათევად დიდობის სოფელ ხუფრასთან დავბანაკდით. კარგად შახსოვს, დიდი ცეცხლი ენთო, ყველა ფეხზე ტრიალებდა, ვინ ძველ ამბებს ჰყვებოდა, ვინ სველ ტანსაცმელს ტანზე გაუხდელად იშრობდა.

ვარდიძეთან კანუშემ ჩომელიდაც ხურჯინიდან ვარდისი ამოაქვარს. ჯერ ნელ-ნელა ააქუქყუნა, მერე გასწია ბოლომდე, რაც სიგრძე ჰქონდა.

და. ლამის წყვილიაღში ჰიუნებისკენ გაფრინდნენ თუშური მელიდები.

ყველა სმენად იქცა.

გარმონს თუშური სიმღერაც მიაყოლა. იმ ღამეს მარცხენა იმშიღარაა ქათამი შექმინა და რაკი საჩინვეებთან ახლოს ვიწარფიქს, სახლად დაბადებულს ნადირობის ქალღმერთის საპატრეცემულად მისი სახელი — დალი დაარქვეს. ეს ამბავი მაინც და მაინც არავის ვაპკვირებია. წინა წელს ჰვრიტიანთ რძალს ამავე ადგილზე ვაჟიშვილი შეეძინა, მას დღესაც ზედმეტ სახელად „ხუფრულას“ ეძახიან, ლალისყურში ცხოვრობენ, კაი ბიჭი და კაი მეცხვარეა.

— ხომ იცნობ?

— როგორ არ ვიცნობ! ხუთნი ძმანი არიან. ხუთივე მეცხვარეა, კარგი სახელიცა აქვთ ლალისყურის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში.

უკვე ვუახლოვდებოდით სახლს, საიდანაც მიცვლებული გამოასვენეს, ახლად გაცნობილმა შეწყვიტა ამბის მოყოლა.

აუტანელი სურვილი აღმძრა, როდისმე მაინც შევხვედროდი ლიზას, მესაუბრა მასთან ახალ თუშეთზე, შემექო მისი ქალობა, ცოტა რამ მეთქვა ახლანდელ დედებზეც. ველარ მოვითმინე და ვკითხე.

— სად არის ახლა ლიზა? ალბათ, ძალიან მოხუცდა, არა?

— ლიზას სახლი, აი, ეს არის, — არ შემოუხედავს ჩემთვის, ისე მითხრა — ხოლო ქალი, რომელიც დღეს დაასაფლავეს, ლიზა იყო. მე ლავრენტი ვარ, დალი ჩემი დაა.

ლხინში გვენახოსო, თქვა, დაგვეშვიდობა და ხალხში შეერია.

მე ადგილიდან ველარ დავიძარ მოულოდნელობისა და, ცოტა არ იყოს, სირცხვილისაგანაც. ნერვიულობა შემატყო ჩემმა მეგობარმა. ხელკავი გამიკეთა.

— აქ ამნაირ ამბებს ბევრს მოისმენ. შენ უნდა ნახო თუშეთის ახალი გზა და ახალი თუშეთი. სადღა თუშეთს ტანჯვა-წყალება.

...მოვდიოდით თბილისისკენ და ძალაუნებურად სულ ლიზაზე ვფიქრობდი.

პლატონ გავია

ფუქსები დედა

ეთხოვებოდა ხაწუთროს მშვიდად (ო, ღმერთკაცოვით იწვა!) ოჯახის თავი... პატივით დიდით ის მიაბარებს მიწას.

დარჩა მარტოკა და უზის კერას თანამეცხედრე მისი. ერთ დღეს შემოკრბა უკლებლივ ყველა — შათი ხორცი და სისხლი.

და იღებს სიტყვას უფროსი შვილი: — წამო სოხუმში, ჩემთან, იცხოვრებ მუუდროდ, ზღვის პირას ივლი... თავს რად იტანჯავ, დედა!

თქვა შუათანამ: — ჩვენთან გაგრაში, ჰავაა — ჯაბნის წამალს! გავიუჩრდება სულის განგაშიც, ჩემთან, გაგრაში წამო.

თქვა ქალიშვილმა: ჩვენსას წამოდი, — ტყვარჩელს წაგიყვან, ზემოთ, ო, არ მოგაკლებ ზრუნვას წამითაც დედი, ჰალარავ ჩემო!

და როცა შვილიც წამოდგა მრწემი, თქვა დედა: — თქვენს მჭერა, მაგრამ ნუ მიწყენთ — ვალია ჩემი: არ გავაციო კერა,

კარებს ვალებდე, — როგორც მოლოდინს, თქვენს ავკარგს ვგრძნობდე მკერდით... ...ასე, ერთგული დარჩა ბოლომდე დედა — ადგილის დედის.

ხე ნაიძცა

აპყვა კაცი ბოროტ სურვილს: ბუჩქი ჭრა და ბარდი ცხრილა, ხელთ ეღვარე ეპყრა ცული, — მუხრის რომ ავლებს ხეთა ჯილაგს.

მიაღწია ბოლოს მიზანს — სწორს მიაგნო ხეს, ვით ისარს და შემოჰკრა მთელი ძალით ცული... ეღვას ჰავდა ცისას!

კვლავ — შემოჰკრა და შემოჰკრა, ხეს დასდინდა სისხლი ღვარად. მან ხის შფოთვა და ტყის ბორგვა გულთან არც კი მიიკარა.


ხე, ვით კურცხლებს, ღვრიდა ფოთლებს, — ძრწოლით შეხვდა ყისმათს ამგვარს და ტოტებში ქარის მოთქმაც უმწეობის კვენსას ჰგავდა.

ცულის კაკუნს რომ ისმენდა, ტყეს უფლეთდა გულ-ღვიძლს ხევდა, ტოტებს — კითხვებს — ცისკენ სწევდა, მაგრამ პასუხს ვინ გასცემდა?!

დაბარბაცდა ხისქვეშ მიწა, ხე წაიქცა, ხე წაიქცა. და მშვენება მთელი ტყისა — ხე საკუთარ ჩრდილზე იწვა.

ჩამოიქცა ზეცა რკალად, სად ხე ბურჯად ედგა ტანით. ... ეშ, იმ ხისგან გამოთალა კაცმა ბასრი ცულის... ტარი!

აფხაზურიდან თარგმანს ვივი გარანიამ.



უკვლავი

„... ახალგაზრდობაში ღვინოს არ ეკარებოდა, ხმა მერე დაიწყო... სოფელში იშვიათად ჩამოდიოდა, ბოლოს კი სულ აღარა ყოფილა...“

სახლ-მუზეუმის თანამშრომლის ნაამგობიდან.

აიკრა გულა-ნაბადი და სოფლიდან ქალაქში ჩავიდა.

ქალაქი იყო დიდი და მიუსათარი...

მშვიერი რომ არ მომკვდარიყო, მიკიტანს ხელზე მოსამსახურედ დაუდგა. დასრულდა გზა-გზა ხეტიალით, გაიფიქრა მიაბიჭმა ჭაბუკმა, მაგრამ მოტყუვდა — ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. სოფლური ზენინის მქონემ დიდხანს ვერ გაუძლო მიკიტანურ ცხოვრებას და გაეცალა. მთელი დღე უსაქმოდ დაეყოლოდა ორთაჭალის ბაღებში. მოქვიფეთა უღარდებლობა მასაც ეუფლებოდა და გაურკვეველი იმედით ავსებდა. აღარავის დავებრიყვებინებო, — მსჯელობდა გუნებაში, — თავისუფლად ყოფნას რა სჯობიაო. მაგრამ შიმშილმა და უილაჯობამ ახლა ვაჭართან მიიყვანა, მერე მენახშირესთან, მერე ვეჟილთან, მერე ყასაბთან, მერე რკინიგზის სადგურის უფროსთან... ვილას არ გაეჭვა და ვილამ არ შეიკედლა, მაგრამ ხსნა არსად და არავისთან ჩანდა!..

დრო კი გადიოდა...

ქოჩორში ქალარა გაუხშირდა. თვალები ჩაუსევდიანდა. ნაოჭები ჭიაყელებივით დაესივნენ. ოფლს წყალივით ღვრიდა, მაგრამ შიმშილი, ვაჭირვება და ძონძები ვერ მოიშორა.

ქალაქი იყო დიდი და მიუსათარი...

აგერ, უკვე მეცხრე წელიწადია, რაც ქალაქში ცხოვრობდა და ჯერ კაციშვილს არ შებრალებია. ყასიდადაც არავის უკითხავს: ვინ არის, საიდან არის, რა უჭირს, რა უღონინს — მისთვის არავის ეცალა! ყველასაგან მივიწყებულს, სევდა მოერიდა და ნადრევი

სიბერე დაეტყო. გულის გადასაყოლებლად მთელი დღე ქუჩა-ქუჩა დაყანყალებდა. მეტწილად რკინიგზის სადგურის ახლოს ტრიალი უყვარდა. რაღა ჯურის ხალხი არ ირეოდა იქ! მაგრამ ვაგლახ — ყველანი უცნობები იყვნენ მისთვის! ეპ, როგორ ენატრებოდა სოფლად გავლა, მაგრამ ამ უსახლკაროს თავმოყვარეობა მეფური ჰქონდა. სოფლელებს ქალაქი სამოთხედ ჰქონდათ წარმოდგენილი, სადაც ყველა ხელგაშლილი ცხოვრობდა. პოლა, აბა, ნაცნობ-ნათესავებს რა პირით სჩვენებოდა, რას იფიქრებდნენ?! არა და არა, აღარ წავალ! — ჯავრობდა გუნებაში, თუმცა მირზაანის გორაკებზე ვაგლა და მეზობლების ერთი კარგი „გამარჯობა“ სულს ერჩია.

გულს უღონებდა უთავბოლო ქალაქი. ეზიზღებოდა მოუსვენრობაზეყრილი ჩარჩვაჭრების საიდუმლო ფუსფუსი. მხოლოდ ის დააბოტებდა აუჩქარებლად, ნება-ნება. სხვები სადღაც გარბი-გამორბოდნენ, დაძვრებოდნენ, დავობდნენ, ჩიოდნენ, ითვისებდნენ, ვილაცყებდნენ აციმბირებდნენ, საქმეებს ჩარხავდნენ, ჯიბეს ისქელებდნენ. ნეტა, რას ეწვალენები მაგდენსაო,— ფიქრობდა ადამიანთა გულხარობით გაკვირვებული ამბოკარი, — როცა კაცს ერთი ნატეხი პური და ბულულა მწვანილიც დაარჩენსო. ჰმმმ! ნატეხი პური და ბულულა მწვანილი! ცუდად იცნობდა ეს გულალა-ლი კაცი ხართა ბუნებას. ნატეხი პური კი არა, მათთვის ნება რომ მიეცათ, დედამიწას ძირამდე გაღრმინდნენ ვირთაგვებივით; რომ შესძლებოდათ, თვით მზეს დააბნელებდნენ, რათა სიბნელეში უფრო უშიშრად ეფათურებინათ ხარბი ხელები!..

ქუჩებში ხეტიალისას ლამაზ აივნებზე და ღია სარკმლებში ხედავდა მდიდართა ცხოვრებას, ხედავდა სუფთად ჩაცმულ ბავშვებს, ძვი-

რფას ავეჯს, განცხრომას, ფუფუნებას, ლამაზ ქალებს და გრძობდა, მას არ ეწერა არც ბედნიერება, არც ოჯახური სიმყუდროვე, არც ფუფუნება, არც ლამაზმანთა ამბორი. მაგრამ თუნდაც ველირსო, რათ მინდაო — ფიქრობდა გულგავესლილი, — რა ფასი ექნება, როცა ჩემისთანა ათიათასობით მოყვასი ჩემსავით იტანჯება — სიღარიბეში იბადებიან, რათა ისევ სიღარიბეში დალიონ სული. არა, არ მინდა, იქამც იყოს სიმდიდრე-ფუფუნებაო!..

დრო კი გადიოდა... აღარ იცოდა, რომელ გზას დასდგომოდა და რა ელონა. ერთი პირობა გადაწყვიტა, სამუდამოდ გადახვეწილიყო, წასულიყო ცხრა მთას იქით, თუნდაც ჯოჯოხეთში, ოღონდ აღარ ეხილა ადამიანთა უვიცობა, სილატაკე, გულქვაობა, ბოროტება, სიხარბე, გაუტანლობა, სიმუხთლე, ქიშპობა, სულმოკლეობა, მაგრამ სად წასულიყო, ვის მიჰკედლებოდა?! ვისთანაც იყო, ყველას ხარული მოთმინებითა და ძალღუთი ერთგულებით ემსახურა, მაგრამ ლატაკი ლატაკად დარჩა. თუმცა, ეშმაკსაც წაუღია სიღარიბეცა და სიმდიდრეც. უფრო მეტ გაჭირვებასაც აიტანდა, ოღონდ ერთი მაღლიანი მეგობარი ეპოვა. მაგრამ ყველა ორპირი და ფლიდი იყო. დაწყებული მიკიტნიდან, გათავებულ მიწვირილმანის გოგოთი, რომელიც ერთგულებას ეფიცებოდა, ორი დღის მერე კი ხელიდან ხელში გადადიოდა.

ყველა მას ატყუებდა! ფრანგმა მომღერალმა ქალმაც მოატყუა. დაპირებებით აღსავსე მზერით გული დაუკოდა, უსინდისოდ კი გაეპარა. სიყვარულით დაბრმავებულმა მიაბიჭმა ბოგანომ ბათუმამდე გასდია სატრფოს, მაგრამ დაავიანდა — ქალი წინაოამეს წასულიყო გემით. სანაპიროზე დიდხანს იდგა — გახეტებულ, მოტყუებულ, შერცხვენილი, პირში ჩალაგამოვლებული, მიუსათარი...

ეპ, როგორ სწყუროდა ერთი მართალი მეგობარი მაინც ჰყოლოდა. რაღა ფანდს არ მიმართა. თავი იქამდე დაიმტკიცა, რომ ხასიათის შეწყობაც სცადა რამდენიმესთან, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა: მდიდრები მას ძაღლადაც არ ავდებდნენ, ჩარჩვაჭრებს მოგების მეტი არა აინტერესებდათ რა ამ ქვეყანაზე, აბა, კინტობიჭებისთვის რა უნდა შეეჩვილა — ისინი სულ ხუმრობა-ოინბაზობაში კლავდნენ დროს. საწყალი ხალხი კი ან შრომობდა, ან ღრმა ძილს იყო მიცემული. მოკლედ, ყველას თავისი გა-

საჭირ-საზრუნავი აწვა კისერზე და მისთვის არავის ეცალა. ავიდოდა ნარყალაზე და მხოლოდ პირქვე და მიწას ჩაჰქვითინებდა. მერე, უეცრად სამაგიეროს გადახდის წყურვილით აინთებოდა ხოლმე და კბილებს აღრჭიალებდა.

— სამაგიერო! სამაგიერო! სამაგიერო!..

მაგრამ არ იცოდა, ვისთვის და რა გზით გადაეხადა სამაგიერო. და ანაზღეულად, თავისდა უნებურად, განგების ძალით ფუნჯი მოსწყურდა, რომ ხმალივით ექნია ტილოზე, დაეხატა და ქვეყნიერებისთვის ეჩვენებინა ბეჩავი მეგზოვე, გაფხორილი მილიონერი და ლატაკი წვრილშვილი...

დაიწყო ხატვა და მასთან ერთად ჯოჯოხეთური წამებაც. იქამდე ხატავდა და ხევდა, სანამ ჩანაფიქრს ზუსტად არ გადაიტანდა ტილოზე. როცა საწადელს მიაღწევდა, პირდაპირ ნახატთან ეცემოდა ქანც-გამოცლილი.

მიკიტნებმა მოუწონეს ოსტატობა და შეეკეთას შეეკეთაზე აძლევდნენ. სირაჯებმა და ამქრის კაცებმაც მიაკითხეს.

ერთხელ მდიდარმა ქალბატონმაც იკაღრა მის სარდაფში ჩაბრძანება.

— რა ჰქვია აი, ამ ნახატს?

— „სამი თავადის ქეიფი“.

— ვის სადღეგრძელოს სვამენ — ქალისას?

— არა, საქართველოსას!!

მანდილოსანმა ტუჩი აიბზუა, მაგრამ ნახატი მაინც იყიდა...

დრო კი გადიოდა. ნიდაგ ხატავდა და უმეგობროდ იტანჯებოდა. ერთ საღამოს, ხატვისაგან ილაჯგამოცლილი, ჩაფიქრებული ქუჩაში თავისთვის მიაბიჭებდა. შიოდა და ღუქანში სალოსივით ჩაბარბაცდა. ღვინოს საერთოდ არ ეტანებოდა, მაგრამ ქარვისფერით მოლოცილივე ჯამუკები რომ დაინახა, თვითონაც მოეგუნება და მოატანინა. დალია ერთი და გათბა. დალია მეორე და განცვიფრდა კაცი: როგორ მოხდა, რომ ქვეყნის ბატონ-ბატონნი საწყალ ხალხზეც ჰყვირიან ღმერთების სასმელსო და ხელახლა გაივსო ჯამი. იმ დღიდან დაუმეგობრდა ღვინოს და აღარც გამოვრებია სიკვდილამდე. ღვინო გახდა მისი მეგობარი — იღუპალი ცეცხლით ათბობდა. იმედით აღავზნებდა, ოქროს მწვერვალებისაკენ მიაქროლებდა. ღვინო გაუხდა მირონი, ზიარება, მზის ტკბილი წვენი, დარდის წამალი, იმედის ბოძი, ერთგული მეგობარი, რომელმაც ლალატი არ იცოდა, ყოველთვის ამხნევებდა და სამაგიეროს



საი ისააი

ინგლისურიდან თარგმანა
ბანანა ღუმბაკეა.

არაფერს სთხოვდა. ღვინო პირდებოდა სიცოცხლეს, მხნეობას, სახელს, სიყვარულს, სიმდიდრეს, თავისუფლებას, ბედნიერებას, მაღლიან ნახატებს.

ღვინო პირდებოდა თვით უკვდავებას!
ჭრელ სუფრაზე პურობა არ უყვარდა. ველარ იტანდა შეღვინიანებული კაცების კვხინას, ბლუკუნს, ყაყანს, ყველაფერზე უაზრო ლაპარაკს. ეს ფიქრების მწყობრ ღენას უბურდავდა და აღრენილ გუნებაზე აყენებდა. ღუქნის მყუდრო კუნჭულში თავისთვის მიჯდებოდა, გამოცლიდა ორიოდე ჯამუკას და ტკბილ ზმანებებში შესული ცხადლივ ხედავდა მარტოხელა ღარიბს, საწყალ მოახლეს, მირზაანის სერებსა და საყდარს, დათვის ბელებსა და ორთაჭალის ტურფას, სააღდგომო ბატკანსა და ცხენის ქურდებს, ირმებსა და სქელულვაშა მოქეიფეებს, მოჯამაგირეებსა და კალოს, მებაღურებსა და სევდიან მალოკნებს, ტივსა და თამარ დედოფალს...

ღრო კი გადიოდა!!
იცოდა, უღმობელი სიკვდილი გაწვრთნილი აქლემივით ერთხელ მის წინაც დაიჩოქებდა. მაგრამ ეს არ აშინებდა. ის სხვა რამეზე წუხდა: არ უნდოდა ამქვეყნიდან ისე წასულიყო რომ მეგობრის ვალში დარჩენილიყო, რომელიც მუდამ გვერდში ედგა, ამხნევებდა და მის შთაგონებას სიბრძნეს აწოვებდა. და მხატვარმაც დახატა. დახატა, როგორც შეეძლო და რამდენიც მოასწრო. დახატა ყურძნის დედა — კოჭლი ვახუშტი, დახატა საწინააღმდეგო ჩაჭყლეტილი მტევნები, დახატა ქარვისფერი ღვინით სავსე ჯამები, თასები, ყანწები, ტიკები, ჯიხვები, რუმბები, აზარფეშები... არ დარჩა ვალში, დახატა!

ღრო კი გადიოდა...
მაღე ომი დაიწყო და ქვეყანა უარესად აირია. სასამელსაჰმელმა იკლო. ბაზარი გაძვირდა. გაჩნდნენ სპეკულანტები, ყალბი ფულის მჭრელები, მაწანწალები, თაღლითები, ცრუ-წინასწარმეტყველნი, საქმოსნები, მედროვენი, შარლატნები, დეზერტირები, შოვისისტები, კოსმოპოლიტები... თბილისი ფრონტიდან დაბრუნებული ინვალიდებითა და ფრონტზე მიმავალი ჯარის ნაწილებით გაივსო. რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II ტახტიდან ჩამოაგდეს. მსოფლიო ქარცეცხლი კვლავ მძვინვარებდა. ხალხი გაჭიანურებული ომის დასასრულს მოუთმენლად ელოდა, რათა ყველაფე-

რი გარკვეულიყო და თავიდან დაეწყო მშვიდი ცხოვრება.
ნახევრად მშვიდ-ტიტველ მხატვარს არაფერი ჰქონდა გასარკვევი — მისთვის ყველაფერს ნათელი ეფინა: იცოდა, ცხოვრება ამოება იყო და ერთსა ეშურებოდა — ხატვით გული მოეჭვებინა. ხატავდა და ხატავდა! მთელი საქართველოს დახატვა ეწადა!..

ღრო კი გადიოდა...
ბოლო ხანს მხატვარს ჩუმპიანი პოლიცემისტერი გადაეკიდა.

— ნუ ლოთობ, თორემ გაგასახლებ ქალაქიდან!

— მე ლოთი არა ვარ!

— აბა, მაშ, რა ჯანდაბა ხარ?

— მხატვარი.

— მხატვარი არა, ისა ხარ! თბილისში გვიანი შემოდგომის ცივი ქარი უბერავდა. ზამთრის მოლოდინში ბედითად გასუსულიყო ქალაქი. ქუჩებში კანტიკუნტად თუ გაივლიდა ეტლი და მგზავრი. ფერფლადა. სწორედ ამ დროს ერთი მდიდრულად მორთული ქართველი კაცი სირაჯ-მედუნქეებს აწუხებდა — მხატვრის ადგილსამყოფელის შეტყობა ეწადა.

— პასუხები უღარდელი და უიმედო იყო.

— ჯერ ის იკითხეთ, ვინ იცის ცოცხალია?!

— ისა, ბატონო? იმას ხო ჰკირისუფალი აღარავინა ჰყავს და აქა-იქა გდაია!

— ჰო, მართალია, აქ ხშირად დათარებოდა, მაგრამ ბოლო ხანს რალაც არ გამოჩენილა!

უცნობ უღვაშოსანს არ ეპიტნაეებოდა ქურუხა ამინდში ღუქან-ღუქან კანკალი, მაგრამ მეტი ჩარა არ ჰქონდა — ქალიშვილს მოეპრიანებინა: ჩემს მზითევეში „სააღდგომო ბატკანიც“ უნდა ერიოსო.

მხატვარი კიბისქვეშ მიკოწიწებულ ხუხულაში იბოვა. ღია კარიდან შეჭრილი სუსტი მუქი ძლივს ანათებდა უსარკმლო ჯურიღმულს. უცნობს ცხვირში საღებავების, შმორისა და ღვინის ერთმანეთში არეული სუნი ეცა.

წვერულვაშაბურძგნული ნასვამი მხატვარი ნესტიან კედელთან მხარ-თეძოზე მიწოლილიყო და რალაცას ლულულულებდა.

„რა გავაგებინო, გამტყვარალია“, — გაიფიქრა სტუმარმა, დაჩუტულ ტიკორას ფეხის წვერი წაჰკრა და სინახულთი ჩაილაპარაკა.

— მოკვდები, შე საცოდავო!

ნიკო ფიროსმანაშვილმა ნათქვამი გაიგონა, მაგრამ არა უპასუხა რა. ოღონდ ერთი კი ახედა უცნობს და წვერულვაშაში უღარდელად ჩაილიმა.

ეს უკვდავების ღიმილი იყო.

სემი ისააკ, 1911, 1912, 1913, 1914 წლებში მე და შენ ოკლენდში (შტატი კალიფორნია) ერთად ვიზრდებოდით ფრედ ფინის უპატრონო ზავშეთა სახლის ვაჟთა ნაწილში. ალბათ, უკვე აღარ გახსოვარ, ისევე როგორც ყველა სხვა, ვინც იმ საოცარ სამყაროსა და ცხოვრებას გახსენებდა და, რომელიც შენ, ალბათ, ჩემზე მეტად გძულდა. მიზეზიც მეტი გქონდა ამისა. თავშესაფარში ჩემთან ერთად ჩემი ძმა და ორი და ცხოვრობდა. ხანდახან დედაჩემი გვაკითხავდა და სასაუზმოდ მანობელ გორაკზე ავყავდით, რომელიც სანფრანცისკოს ყურეს გადასცქეროდა.

შენ მომიტხავი არავინ გყავდა. ტედი დოლანი თუ ვახსოვს, ისიც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა. გავიგე, სან-ფრანცისკოს პოლიციაში დაუწყია მუშაობა მოძრაობის მომწესრიგებლად, თუმცა მე ერთხელაც არ შემხვედრია. რაც იყო, საბედნიეროდ, წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ყველაფერი როდი გავიწყდება. ორი რამ სამუდამოდ მემახსოვრება: ერთი რომ, ჩვენ ნამდვილი მეგობრები ვიყავით, ღამეები გვიტენებია საუბარში და მეორე — უფროსკლასელი ბიჭები ძალით გვაჩხუბებდნენ. ჩხუბი არც ერთ ჩვენგანს არ სურდა, მაგრამ ვუჭვრებდით მათ, შიგ სახეში ვუბათქუნებდით მუშტებს, მაგრამ იმის გამო, რომ ბოლომდე ვერ ვიმეტებდით ერთმანეთს, პირველივე შესაძლებლობისთანავე ბლავილს ვიწყებდით, ვითომ, მართლა გვეტყინა რამე და გვძულდა ერთმანეთი. მხოლოდ ამის შემდეგ თუ დაგვანებებდნენ ხოლმე თავს უფროსები.

ვფიქრობ, ამ შეტაკებებს თავშესაფარში მცხოვრებ ვაჟთა შორის რასობრივი და სოციალური სხვაობის გარდა, სხვა მიზეზებიც გააჩნდა. ჯერ ერთი, მაშინ სიტყვა „რასის“ მნიშვნელობა წესიერად არც კი მესმოდა, არც ის ვიცოდი, რომ დედამიწაზე ასზე მეტი ჯურიის ხალხი ცხოვრობდა. ამიტომაც ვაუგებარი იყო ჩემთვის, ორთაბრძოლაში გამარჯვებას რასობრივი სიამაყის გრძნობასთან რა კავშირი

ჰქონდა, მიიჩინებდნენ, რომ შენ ურია ხარ, მე კი სომეხი. დამარცხება ღირსების შელახვას უდრიდა. ალბათ, შენი გულშემატკივრებიც ამავეს გიკიენებდნენ და გახელდნენ, როგორც შეეძლოთ. ეს ყველაფერი კი ძალზე უნიჭოდ იყო დადგმული. რა პატარები და უსუსურები ვიყავით მაშინ, ერთმანეთს მასხარბივით რომ ვაყრიდით მუშტებს ვილაყეების გასართობად. შეგობარი ყველას ჰკირდება, მაგრამ თუ შეგობარი სიცოცხლეს ვიმწარებს, ჯობს, საერთოდ არ გყავდეს.

ჩხუბის დამთავრებისთანავე ჩემი და შენი მეგობრები ჩვენსა და გასაოცრად შეგროვებულდნენ და ერთად მიდიოდნენ სადღაც. ჩვენ კი მარტო გვეტოვებდნენ ერთმანეთის პირისპირ. მიხაროდა და კიდეც მიკვირდა, მაგრამ ამას რალა მნიშვნელობა ჰქონდა, მე და შენ ისევ მეგობრები ვიყავით. ასე ხდებოდა ორმოცდათხუთმეტი წლის წინათ და ეს მოგონება გარდასული წლების ყველაზე ცხოვრებისეულ გამოცდილებად მაწვეს მხრებზე. მას შემდეგ რასობრივ-რელიგიური საზღვარი ჩვენს შორის აღარ გაჩენილა. იქ, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ჩვენგან განსხვავებული რასისა და რელიგიისა იყვნენ ისინი — უფროსები.

ჩვენი ზედამხედველი, მის ვიჩენსტერი, ერთი ტლანქი დედაკაცი იყო. განსაკუთრებულ სიმკაცრეს ბანაობის დღეს იჩენდა. საითთოდ გვიძახებდა და თავისი ვებებრთელა ტორით გვყრიდა ტაშტში. ფხიზლად ეჭირა თვალი, რომ ბოლომდე გავსაპნულიყავით, შემდეგ თავზე წყალს გვავლებდა საპნის მოსაშორებლად, გვაჩეჩებდა ხელში ვებებრთელა პირსახოცებს და ისევ საითთოდ გვგზავნიდა ჩასაცმელად. საშინლად მაღიზიანებდა ეს პროცედურა. რა უფლება ჰქონდა იმ დედაკაცს, ასე ცხვრებოდა რომ მიგვერეკებოდა დასაბანად და დაწითლებულ ვეება ტორს კისერში რომ გვკრავდა ტაშტში ჩასაგდებლად. არადა, არც ისე ცუდი ქალი იყო, ალბათ, მის ვინჩესტერი. მასზე უარესი ზედამხედველებიც ბევრი მინახავს, მაგრამ იმდენად ამაზრუნეი შესა-

ხედი იყო და ისეთ ოხშივარს აფრქვევდა, სიცოცხლეს შეგაძლებდა, თავს კი არა. ეს იყო და ეს. კიდევ, მახსოვს, მიაღებოდა რომელიმე თქვენგანს დასატუქსად და ჩემზე მიუთითებდა, ამას რატომ არ ბაძავთო. ალბათ, როგორ იყო დარწმუნებული, რომ მისი შექება მეამაყებოდა. რა მქონდა მისაბაძი, ვერ გამეგო. სხვაგვარად როგორ უნდა მოვქცეულიყავი, როცა თავშესაფარში ფეხის შემოდგმისთანავე მივხვდი, რომ თუ არ შევეგუებოდი იქაურობას, სასოწარკვეთილება დამლუბავდა. ყოველ ღამე, სინათლის გამორთვის შემდეგ, საძიებელში ვიღაცის ტირილი ისმოდა.

ვუსმენდი და ვფიქრობდი: ბედი ჩემი, რომ არ მეტირება, ალბათ, არც ისე ცუდად მაქვს საქმე-მეთქი. იმ ბიჭებს კი ნამდვილად ეტირებოდათ და ამის მიზეზიც, ალბათ, ნამდვილად ჰქონდათ. უპატრონო ბავშვთა სახლში ცხოვრება იმათთვის ბევრად უფრო საზარელი და აუტანელი აღმოჩნდა, ვიდრე ჩემთვის. არ მახსოვს, ოდესმე დამეცინოს მათთვის. დარწმუნებული ვარ, არც შენ დასცინებდი, მაგრამ ოთახში ყოველთვის აღმოჩნდებოდა ერთი-ორი ისეთი, ვინც დილას თავს წაადგებოდა ნამტირალე ბიჭს და აქებებდა: შენ ბლაოდი მთელი ღამე შე ქვეშაფსია, შენაო?

მოხუცი ძიძა ბლანშ ფულტონი წლების მანძილზე ცხოვრობდა თავშესაფარში და უკვე სამსახურში გასამრჯელოსაც არ იღებდა. ხანდახან მას მარგალიტის უღელტეხილზე ან ქალაქის პარკში მივყავდით სასეირნოდ. ეს გასეირნება სატუსალოდან პატიმრების ცოტახნით გათავისუფლებას წაგავდა.

ერთხელ პარკში წავვიყვანა. იქ ჩვენს გარდა სხვა ბავშვებიც იყვნენ. ისინი ჩვენსავით საცოდავები მომეჩვენა. მეტიც, ჩვენ მასზე უკეთ ვიყავით მოვლილები, დავარცხნილ-დაბანნილები და ჩაცმულ-დახურულები, ყველანი ერთნაირ გახამებულ პერანგებში და გაუთავებულ შარვლებში გამოწყობილები. უცებ ერთმა ბიჭმა მეორეს გასძახა:

— ჰეი, ჰიტ, მოდი, ობლები განახო.

ისინი მოვარდნენ და მოგვაჩერდნენ. ჩვენ მათ შევეცქეროდით. მეორე ბიჭს თავი უცნაურად ჰქონდა წაგრძელებული. წუთითაც არ მიფიქრია მისი შეურაცხყოფა, მაგრამ შევხედე თუ არა თვალეში, მაშინვე წამომცდა „გამოქლიავებული“. ეს სიტყვა უფროსკლასელებისგან მქონდა გაგონილი. გულდასაწყვეტი ის იყო, რომ თუმცა ობლები და-

გვიძახეს, გასაყოფი მე იმ ბიჭებთან არაფერი მქონდა და არც ზიზილი გამჩენია მათ მიმართ. სიტყვა კი ისეთი დაეუძახე, სხვა, აბა, რა უნდა ეფიქრა იმ გრძელთავა ბიჭს. ბუნებრივია, ეწყინებოდა და ჩხუბს დამიწყებდა. მოხდა გაუგებრობა. მე უბრალოდ წამოვაცურანტალე სისულელე, ამ სისულელის გამო კი ჩხუბზე ჩხუბითვე უნდა მეპასუხა. ეს არ იქნებოდა ის ორთაბრძოლა, მე და შენს შორის რომ იმართებოდა თავშესაფარში უფროსკლასელების გასართობად. მაშინაც არ ვიცოდი, რისთვის ვიჩხუბებდი, მაგრამ მომიჩვენა, რომ მათ განგებ გამოგვიწყვილა. მოვარდნენ დიდი ინტერესით და ჟივილ-ნივილით, თითქოს ჩვენ გონჯები ვყოფილიყავით, ისინი კი ჩვენს სანახავად მოსულები.

როგორ განსხვავდებოდნენ ჩვენგან. მათ ჰყავდათ მშობლები და ჰქონდათ საყუთარი სახლ-კარი. თავისუფლად დაეხეტებოდნენ, სადაც მოებრინებოდათ, მაგრამ ბრიყვები იყვნენ ამავე დროს და ჩემთვის უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ეწყინა თუ არა იმ გრძელთავას რამე. საჩხუბრად მოვუშალე.

უეცრად მოხდა წარმოუდგენელი. ამან კიდევ უფრო გამაჰკვირვა. საცოდავ ბიჭს ტირილი აუვარდა. გაუნძრევლად იდგა ჩემს წინ და ტიროდა. სიარტისთვისაგან სად წავსულიყავი, არ ვიცოდი. კინაღამ მეც ავტირდი. ბიჭი, რომელსაც დღე-მამაც ჰყავდა და სახლიც ჰქონდა, იმ საცოდავ ბიჭებს გავდა, უპატრონოთა სახლში დამლაშობით რომ ტიროდნენ. რატომ ხდება ასე; ვერასოდეს ვერ გაიგებ სხვის გულისტკივილს, სანამ თვითონ არ განიცდი და იმ წუთას, სინდისის ქეჩნა და სხვისი გულისტკივილიც ერთნაირად მაწვალებდა.

— მაპატიე, არ მინდოდა, წამომცდა, — ვუთხარი.

მაგრამ ამ დროს იმ ბიჭმა, რომელმაც „ობლები“ დავიძახა, მოულოდნელად აიტაცა ჩემი ნათქვამი.

— პიტერი ქლიავი, ქლიავი... — აღარ ვაათავა მან.

ამან უარესად დამაოხრა. ისინი მეგობრები იყვნენ. მაშ, რად დასცინოდა ის მეორე, მშვენიერი მოყვანილობის, მრგვალთავიანი ბიჭი თავის უმცროს მეგობარს?

— თავი დაანებე, გეყო-მეთქი, გესმის! — ვუთხარი და მუშტები შევკარი.

ყველაფერი ჩემი ბრალი იყო, ეს მე მომადგა ენაზე უწამაწური სიტყვა და არ მინდოდა, ჩემს ნათქვამს ახლა უარესი სახე მიეღო.

— რასაც მინდა, იმას დაუძახებ, — არ იშლიდა უფ-

როსი ბიჭი. ქლიავი, ქლიავი... ბევრი აღარ მიფიქრია, ავდექი და გავუქანე, მაგრამ სახეში არა, მხარში. იგი ხელებში მეცა, ჩვენ ერთმანეთს დავეჭიდეთ. ბლანშ ფულტონი რომ არა, კარგა მაგრა მივბეგავდი.

მოგვიანებით მე მოვძებნე ის გრძელთავა ბიჭი და ავუხსენი, რომ არ მინდოდა მისი წყენა. მგონი, დამიჯერა და გულს მომეშვა. ჯიბეში ერთი ხუთპენსიანი მეგლო, რისთვის ვინახავდი, თვითონაც არ ვიცოდი, ანდა ვინ იცის ქვეყნად, რისთვის ინახავს ფულს. ამოვიღე და გავუწოდე.

— გამომართვი. — ვუთხარი.

თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი, ისე უცებ დაავლო ფულს ხელი პატარა ბიჭმა. ამან კიდევ უფრო გამაოცა.

ღმერთო, ის ხომ ლატაკი იყო, ჩემზე ლატაკი. მშობლებთან ცხოვრობდა საყუთარ ტერაქვემ, მაგრამ ისინი ყველანი ლატაკები იყვნენ. მთლად ძონძებში იყო გახვეული, დაფლეთილი, ლანჩავარდნილი ფეხსაცმელი ეცვა. მშვიერიც იყო. დღე-მამა მას ყოფას ვერ ულამაზებდა და არა მგონია, რომ იმის თავისუფლება შენს, ჩემს, ან რომელიმე ჩვენგანის უპატრონოთა სახლში ცხოვრებაზე ტკბილი ყოფილიყო. ისიც თავისებურად ობოლს გავდა, ყველანა საცოდავ და უსუსურ ობოლს. რა ხდება? ვეკითხები, როგორ ჩნდებიან ობლები?

ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში თავშესაფრიდან გავიპარე. მაგრამ იმავე დღეს უკან დავბრუნდი. მარგალიტის უღელტეხილზე წავედი. იქ ერთი კლდეში ამოჭრილი აუზი მეგულებოდა, მუხის ხეებითა და გვიმრებით დაჩრდილული. აუზში მშვიდად და-


ცურავდნენ პატარა თევზები ამაზე უკეთეს ადგილს დასაფიქრებლად ვერსად იპოვნიდი. თევზები უმფოფეღლად დაცურავდნენ წყლის სიმწველესა და ხეთა ანარეკლში. ისინიც ხომ ჩვენსავით მარტონი იყვნენ, მაგრამ ისე მორგებოდნენ იქაურობას, მე მშურდა მათი კეთილდღეობისა. ერთხანს ვუცქერდი, შემდეგ ხელი ჩავყავი წყალში. მათი შუქუნება არ მიფიქრია, მინდოდა მივსალმებოდი, მეგრძნობინებინა, რომ მიყვარს ისინი. თევზები ჯერ არ მაქცევდნენ ყურადღებას, შემდეგ, როცა ოდნავ მივუახლოვე ხელი, სინათლის სხივებით მიმოიფანტნენ. რატომ? — ვფიქრობდი და არ მომწონდა მათი უნდობლობა, მაგრამ ბოლოს მივხვდი: სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. გადაწყვიტე, უკან დავბრუნებულიყავი თავშესაფარში და არავისთვის მეამბნა, რაც მოხდა.


როდესაც მოვბრუნდი და ვაშმის წინ ხელის დასაბანად საპირფარეოში შემოვედი, შენ შემეკითხე:

— სად იყავი, მე მეგონა, გაიპარე.

— არა, მარგალიტის უღელტეხილზე ვიყავი, გაპარვა არც მიფიქრია.

ალბათ, სიმართლე უნდა მეტქვა მაშინ შენთვის, მაგრამ არ ვიცოდი როგორ. ყოველი ჩვენთაგანი დღედაღამ გაქცევაზე ბოდავდა, თითქოს იმისთვის ვიყავით მოვლენილები ამქვეყნად, რომ უპატრონოთა სახლიდან გაქცეულიყავით. ეს იყო ჩვენი უპირველესი მიზანი. მე ვიცოდი, რომ ვერაფრით ვერ ავიხსნიდი, რაც დამემართა, რომც მეცადა, არ დამიჯერებდი, ცრუობსო იფიქრებდი.





- ჭრუჭი.
- შემოდგომა.
- სოფელი უშგული.

ღამისათჳ ბატკანი, — თჳჳ ბატკარ უფლისწულა...

ჰაჰა თავდორაჰა

ზაურ მჳავანაძე, მილიციის პოდპოლკოვნიკი, შინაგან საქმეთა წყალტუბოს საქალაქო განყოფილების უფროსია.

ორ დიდ საქმეს სწირავს მთელ თავის სიცოცხლეს; ორივე ადამიანების სიკეთისათვის ზრუნავს. აი, რას წერდა მისი ერთი წერილის შესახებ ლადო გუდიაშვილი: „ფერი—ფიქრთა სავანე“ მიძღვნილი დ. კაკაბაძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, ჭეშმარიტების ორიგინალური ბეჭდითაა აღბეჭდილი... მასში უთუოდ არის ჭეშმარიტების ყლორტები, სითამამე, გაბედულება, ურომლისოდაც, როგორც დიდი გოეთე იტყოდა, წარმოუდგენელია ნიჭი...“

ზაურ მჳავანაძეს ძალუძს, ბუნებაში იპოვოს უამრავი ფერი, მისი ტილოები მნახველს სწორედ ფერთა სიუხვით აოცებს. ეს ფერები რაღაც ჯადოთი ჩაწვნიან ერთმანეთს...

ჩვენს წინაა სვანეთის გულზვიადი მთები. ღრუბლებში აჭრილა უშგულის კუშტი მწვერვალები. აქვეა სვანური ცათამბეჭენებიც.

ფაქიზ, ნაზ განწყობილებას ქმნის იმერული დილა. აფეთქებული მარჯნისფერი განთიადი და დილის ციავი ბლუჯა-ბლუჯა

დაუბერტყავს ველ-მინდვრებზე. ღამენათევი ღრუბლები დაღლილი, ჩალურჯებული თვალებით იმზირებიან, სილუეტებად ქცეული იმერული ოდები ზღაპრულ ელფერს აძლევენ მიდამოს.

მომზიბვლელად არის შესრულებული „შატილი“. მაღალ კაბადონს დაჰკიდებია ხევსური კაცის სამფლობელო ციხე-ქალაქი. რამდენი რამ შეაძლებინა მხატვარს ადგილის სიყვარულმა, როგორი სიფაქიზით არის ნაჩუქურთმევი თითოეული ლოდი, ქვა, კენჭი. შტრიხი ზოგან გაბედულია, მოქნილი, ზოგან — თავშეკავებული, მკრთალი, ნარნარი, კოშკებს თეთრი ღრუბლების საბურველი ფარავს...

დიდი ემოციებით ტვირთავს მნახველს პეიზაჟი — „ზამთრის საღამო“. ოღნავ დასერილა ღრუბელი, საღაღაც, მთებს იქით, შუეს თავისებურად შეუღლებია დასალოიერი. აღმოსავლეთით შავი ღრუბელი ჩამოწოლილა. თოვლი არ არის თეთრი, არც მოლურჯო — რაღაც სხვა, ანდამატური ფერი გადაჰკრავს. ანლახან შეწყვეტილა თოვა, ჩაყუჩებულან სახურავები, ხეები, ბუდელები; ხბო და ღორი იმერულ ოჩხობოჩხო ჭიშკარს მისდგომია...

მხატვარი თავისუფლად აღიქვამს საგანთა როგორც გარეგნულ მშვენიერებას, ისე მათ შინაგან ბუნებასა და ერთიანობას.

აქედან გამომდინარე, მისი ყოველი პეიზაჟი თავისებურაა და შესატყვის ემოციას აღძრავს. მაგალითად „სუფსა“ ზღვის, ცისა და მზის მოლივლივე ფერებშია გადაწყვეტილი, „ზამთარი“, ბუნებრივია, სიცივისა და ყინვის განცდას იწვევს, „შემოდგომა“ მშვიდ, იდუმალ, ნაღვლიან ტონებში აღიქმება.

მხატვრის პოეტური სულია ჩაქსოვილი ძველი ქუთაისის ამსახველ პეიზაჟებში: „ჯაჭვის ხიდიდან“ და „ჭომა“. მათში აკვარელის სიფრიფანა ფერები ჭრელი პეულებივით დაჰფენია თეთრ ფონს.

ტილო ტილოს მოსდევს, სახლის კედლები საგამოფენო დარბაზს ჰგავს. ოთახში ყველგან აწყვია ფაქიზად შეკრული ნახატები. ხატვას მიაქვს მთელი მისი თავისუფალი დრო.

— ეს კიდევ მეხმარება სამსახურებრივ საქმეში, — გულახდილად გვითხრა ზაურმა. — ფსიქოლოგიური ძიება და მშვენიერების ჭკრეტა მეტად მახედებს ადამიანის სულში, უფრო მეტად მაყვარებს მას და ხანდახან, ბევრი ჩემი კოლეგა მოთმინებიდან რომ გამოვა დამნაშავეს სიჯიუტისაგან და, ძიების ძაფს გაწყვეტს, მე ამ დროს მუდამ ჩემი ხელოვნება მშველის. ბატკანი რომ დაუხატო აი იმისთანა გოგონებსა და ბიჭუნებს, — ბავშვის სურათისკენ მიგვიბოძითა და ეგზოტიკურის პატარა უფლისწული გაიხსენა, — წელებზე ფეხი უნდა დაიდგა, მთელი შენი ცხოვრება სინდისიერების სადარაჯოზე უნდა იდგე, თორემ სხვაგვარად არ გექნება ამის უფლება.

უყურებ ზაურ მჳავანაძეს, მილიციის პოდპოლკოვნიკის სამხრეები რომ ამშვენებს, უსმენ მის საუბარს და ვიხარია, კანონის დამცველს მშვენიერებასთან, ხელოვნებასთან წილნაყარს რომ ხედავ.

ანს კრაუზა

(ბღრ)

კურტმა საწერი მაგიდის უჭრა წვალეებით გამოგლიჯა. ფულით სავსე პორტფელი სწორედ იქ აღმოჩნდა, ამოიღო და სავარძელზე დადო. ამ დროს კარი ნელ-ნელა გაიღო. კურტი ცივისისხლიანი ადამიანი იყო და სახიფათო მომენტებშიც ინარჩუნებდა სიმშვიდეს. იგი კარისკენ აუჩქარებლად შეტრიალდა. სახე თვალეებამდე ლურჯი ბაღდალით ჰქონდა ახვეული. ღია კართან ახალგაზრდა ქალი იდგა. „იგი ალბათ ახლავე აუვირღება და იძულებული გავხდები ბოლო მოვუღო, რომ ვილიდან თავი გავაღწიო“, — გაიფიქრა მძარცველმა.

ქალიშვილი არ აუვირღებულა.
— თქვენ, ალბათ, ექიმო ჰოსპერი ბრძანდებით? — იკითხა მან წყნარი მელოდური ხმით, ფრთხილად გადადგმული ნაბიჯებით მიუახლოვდა კურტს და ათრთოლებული ხელი გაუწოდა. — ო, როგორ მიხარია, რომ მაინც მობრძანდით! — ქალიშვილის ნაწი ხელი ჰაერში უმწეოდ ირწეოდა. „ღმერთო ჩემო, ბრმა ყოფილა!“ — გაიფიქრა კურტმა.

მძარცველმა ქალს ხელი მოჰკიდა და ჩახედა დიდრონ ცისფერ თვალეებში, რომლებიც გაურკვეველი მიმართულებით იშვრებოდნენ.

— დაბრძანდით, ბატონო ექიმო, — თქვა ქალიშვილმა, შერე ხელის ცეცებით მიაგნო სავარძელს, რომელზეც ფულით სავსე პორტფელი იდო

და ჩამოჭდა, — ვერც კი წარმოიდგენთ, რარიგ აღფრთოვანებული ვარ თქვენი მობრძანებით... სიგარეტს ხომ არ ინებებთ? — ქალიშვილმა ხელის ცეცებით საწერ მაგიდაზე სიგარეტის კოლოფი მოძებნა და სტუმარს გაუწოდა.

„ეტყობა, ამ უსინათლოს გარდა შინ სხვა არავინ არის“, — გაიფიქრა კურტმა, დივანზე დაჯდა, სახიდან ბაღდადი მოიხსნა და სიგარეტი ხარბად მოქაჩა.

— ბატონო ექიმო, ხომ აუცილებლად გამკურნავთ? — ქალიშვილს სახეზე ნდობით სავსე, სათნო ღიმილი დასთამაშებდა, — ოპერაციას გამოიკეთებთ და ისევ ყველაფერს დავინახავ, არა?

კურტი პასუხად შიგადაშიგ რაღაცას ლუღლუღებდა, ეშინოდა, გაუფრთხილებლობით თავი არ გაეცა.

„უკვე დროა, აქედან ავიბარგო“, — გაიფიქრა მძარცველმა და სიგარეტი საფერფლეში ჩასრისა.

— გესმით, ნაბიჯების ხმა... — თქვა უეცრად ქალიშვილმა, — ეს, ალბათ, მამა იქნება...

კურტი წამოხტა, რამდენიმე საბოდიშო სიტყვა ჩაიბურღლუნა, გასასვლელისაკენ გაეშურა, კიბე კისრისტეხით ჩაირბინა და ქუჩაში მშვიდობიანად გავიდა...

ნახევარი საათის შემდეგ, როდესაც კურტი გარეუბნის სადგურის ბაქანზე მატარებელს უცდიდა, თავს ორი კაცი დაადგა.

— გამომყევით, — უთხრა ერთმა და სისხლის სამართლის სამძებრო პოლიციის მოწმობა უჩვენა. კურტს პოლიციის სამორიგეოში აუხსნეს, რომ იგი ძარცვის მცდელობისათვის დააკავეს.

— ამჯერად ძალიან არ გავგვირვებია თქვენი მხილება, — ირონიულად გაიღიმა ინსპექტორმა — ახალგაზრდა ქალმა, რომელთანაც საამურად ბაასობდით, გაუჩინარდით თუ არა, მაშინვე ტელეფონით დაგვირეკა, თქვენი პერსონა და ჩაცმულობა ზუსტად აგვიწერა, ნიკაპზე აი ეს ნაიარევიც კი არ გამორჩენია.

„შეუძლებელია! — შეჰყვირა კურტმა, — ის ხომ უსინათლოა!“

— უსინათლო? — კვლავ ირონიულად გაიღიმა ინსპექტორმა, — იგი მსახიობია და თავისი დიდი ტალანტის მსოფლოდ პატარა ნიშუში წარმოვიღვინათ.

კურტი, როგორც ვთქვით, ცივისისხლიანი ადამიანი გახლდათ და უსინათლო სიტუაციებშიც სიმშვიდეს ინარჩუნებდა. მან პოლიციის მსახურს ცივი მწერა სტუორცნა, გაიღიმა და კბილებში ისევ ცივად გამოსცრა:

— გეთანხმებით, იგი მართლაც ბრწყინვალე მსახიობია!

გირამანულიდან თარგმან
შოთა ამირანაშვილი.

იუპორი

ცხენი, რომელიც იცინის

● ბონდო ფულის წამოსაღებად ისევ ჩავიდა ქალაქიდან სოფელში.

შეალო ჭიშკარი, შეაბოტა ეზოში და ნალიასთან მიბმული ცხენი დაინახა.

ცხენმა გაუღიმა.

ეს არ იყო მოჩვენება! შეცბუნებულმა ბონდომ გაიხედ-გამოიხედა და ისევ ცხენს შეხედა.

ცხენმა ისევ გაუღიმა.

— ვინ არის ეს?! — იყვირა ბონდომ.

— წაბლა! — ოდიდან გამოვარდნილი მამა (ბონდოს დედა არ ჰყავდა) შვილს გადაეხვია და მორიდებით ამცნო, — გასაყიდი წაბლა.

— რატომ ყიდი?

— „უიგული“ რო დაამტვრიე, აბა რით გინდა შეარემონტო მანქანა?!

ბონდო ცხენს შესცქეროდა.

ცხენი იღიმებოდა.

— რატომ მეკრიჭება ეს ცხენი, თუ იცი?

— უცხო ჰგონიხარ და იმითმ.

— უცხო?

— კი. იმდენი ვაწოწილე ბაზარში, უცხო მყიდველებმა იმდენჯერ აუწიეს ჩიჩვირი, იმდენჯერ გოულეს პირი, იმდენჯერ ღოუთავალეს კბილები, რო შეეჩვია.

— შეეჩვია?

— კი. ეს საცოდავი ახლა უცხო კაცს რო დინახავს, მუშტარი ჰგონია. ა, გახედე, თვითონვე იღებს თავს, თვითონვე აღებს პირს, თვითონვე აჩენს კბილებს...

ბონდომ ცხენს გახედა.

წაბლა ტიროდა.

საიდუმლო დოკუმენტი

● ახალმა მდივანმა უფროსს ხელის მოსაწერად მაგიდაზე რაღაც დოკუმენტი დაუდო.

უფროსი სახტად დარჩა.

აიღო დოკუმენტი. ატრიალა, ხან სათვალის ზემოდან ახედა, ხან სათვალის ქვემოლად დახედა. უცქირა. იკითხა. ვერ ამოიკითხა და იყვირა:

— ვერაფერი ვერ გავიგე!

— არც არის საჭირო, რომ გავიგოთ.

— რატომ? — უფროსი ცახცახებდა.

— აი ამიტომ, — მდივანმა ცისფრად შეღებოლი ქუთუთოები შეათამაშა და თლილი თითი ქალაღდს დაადო.


დოკუმენტის არშიაზე გარკვევით ეწერა:

„სრულიად საიდუმლოდ“.

კაპო შარავანიანი

იუპორი

კროსვორდი



შვეულად: 1. გარეული ფრინველი; 2. ხშირი წიწვოვანი ტყე; 4. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 5. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 6. ევროპის ერთ-ერთი ქალაქი; 7. კონუსის მოყვანილობის ქერის კარავი; 8. პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა; 9. ხემცენარე; 11. ურმის მსგავსი მომცრო საზღვარი; 14. მკვრივი მასა, რომელიც წარმოქმნილია ჰაობის მცენარეების ლპობის შედეგად; 15. ევროპის სახელმწიფო; 16. საკვები ცხიმოვანი; 21. მდინარე აზიაში; 22. წყალსაცავი, სადაც აშენებენ თევზებს; 23. გრძელი ჭოკი, რომლითაც თოვზე იცავენ წონასწორობას; 24. ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საქართველოში; 25. რისაზე შეთხზვა ვისიმე მოტყუების, თავის განდიდების მიზნით; 26. შავი ზღვისპირა კურორტი; 27. წელიწადის თვე; 28. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 33. ბალჩეული კულტურა; 35. მომზადების დონე, კვალიფიკაცია.

თარგმანად: 3. დასაკეცი, გადასატანი ტიხრი; 5. მრავალწლიანი ყვავილოვანი ბუჩქი; 6. ჯილდო შეჭიბრებაში გამარჯვებისათვის; 8. ზღვის, მდინარის, ტბის გაშლილი ნაპირი; 10. ხანმოკლე შესვენება მეტყველების დროს; 12. მომინული სათავსი, სადაც აშენებენ თბილი ქვეყნების მცენარეებს; 18. დეკორატიული მცენარე; 17. სამშენებლო მასალა; 18. ოცი კაპი; 19. საკუთარი ხელით წარწერა წიგნზე, ხურათზე; 20. ძნელად გასარჩევი, გაუგებარი ნიშანი, ასო, ნაწერი; 21. დედამიწის ზედაპირის შემსწავლელი მეცნიერება; 23. საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა; 25. მინის ჭურჭელი; 27. ტროიკული მცენარე; 29. მინერალური წყალი; 30. ქალაქი იტალიაში; 31. თეთრი მკვრივი ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კბილი; 32. ერთწლიანი მცენარე; 34. ვულკანური კუნძული სამხრეთ იტალიაში; 36. სოფელი ზესტაფონის რაიონში; 37. უმცროსი მატროსი.

შეადგინა ალექსანდრე გორბიშვილმა.

ბაძრება სამყარო?

შედეგმა ასტროფიზიკოსმა ბენ ვიკმანმა საყურადღებო ბიოთემა წამოაყენა. მისი თეორიის თანახმად, იმის გამო, რომ ყოველ ვარსკვლავს აქვს გამოსხივების უნარი, შათი მასა თანდათან მცირდება. ამის შედეგად — მცირდება გრავიტაციის ძალა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს (ვიკმანის გამოთვლით ჩვენი მზე „დაიღვევა“ დაახლოებით ათი ტრილიონი წლის მერე), საშუაროს ევოლუციის თეორიისათვის ამას შეიძლება პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდეს, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუკი ბიოთემა დადასტურდება.

მინერალური გამბა

პოლონელმა გეოლოგებმა თავიანთი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიაგნეს ვულკანის უზარმაზარ კრატერს და გამოიყვებულა ლავის დიდრონ ველებს. ვულკანის ბოლო ამოფრქვევა აქ მილიარდზე მეტი წლის წინ მოხდა და კრატერი თანდათან მიწის ფენებმა დაფარეს.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ევროპის ეს ნაწილი იმ ძველ ეპოქაში ვულკანური ამოფრქვევების აქტიურ ზონად ითვლებოდა. ცეცხლის მფრქვეველი მთები ბლომად იყო. ამჟამად არსებულ აღმოსავლეთ კარპატის ვულკანების ჯაჭვი გრძელდებოდა დასავლეთით ჩეხოსლოვაკიისა და სამხრეთით რუმინეთისაკენ.

ძველი ვულკანი თავისთავად არ აღმოჩნდა, გეოლოგებმა მას ზუსტი რუკით მიაგნეს, რომელიც შედგენილი იყო მეცნიერულ მონაცემთა საფუძველზე.

ამ ძიებას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა — ძველი გამოიყვებულა ლავა ხომ მჭირფახი ნედლეულია მინერალური ბაზისის საწარმოებლად.

„დროშა“ № 8-ში გამომკვეთადული კროსვორდების პასუხები

თარგმანად: 3. გიგი; 4. ლავა; 7. იურტი; 8. ატომი; 9. ადაჯო; 18 რაფი; 15. ანალიზი; 16. ბორი; 17. კანონი; 18. ამიაკი; 22. დოკი; 23. „არარატი“; 25. ეკიუ; 27. იმამი; 28. იახტა; 29. გურია; 31. აკრი; 32. ტიტა.

შვეულად: 1. აგნი; 2. ბარი; 3. გვიში; 5. ანოდი; 6. არეალი; 8. აზია; 10. ორბი; 11. ანანური; 12. აზიმუტი; 14. ირანი; 16. ბუკლე; 19. დოგი; 20. არხარი; 21. ლიგა; 25. ომეგა; 26. ნარტა; 30. არია.

თარგმანად: 5. სემინარი; 6. კოლონტაი; 8. ეკოგეზი; 9. სედოვი; 10. არმადა; 14. ლიბკნესტი; 16. ბროლი; 17. იმამი; 20. სორდი; 21. ისარი; 22. ბალისტიკა; 25. გერცენი; 26. პავლოვი; 27. ატამანი; 30. იედლიჩკა; 31. სტალიონი.

შვეულად: 1. ტიტოვი; 2. არაკი; 3. კოვზი; 4. ანკერი; 5. სუვენირი; 7. იპოდრომი; 11. პიტოგრაფია; 12. სტერეოსკოპი; 18. ფლორიდა; 15. იმპულსი; 18. კონცერტი; 19. არმავირი; 23. დეტალი; 24. „ივერია“; 28. ტუკი; 29. ნოტა.

ბარეპანის პირველ გვერდზე: მშობლიურ სკოლაში, ფოტო თარხან არჩვაძისა. ბარეპანის მეორე გვერდზე: ფოტოგრაფიები ვალერი სოკოლოვის და ანატოლი რუხაძისა.

გაღებულა წარმოებას 23. VIII. 84. ხელმოწერილია დასახელებად 17. IX. 84. უფ. 08229. ქალაქის ზომა 70x1681/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნახედი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-სავა-2ომცემლო თაბახი 5,09. ტირაჟი 48.000. შეკვ. 1901. ფახი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ. ც. კ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8. по. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 98-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

ეროვნული
 ბიბლიოთეკა
 საქართველო
 საქართველოს
 დემოკრატიული
 რესპუბლიკა



ძველი თბილისის ერთი კუთხე.

8 123 / 177

ეროვნული
ბიბლიოთეკა



5

